# საერთო გაზეთი

№40 (169) ● 12.10-18.10, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს

„ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“ — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო!“

## me aucileblad moval xelisuflebaSi, radgan sityva mogeciT, aucileblad moval!





`kavkasiuri carciswre~, anu `mefe~ babuas da `mefe~ mamas Soris `gaWyletili~ mesame `mefe~ _ patara giorgi



snobi qarTuli sazogadoeba `nacionaltyaosanis~ molodinSi

# `visac Rmer Ti ir Cevs msaxurad, mas mowameobisaTvis, vnebisaTvis irCevs~...



4 წელი გვაშორებს იმ ავადსახსენებელ დღეს, რომელიც სისხლიანი სტრიქონებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. დღემ, რომელმაც მიითვალა კიდევ ერთი სასიქადულო მამულიშვილის სიცოცხლე, თქვენი სახით, ბატონო გურამ.

ქართველი ერი თქვენ გიცნობთ, როგორც ღირსშესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, მრავალი გამოცემის ავტორს, ფრიად პატივცემულ პიროვნებას. ამჟამად ზვარაკად შეწირულს.

უფალმა ინება ჩვენი უძლიური ძალებით შეკავშირება იმიტომ, რომ ჩვენ ერთი ტკივილი გვაერთიანებდა სხვებისაგან განსხვავებული მომატებული დოზით. ტკივილი სარწმუნოების დაცვისა, ტკივილი ჩვენი ბედკრული ქვეყნის ყოფისა, ტკივილი მოყვასთა, მოძმეთა და პატივის მოგება წინაპართა საძვალეთა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს ერისა და სარწუნოების სამსხვერპლოზე. ბატონო გურამ, თქვენთან ურთიერთობაში არც თუ ისე დიდი ხანი დავყავით. მიუხედავად ამისა, ეს პერიოდი საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, ჩვენ შეგვეგრძნო, რამდენად კანონზომიერად იყო თქვენში შეზავებული მიწიერი ადამიანის ყოველგვარი თვისებები. ჩვენ ვხედავდით ბატონ გურამს, თითქოს მკაცრს, მაგრამ ძალიან ლმობიერს, თითქმის ბავშვური მიამიტობით. ჩვენ ვხედავდით ბატონ გურამს თითქოს მიუწვდომელს, მაგრამ ძალიან ახლობელს, გულისხმიერს, არაჩვეულებრივი თვისებებით, უზადოდ შეყვარებულს მართლმადიდებლობაზე, რომლის დაცვისათვის მრავალი პიროვნული შეურაცხყოფა აიტანეთ. შეყვარებულს თავის ერზე, მის ტრადიციებზე, ზნეობაზე. სწორედ ზნეობის ქომაგობისთვის პატიმრობაც „დაიმსახურეთ". თქვენმა სუფთა სინდისმა ვერ შეითვისა მეცნიერების ტაძრის კედლებში ჩაბუდებული მართლმადიდებლობის მტრები, უვიცი, უღირსი თვითმარქვია თანამდებობის პირნი. მათი მხილებისთვის ისევ ორკვირიანი პატიმრობა მოგაგეს.

ბატონო გურამ, თქვენ აგრძელებდით დიდი ილიას გზას. თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი და სიამაყე იყო: ენა, მამული, სარწმუნოება. დაუნდობლად ებრძოდით ანტიქრისტეს მოციქულებს. უკანდახევას ვერ ეთვისებოდით. იცავდით ქართულ სულს, სწორედ ეს არ გაპატიეს. ქრისტეს მოძულებმა მიგიჩნიეს უდიდეს დაბრკოლებად მათი შავბნელი საქმეების აღსრულებაში და დაიგეგმა თქვენი განადგურება. მუხანათებმა ესროლეს დიდ ილიას იმიტომ რომ, ილია იყო... გესროლეს თქვენ, იმიტომ, რომ გურამშ არაძე იყავით... სანუკვარი, საყვარელი შვილი მოგაშორეს, რითაც გაგამწარეს. უდიდეს ტკივილს ატარებდით გულის სიღრმეში, მაგრამ მხილების მახვილი ან დაგიშვიათ. თქვენა ხართ დარი დიდი ექვთიმესი, რომელმაც თავისი ფრთებით დაიცვა ერის სიმდიდრე. თქვენ კი რკინის ქალამნები ჩაცვით, მთელ მსოფლიოში მოიძიეთ ერისთვის მიუწვდომელი მასალები და მიუძღვენით თქვენს ხალხს, რომელიც მჟამად დავანებულ არს თქვენივე შექმნილი ემიგრაციულ მუზეუმში.

ბატონო გურამ, თქვენი ღვთისნიერი ქმედებით აგურები დაილაგეთ ზეცაში და აუგეთ სამუდამო განსასვენებელი თქვენს უკვდავ სულს, თქვენი ცხედარი ღირსეულად მიიბარა და ჩაიბარა ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულმა მშობლიურმა მიწამ. ვაი, მათ ვინაც ბინძური ხელი აღმართა თქვენზე, სიცოცხლეს გამოგასალმათ და დაადუმა თქვენი მადლიანი კალამი. ვაი, მათ, ვინც დაგეგმა ეს საშინელი მკვლელობა. უფალი ყველაფრის მხილველია და ყველას მიაგებს დამსახურებისამებრ. ცეცხლი და გეენია არ აცდება მათ, ვინც მზაკვრულად, უზნაესის განჩინების გარეშე ხელყოფენ სახელოვან მამულიშვილთა სიცოცხლეს, თვით კი ჯოჯოხეთის განაჩენს უმზადებენ თავს. საცოდავნი, უგუნურნი, არ უწყიან, რომ ყველაფერი ამაო და წარმავალი არს ამ ქვეყანაზე.

ბატონო გურამ, თქვენ შეგძრავდათ სულით ხორცამდე ჩვენი ერის დღევანდელი ყოფიერება. დღეს ხომ მოშლილია ყოველი ტრადიციული ზნეობრივი, სარწმუნოებრივი, ისევ თვითაღზევების მანიით შეპყრობილ ე.წ. ქართველთა მიერ. ერი არ ერობს, ბერი არ ბერობს. ვაი, ამ ყოფას. თქვენ სიწმინდეს ჩვენს ეკლესიაში ხედავდით, ამიტომ იყავით ჩვენთან ასე ახლოს, თქვენი თანადგომით გარკვეულწილად მიაბიჯებდით ჩვენს მიერ არჩეულ, ეკლიან ბილიკებს, რომელიც მხოლოდ ზეციურ ტაძართან გადის. თქვენ ჩვენზე ადრე დაიმკვიდრეთ იქ ადგილი.

გვენატრებით, ბატონო გურამ, ვაფასებთ, პატივს მივაგებთ თქვენს უდიდეს ღვაწლს ერისა და მამულის წინაშე, ყოველთვის ჩვენს გვერდით მოგიაზრებთ, ყოველთვის გიხსენებთ.

გთხოვთ, ილოცოთ ჩვენი ერისთვის, რათა შეინარჩუნოს ოცსაუკუნოვანი მონაპოვარი. ილოცეთ, რათა გაუნათდეს გონება გზააბნეულ ქართველთ, სასულიეროს, თუ საეროს, ნუ იქნებიან ფსევდოპატრიოტები, ფსევდომორწმუნენი.

ბატონო გურამ, ევედრეთ ყოვლადწმიდა დედას, ღვთისმშობელს, რათა შეგვიწყალოს ულირსნი შვილნი, ნუ გაგვწირავს, მოგვმადლოს ძალი ღვთიური, რათა ვებრძოლოთ ქრისტეს მტრებს, შინაურს, თუ გარეულს, გავუმკლავდეთ საქართველოს შემოსეულ გადამთიელებს, ვიხსნათ სარწმუნოება, ვიხსნათ ერი გადაგვარებისაგან. ჩვენ გვჯერა, თქვენ, მანდედან, ზეციური საქართველოდან შეევედრებით უფალს, ყოვლადწმიდა დედას და შეავედრებთ ერს, რომელმაც ასე გაგიმეტათ... „ბოროტება სიკეთით ნაზღაურდება".

გვენატრებით!

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის ტაძრის
წინამძღვარი **მამა ბასილი**
(მკალავიშვილი)
**მამა ვახტანგი** (მარგიანი)
**მრავალრიცხოვანი მრევლი**

# მიმართვა ყველა პოლიტპატიმარს და ყველა უკანონოდ დაპატიმრებულს

ჩვენი სამშობლოს დამპყრობი, კოსმიური გველეშაპის მ. სააკოვის პირადი პატიმრები არიან საქართველოს ერთადერთი და კანონიერი პრეზიდენტის ვაჟი -

1. ცოტნე გამსახურდია
2. ირაკლი დოკვაძე
3. მალხაზ გველუკაშვილი
4. ვლადიმერ ვახანია
5. მაია თოფურია
6. ნორა კვიციანი
7. გიორგი დემეტრაძე
8. ბესარიონ ხვინთელი
9. რონი ფუქსი
10. ზეევ ფრენკელი (გაუმარჯოს ქართველთა და ებრაელთა 27 საუკუნოვან ძმობას!)

(გვაპატიოს ყველა პოლიტპატიმარმა და უკანონოდ დაპატიმრებულებმა, ვისი გვარ-სახელებიც იმნფორმაციის უქონლობის გამოც ვერ დავასახელეთ).

სამშობლოს სიყვარული არ გაპატიათ პირსისხლიანმა, პლანეტარულმა მხეცმა მ.სააკოვმა. (მისდაგვარი მსოფლიო ისტორიას მეორე არ ახსოვს)

თქვენი ზნეობრივი მაგალითით, მომავალში ჩვენს სამშობლოში ღირსეული ახალგაზრდები აღიზრდებიან.

ჩვენო პოლიტპატიმრებო და უკანონოდ დაპატიმრებულებო! გილოცავთ, რომ ქედი არ მოიდრიკეთ და შეწყალება არ ითხოვეთ და საპროცესო გარიგებაზე არ წახვედით ზოგიერთი ვაი ქართველივით.

თქვენი პიროვნული თვისებებით, მტკიცე ხასიათით, თქვენი ყოველი დღე არის გმირობა.

თქვენ თანამედროვე გმირები ხართ

წყეულიმც იყოს ყველა საქართველოს მოღალატე და გამყიდველი. საქართველოს დამარცხება არ უწერია! ვერავითარი იმედგაცრუება ვერ შეარყევს ჩვენს რწმენას! ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენი გზა არის სამშობლოს განთავისუფლების გზა!!!

მოახლოებულია დრო ლაზარესდარი აღდგომისა!!!

ჩვენ სულით და ხორცით თქვენს გვერდით ვართ! საქართველოს პრეზიდენტის ბ. ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები საზღვარგარეთიდან.

გეგა ყაზბეგი (აშშ )
სანდრო მარიამიძე (არაბეთი)
სალომე მწითური (ინგლისი)
ლაშა გამსახურდია (საფრანგეთი)
ბერდია არაბული (ავსტრალია)
მამუკა მჭედლური (ავსტრია)
ლელა ჭინჭარაული (ეგვიპტე)
ნაილი ხომერიკი ( ეგვიპტე)

საზღვარგარეთიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა 3031 წევრი და მათი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას შვილობილი ქართველი-ამერიკელი სანდრო გაბლიანი (დღემდე კონსპირაციულად მცხოვრები - იგივე სანდრო ივერიელი)

(3031 წევრის სრული სიის ნახვის მსურველებმა იხილეთ „ასავალ-დასავალის" და „საერთო გაზეთის" წინა გამოცემები)

**10/06/2011**

## ბაღათურიას აინტერესებს, ვისი აგენტია ბენდუქიძე



საპარლამენტო ფრაქციის – "ერთობა სამართლიანობისათვის" — წევრ ჯონდო ბაღათურიას უმრავლესობისაგან აინტერესებს, ვისი აგენტია კახა ბენდუქიძე და რითი აქვს ფული ნაშოვნი მას.

ბაღათურიამ ეს განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ხელისუფლების მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული იმ განცხადებების საპასუხოდ გააკეთა, რომლის თანახმადაც, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი "კრემლის აგენტია".

"როცა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაგებულ გზებზე, სკოლებსა თუ საავადმყოფოებზე მავანი წითელ ლენტებს ჭრიდა, მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო ბიძინა? ახლა კი კრემლის აგენტია? ვეკითხები ხელისუფლება, ვისი აგენტია ბენდუქიძე და რითი აქვს ფული ნაშოვნი?" – იკითხა ჯონდო ბაღათურიამ.

მან აქვე "მაესტროს", "კავკასიას", "თრიალეთსა" და "25-ე არხს", ტელეკომპანიების ყიდვასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის წინადადების მიღებისაკენ მოუწოდა.

"რა დროს ბუტიაობაა? ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა შემოგთავაზათ, თავისუფალი მედიის განვითარების ერთადერთი შანსია. სწორედ ეს დააბალანსებს იმ ცრუ ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა არხიდან მოედინება", — მიმართა ტელეკომპანიებს ჯონდო ბაღათურიამ.

აღსანიშნავია, რომ მისი გამოსვლისას დარბაზში უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის რეპლიკები ისმოდა.

## საქართველო-სომხეთის საზღვარზე კიდევ ერთი ცხედარი აღმოაჩინეს



სომხეთ-საქართველოს საზღვარზე ჩამოწოლილი მეწყერის ზონაში კიდევ ერთი ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ნიუს. ამ" იუწყება.

გარდაცვლილი 1939 წელს დაბადებული ნორიკ მირზოიანია.

სომხეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის ცნობით, ამ დროისათვის სამძებრო სამუშაოები კვლავ გრძელდება. სომეხი მაშველები დაკარგული ორი ადამიანის ძებნას აგრძელებენ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან.

შეგახსენებთ, რომ ვნაძორ-ბაგრატაშენის მონაკვეთზე მეწყერი 2 ოქტომბერს ჩამოწვა.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

# `sarkomania~ dasrulda _ axla politikur `lomkaSi~ varT

ჟდასრულდა „სარკომანია“, მერე? – დაჯექი და კერე! – არც არაფერი, რაც სულხან-საბამ გამოიტანა იმ სახელგანთქმული ვერსალიდან, ის ჩამოგვიტანა სარკოზიმ ელისეის სასახლიდან...

სარკოზს საკუთარი თავი გასჭირვებია თავისივე საფრანგეთში, მისი რეიტინგი ისე ეშვება დაბლა, ვერანაირი საყრდენი ველარ იკავებს, გაზაფხულზე მისი ხელახალი გაპრეზიდენტების შანსი დღითი დღე მცირდება და საკუთარ თავს აპიარებდა, თორემ ვის დავკარგივართ...

საფრანგეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებით ირკვევა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს პირადი ანტიპათია აქვს



სარკოზის მიმართ და კატეგორიულად არ სურს მისი ხელმეორედ გაპრეზიდენტება. პრინციპში, არც არის გასაკვირი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უპირველესად იმიტომ, რომ იგი არ არის ეთნიკურად ფრანგი. მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ მამამისი 1944 წელს, საბჭოთა ჯარების უნგერთში შესვლის შემდეგ, საფრანგეთში გაიქცა და პარიზელ გოგონაზე დაქორწინდა, რომელიც ებრაელი იყო. (მამის ეროვნების შესახებ ვერსიებია, ან უნგრელი ბოშა უნდა უნდა იყოს, ან ემიგრანტი სომეხი, ან კიდევ სხვა, მაგრამ არა ევროპელი) ეს მიზეზი ფრანგ ულტრანაციონალისტებს უკვე ჰქონდათ კიდეც თითზე დახვეული, მითუფრო, რომ შემდგომში ლოიალური საემიგრაციო პოლიტიკა გაატარა კიდეც.

მეხსიერება ყველას არ ღალატობს, – დოვილში, „დიდი რვიანის“ სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე რომ ბრძანა სარკოზიმ, ბატონმა მედვედევმა სიტყვა შეასრულა, საქართველოს ტერიტორია სრულად თავისუფალია, რუსული ტანკები თბილისიდან 40 კილომეტრით არიან დაშორებულიო, ეს როგორი იყო? – რუსული მედიის აზრით, ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკების აღიარების ტოლფასი.

„ლა მონდში“ გამოქვეყნებული იყო სტატია, რომ სარკოზიმ ორი ომი დაასრულა, ღაზას სექტორსა და საქართველოში. ეს იყო სარკოზის გამოსვლის უმთავრესი თემაც ნიმში, როდესაც საკუთარი პარტიის (მემარჯვენე-ცენტრისტული **UMP**) რეკლამას ეწეოდა. მაშინ სარკოზიმ განაცხადა: „საქართველო რომ რუკაზე გადახაზული არ არის, ღაზას სექტორში კი ცეცხლი შეწყდა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ევროკავშირს საფრანგეთი თავმჯდომარეობდა. მან პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო, რათა ევროპას თავისუფლად ემოქმედა“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან შევაფასებთ „სარკოს“ გარჯას, მაგრამ ამავე გაზეთის კორესპონდენტ ნატალი ნუგაირედის შეფასებაც ხომ საინტერესოა, მითუმეტეს, რომ იგი პირადად ესაუბრა ამ ორ „შესრულებულ მისიაზე“ რიგითი ფრანგი ჩინოვნიკებიდან დაწყებული მაღალი რანგის პოლიტიკოსებით დამთავრებული.

ქალბატონი ნატალი წერს: „ერთ-ერთმა წყარომ, რომელიც ამ სამშვიდობო მოლაპარაკებებს კარგად იცნობს, ბატონი სარკოზის დამოკიდებულება ამგვარად ამიწერა: „მისი შეხედულებით, საქართველომ დაიწყო ეს ომი და წააგო. მისი ერთადერთი ამოცანა გახლდათ ის, რომ ეს მარცხი ემართა. თავის მისწრაფებაში, რომ რუსეთი დაეშოშმინებინა და დიპლომატიური გამარჯვება ეზეიმა, სარკოზიმ გაუგებრობაში დატოვა ევროპა. მაგალითად, იმ დროს, როდესაც არსებობდა მოთხოვნა, რომ რუსეთს თავისი ჯარები კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე უნდა გაეყვანა, ბრმა უნდა იყო ვერ დაინახო, რომ მან ეს პირობა სრულად არ შეასრულა“.

იმ დროს, როდესაც სარკოზი აცხადებდა, რომ მედვედევმა პირობა შეასრულა, პერევი იყო ერთადერთი ქართული სოფელი, რომელიც რუსმა სამხედროებმა აგვისტოს ომის შემდეგ დატოვეს, თორემ, საჩხერის ოთხ სოფელს: სინაგურს, ქარძმანს, თედელეთს და ჯალაბეთს ისევ აკონტროლებდნენ და ოკუპირებული იყო დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობა და ახალგორის რაიონი. (დღემდე ოკუპირებულია)

ზოგიერთებს იმედი ჰქონდათ, არიქა, 7 ოქტომბერს სარკოზი ჩამოვა საქართველოში და ქართველი ხალხის პროტესტზე თვალს არ დახუჭავსო. საინტერესოა, რა დასკვნა გამოიტანეს ამ ადამიანებმა, თვალები მიებნიდა ნამგზავრ სარკოზის თუ მისალები ყოფილა ორმაგი მსოფლიო სტანდარტი, ლიბიაში მსოფლიო დემოკრატიას დაუჭირო მხარი და საქართველოში ავტორიტარიზმს.

სარკოზიმ ჩემოდნებზე გადამჯდარი, საქართველოდან გასაქცევად გამზადებული ნაცბანდა ჩამოსხა, მითვისებულ თანამდებობრივ სკამებზე დააბრუნა ისევ და თვალხუჭობანას თამაშს რაღა უდგას წინ.

თვალხუჭობანა კი არა, სხვა სახელი ჰქვია იმას, როცა თვით პრეზიდენტი იმ ქვეყნის პრეზიდენტს აცხადებს მეგობრად, რომელმაც კორუფციაში დასდო ბრალი. დიახ, 2010 წლის გაზაფხულზე მიხეილ სააკაშვილმა „უოლ სტრიტ ჯოურნალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნიკოლა სარკოზი კორუფციაში დაადანაშაულა „მისტრალთან“ დაკავშირებით!

თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულმა სარკოზის სიტყვამ რაჭველების ორსიტყვიანი სიმღერა გამახსენა „წერეთელმა დაგვიბარა“ – აკაკი წერეთელმა რაჭის მიწა მაინც დაბარა სიმბოლურად, სარკოზიმ კი მხოლოდ ორი სიტყვა დაგვიბარა, რუსეთი ჩემი მეგობარია, „პარტნიორი და მეგობარი, აი, ვინ უნდა გახდეს რუსეთი საქართველოსთვის“, მაგრამ თქვენ თვითონვე აირჩიეთ, ვინ გინდათ მეგობრადო და მოვათავეთ „სარკოზ-შოუ“.



ელისეის სასახლეში მედვედევთან შეხვედრისას სარკოზიმ განაცხადა, რომ არ შეუძლია დილით თქვას, მე თქვენ გენდობით, მოდით, ერთად დავუჭიროთ მხარი უსაფრთხოების საბჭოს (გაეროს) გადაწყვეტილებას, საღამოს კი, – არა, მე თქვენ გემს ვერ მოგყიდითო. შესაბამისად, ეს საკითხი სააკაშვილისთვისაც გასაგებია, ალბათ, და ამიტომაც ატინგიცა ისედაც გატინგიცებული საქართველოს მოქალაქეები „მხსნელის“ თვალისა და გულის საამებლად. „მისტრალი“ რომ მხოლოდ გემი კი არა, სადესანტო-სატრანსპორტო ხომალდვერტმფრენმზიდია, ამიტომ მიაკერა მიშამ „სარკოს“ კორუმპირებულის იარლიყი შარშან თებერვალში, მაგრამ გაქრა, ყოველ შემთხვევაში, სიმბოლურ დავიწყებას მიეცა ეს ამბავი ორივე მხარისთვის, – ორივე მათგანის დაცემული რეიტინგის საქმეს დღეს ასე სჭირდება.

რა „ბლეფს“ ჰქონდა ადგილი 2008 წლის აგვისტოში, როცა სარკოზი ლავროვს სწვდა პიჯაკში და უყვირა, წერტილ-მძიმეთი ვინ გვეტყვის, მაგრამ სოსო ცინცაძეს თუ დავუჯერებთ, ლავროვს სარკოზი მოუტყუებია, სხვა დოკუმენტზე მოუწერინებია ხელი და ამაზე გადარეულა სარკოზი, მატყუარა ხარო, მიუხლია ლავროვისთვის, – ბნელა?

ფაქტია, რომ აშშ უკმაყოფილო იყო სარკოზ-მედვედევის შეთანხმების ტექსტის ფორმულირებით, მისი ორაზროვნება გარკვეული პუნქტების სათავისოდ ინტერპრეტირების საშუალებას აძლევს რუსეთსო, ეწერა კონდოლიზა რაისის მიერ აშშ-ის საელჩოსადმი გაგზავნილ დეპეშაშიც. რაისი ელისეის სასახლეს ახალი დოკუმენტის მიღების თაობაზე მოელაპარაკა კიდეც, მაგრამ რუსეთმა საკითხი ამოწურულად ჩათვალა და მოათავა ყველამ თავისი საკეთებელი.

ნიკოლა სარკოზი და ანგელა მერკელი (რუსეთის მეორე მეგობარი) რომ ევროზონაში „ეკონომიკური სახელმწიფოს“ შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ, რაც ყოფილ სსრკ-ს წააგავს, უკვე საქილიკო თემა გახდა, მაგრამ სარკოზსა და რუსეთს შორის „მისტრალის“ გარდა, მისი ტიპის საბრძოლო ხომალდების მიყიდვის რეალური პერსპექტივა როგორი თემაა? – ფაქტია, რომ რუსეთი და საფრანგეთი ძალზე დამეგობრდნენ. რითია გამოწვეული ეს „მეგობრობა“, ცალკე საკითხია, მაგრამ ამ მეგობრებში გაურკვეველი მოსაზრებით ჩაკვეხებული საფრანგეთის მეგობარი საქართველო, მთლად გადასარევი ამბავია, – დაუძინებელი მტრის მეგობარი როგორ ესახება მეგობრად ბატონ სააკაშვილს და მის მთავრობას, პირადად მე, ვერაფრით ვხვდები. საქართველოში, რუსეთის ხსენებისთანავე, ყველა რუსეთის კაცად სახელდება და სარკოზი რატომაა ნეტავ გამონაკლისი, მით უფრო, რომ მისი ამგვარი „ჩახუტება“ რუსეთთან თვით საფრანგეთის მთავრობის შიგნით არის განხეთქილების საგანი, – გაუგებარია.

სხვათაშორის, პარიზის ცენტრში, ელისეის მინდვრებთან ახლოს რუსეთმა გვარიანი ფართობიც შეისყიდა მართლმადიდებლური ეკლესიის ასაშენებლად, რასაც საფრანგეთის კონტრდაზვერვის სტრუქტურებმა ძალზე უარყოფითი შეფასება მისცეს, ეს ადგილი რუსეთის ერთგვარი სადაზვერვო ცენტრი გახდებაო. არადა, სარკოზისაც კარგად მოეხსენება რუსეთის დაინტერესება საფრანგეთში, მაშ, რა სჭირს სარკოზის? – რას გაიგებ...

„ყარაჩის საქმედ“ წოდებულ სკანდალურ საქმის გამოძიება ახალ ფაქტებთან და სახელებთან ერთად სარკოზიმდე მიდის. საქმე, რომელიც 1995 წელს პაკისტანისთვის 3 წყალქვეშა ნავის მიყიდვით დაიწყო, საკმაოდ ჩახლართულია და მის გახსნას ამდენი წელია დიდი მონდომებით ცდილობენ ფრანგი გამომძიებლები – საქმე სახელმწიფო მმართველობაში არსებულ კორუფციას ეხება. ეჭვია, რომ ნავების გაყიდვით მოგებული თანხა საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ბალადურმა საკუთარი საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად გამოიყენა, მისი კაბინეტის ბიუჯეტის მინისტრი კი ამ დროს სარკოზი იყო. გამომძიებლები ეჭვობენ იმასაც, რომ აღნიშნული კონტრაქტი მიბმულია პაკისტანში მომხდარ აფეთქებასთან, რომლის დროსაც საფრანგეთის 11 მოქალაქე დაიღუპა. ამ საქმეში გამოაშკარავებული არიან სარკოზისთან დაახლოებული პირები. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პრესცენტრმა უარჰყო და ჭორი უწოდა აღნიშნულ ეჭვს, ანალოგიური განცხადება გააკეთა სარკოზის მთავრობამაც, მაგრამ გამოძიება გრძელდება...

2007 წელს, ხელისუფლებაში მოსვლამდე, სარკოზის წინასაპრეზიდენტო ლოზუნგი „სუფთა მთავრობა“ იყო, თუმცა აღარ იჯერებენ ფრანგები, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია, ამდენად, „გამჭვირვალე მთავრობის“ მქადაგებელი სააკაშვილის და მისი მთავრობის პიარ-ტინგიცობა რამდენად წაადგება ბატონ სარკოზის, საკითხავია.

მოკლედ, ნიკოლას პაულ სტეფანე სარკოზი საფრანგეთისკენ გაუყვა გზას; ჩავათავეთ „თბილისობაც“, „ექვსიანიც“ დაიშალა, ახალი პარტიაც წამოიჩიტა და აბა, ჰე, მივხედოთ, აწი, ჩვენს გაფუჭებულ საქმეს რამეფრად, თვარა გლახათაა ნამეტანი საქმე.

**მაია ჭელიძე**

# xelisufleba ivaniSvilis winaaRmdeg brZolas iwyebs?!

**ირაკლი სესიაშვილი,**
**ექსპერტი:**

— პირველ რიგში, პირდაპირ ვამბობ ივანიშვილის განცხადებამ გადაფარა ყველაფერი, რაც ბოლო დროს ქვეყანაში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს პოლიტიკაში ჯერ სიტყვა არ უთქვამს, ყველა კარგად ხვდება, რომ მას სერიოზული პერსპექტივები აქვს — სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ მას საქართველოში საკმაოდ კარგი იმიჯი აქვს, მეორე — მას აქვს ის, რაც ქართულ პოლიტიკაში ყველაზე დეფიციტურია — ფული. როგორც ჩანს იგი ამ რესურსის დაზოგვას არ აპირებს. ამიტომ, ცხადია ამ ვითარებაში არსებული



პოლიტიკური მოცემულობა მთლიანად შეიცვალა. ცხადია, ხელისუფლებისთვის ეს სერიოზული რისკების მატარებელია იმიტომ, რომ აქამდე ხელისუფლებას არ ჰყავდა კონკურენტი და თავისი რესურსით მარტივად უმკლავდებოდა პოლიტიკურ პრობლემებს და ოპონენტებს. მაგრამ თუ ბიძინა ივანიშვილის გვერდით ძლიერი ძალა გამოჩნდება და მისი პოლიტიკური გუნდი ახალი, საინტერესო სახეებით დაკომპლექტდება, ცხადია, ხელისუფლება პოლიტიკური მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას შეეცდება, ეს პროცესი, უკვე დაწყებულია და ამაზე მუშაობს ვანო. ვშიშობ პროცესები კანონიერებას გასცდება, როგორც ამას ხელისუფლება აკეთებს და შეიძლება ძალადობრივი ხასიათიც მიიღოს. იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის არჩევანი არ არის მარტივი — ან მიდის ციხეში ან რჩება ძალაუფლებაში. ამიტომ ძალაუფლებაში დარჩენის სურვილით და იძულებითი მოცემულობით ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად. მიუხედავად იმისა, რომ აქტიური პოლიტიკური ცხოვრება გრძელდება, რისკები მატულობს.

**— ბიძინა ივანიშვილი ცნობილია ქველმოქმედებით, რასაც იგი საჯაროს არასდროს ხდიდა. როგორ ფიქრობ, რით აიხსნება მოცემულ მომენტში მისი პოლიტიკაში წასვლა?**

— ზოგადად ბიზნესმენებს სჩვევიათ, როდესაც ბევრ რამეს მიაღწევენ, მერე აკლიათ ხოლმე ერთი მნიშვნელოვანი რამ — მიიჩნევენ, რომ საკუთარი წვლილი ვიწრო წრეში კი არა, არამედ შეუძლიათ ისეთ საქმეში შეიტანონ, რომ ისტორიაშიც შევიდნენ. ცხადია, ბიძინა ივანიშვილს უყვარს ქვეყანა, სამშობლო, მაგრამ ამ ადამიანისთვის არის გარკვეული რომანტიზმი — მესია გახდეს და წვლილი შეიტანოს ქვეყნის გადარჩენაში. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ივანიშვილის ჩართვა პოლიტიკაში შეიძლება ერთგვარად მხარდაჭერილი იყოს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან იმიტომ, რომ დასავლეთი კი უკმაყოფილოა სააკაშვილის მმართველობით, რადგან აშკარა დიქტატორულ ნიშნებს ხედავს, მაგრამ დასავლეთი ვერ ხედავდა სხვა ძლიერ ფიგურას. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით ერთგვარად ცხადია პოლიტიკური ბალანსი დაირღვევა და დასავლეთსაც მეტი საშუალება ექნება ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელების. მათ შორის უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ბიძინა ივანიშვილს მეტი შანსი აქვს რუსეთთან საუბრის, ვიდრე ყველა დანარჩენს.

რისკები ძალიან მაღალია. დარწმუნებული ვარ ბატონ ბიძინას ეს ყველაფერი გააზრებული აქვს და ამ ბრძოლაში ბრმად არ ერთვება, მაგრამ საჭიროა მთელი რიგი პროცესების, წარსულის სწორად გაანალიზება, რათა მომავალში იგივე შეცდომები არ იქნება დაშვებული. იმედი მაქვს წარსულის გამოცდილება შეამცირებს ამ რისკებს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლება საკუთარ პოზიციებს ასე მარტივად არ დათმობს.

**გოგი ხუციშვილი,**
**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი:**

— კეთდება სხვადასხვა შეფასებები და ვარაუდები, თუ რა მოჰყვება ივანიშვილის განცხადებას, მაგრამ ყველა შემთხვევაში კარგია ის, რომ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება გააქტიურდება, გამოცოცხლდება, რაც ჩამკვდარი იყო. გამოცოცხლდება პოლიტიკური ბრძოლა. ხალხმა სიახლე დაინახა — პოლიტიკაში დიდი რესურსის მქონე ადამიანი ერთვება — ეს თავისთავად საინტერესო პროცესია. სხვა საკითხთა, რა პლატფორმა, რა პოზიცია აქვს მას, როგორი სახელმწიფოს ტიპის მომხრეა. მან უნდა თქვას რა უნდა, რა ტიპის პოლიტიკური ცვლილებები სჭირდება და რისთვის იბრძვის — ეს მკაფიოდ უნდა გააგებინოს საზოგადოებას. პირობები სხვაზე უკეთესი აქვს იმ კუთხით, რაც მას საქართველოსთვის აქვს გაკეთებული, ანუ ხალხი დადებითადაა განწყობილი.

**— რამდენად შესაძლებელია ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა პატარკაციშვილის სცენარით განვითარდეს?**

— ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ივანიშვილმა შეიძლება პატარკაციშვილის ბედი გაიზიაროს. შეიძლება ივანიშვილს ჰქონდეს უფრო ბიზნესის ჭკუა და ნაკლებად პოლიტიკოსის, ან სული არ ჰქონდეს, ბიზნესში წარმატება არ ნიშნავს ავტომატურად ძლიერ პოლიტიკოსობას. მაგრამ ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ივანიშვილი, ალბათ, გაითვალისწინებს იმ გაკვეთილებს, რაც ჩვენი ისტორიიდან მომდინარეობს, ანუ ბადრი პატარკაციშვილის ფაქტორს. ეს მინიმუმი უნდა იყოს. ჯერჯერობით იგი მხოლოდ განცხადებებს აკეთებს, ქმნის პარტიას, მაგრამ ხალხში დაგროვილ კითხვებზე პასუხი ჯერ გაუცემელია ამიტომ ჯერ ნაადრევია უფრო მეტი შეფასების გაკეთება. ჯერ თავად გაგვაგებინოს ნათლად თუ რას აპირებს.

**— ხალხი, როგორც პოლიტიკოსს ბიძინა ივანიშვილს გაჰყვება?**

— ისეთი პირი უჩანს, რომ ხალხი მას გაჰყვება, მაგრამ ამ ქმედებას მისი მხრიდანაც უნდა მოჰყვეს ჩამოყალიბებული პოზიცია.

**— რას იტყვით მის განცხადებაზე, რომ „კავკასია“ და „მაესტრო“ სააკაშვილის კონტროლის ქვეშ არის და ასევე ტელევიზიების ყიდვის შესახებ.**

— ერთ-ერთი დიდი შეცდომა ბადრი პატარკაციშვილის იყო ის, რომ მას ჰქონდა დიდი ფული, რესურსი და დაუპირისპირდა სახელმწიფო მანქანას. ამ შემთხვევაშიც, შეიძლება იგივე ილუზია გაუჩნდეს ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს — თუ დიდი ბიზნესი აქვს ე.ი. შეუძლია სახელმწიფო მანქანას დაუპირისპირდეს. ეს არის ილუზია, სახელმწიფო მანქანა ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი ბიზნეს-რესურსი. მაგრამ ამავე დროს მინდა ვთქვა — როცა ივანიშვილი აცხადებს, რომ ტელევიზიები „კავკასია“ და „მაესტრო“ სააკაშვილის კონტროლქვეშაა, ამას სერიოზული დასაბუთება უნდა მოჰყვეს. რას ნიშნავს ტელევიზიები სააკაშვილის მანქანააო როცა ამბობს? შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი იყენებს მისთვის მისაწვ-



დომ ფორმებში ყველაფერს ოპოზიციასაც, ტელევიზიებს. ეს შეიძლება ასე ავხსნათ, მაგრამ ამავე დროს რა გამოდის მისი განცხადებით — ტყუილია რომ ოპოზიცია, ოპოზიციური პარტიები, ტელევიზიები არსებობს? ეს პიარ განცხადებას უფრო ჰგავს.

**— მუსირებს აზრი იმის შესახებაც, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა შეიძლება სახელისუფლებო ძალებს აწყობდეთ. რამდენად რეალურია ეს?**

— ეს აზრი მთლად სერიოზულად არ მესახება, იმიტომ, რომ ამ დონის ბიზნესმენმა დაუჯერებელია პაიკის როლი შეასრულოს სხვის თამაშში. თუ მაინცდამაინც იგი რაიმე სახის გარიგებაზე წავა —ამას იმიტომ გააცხადებს, რომ შემდგომ ამაზე ააგოს საკუთარი თამაში და მაინც დაუპირისპირდეს მათ და ეცადოს მოვიდეს ხელისუფლებაში. ანუ ასეთი ქმედება უფრო შეესაბამება იმ ტიპის ადამიანებს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია.

თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა უფრო განვითარებული პოლიტიკური პოზიცია, ვიდრე დღეს აქვს ბიძინა ივანიშვილს. საკუთარი ტელევიზიის სახით პატარკაციშვილის უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული პროპაგანდისტული მანქანა, რაც არ აქვს ივანიშვილს. აპირებს იგი ამის შექმნას, ასე სწრაფად გამოვა ეს საქმე? ბადრი პატარკაციშვილი უფრო ოპოზიციურ პარტიებთან შეკავშირებაზე მუშაობდა. ეს პოლიტიკურად უფრო ლოგიკურია, ვიდრე ყველასთან დაპირისპირება, რაც ჯერჯერობით ივანიშვილის გამოსვლებიდან იგრძნობა. იმისთვის, რომ პარტია იყოს ძლიერი, გუნდია საჭირო. სად არის ივანიშვილის გუნდი? როცა ჯერ გუნდი არ არის ჩამოყალიბებული და აცხადებს პარტიას ვქმნიო, უკვე ულოგიკოდ ჟღერს ეს განცხადება, მისი გუნდის შესახებ ჯერ არავის სმენია, ეს არ ებმება ჯანსაღ პროცესებს. რაც მთავარია, მან ძველი სახეები არ უნდა გააცოცხლოს — ეს სერიოზული არ იქნება დღევანდელ ვითარებაში. მან ასევე უნდა გვითხრას ვის თვლის ნამდვილ და ვის ფსევდოოპოზიციად.

**— „ექვსიანის“ დაშლა და ივანიშვილის განცხადება დროში უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს. რა კავშირში შეიძლება იყოს ეს ერთმანეთთან?**

— განცხადება სარკოზის ჩამოსვლის დღეს გაკეთდა, რაც ნიშნავს, რომ ივანიშვილი სერიოზულ ბრძოლას აპირებს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — კი, კავშირშია ერთმანეთთან, ვინაიდან საზოგადოებაში პესიმისტური განწყობაა იმის გამო, რომ ვერ ყალიბდება ოპოზიციური ფრონტი, კოალიცია. ეს უარყოფით გავლენას ახდენს. ივანიშვილის ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნიშნავს ახალ იმედებს, ვარაუდებს საზოგადოებრივი ტვინი ცოტა ამუშავდა, რაც თავისთავად კარგია.

**თამარ შველიძე**

## პრეზიდენტის პრესსპიკერი ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე კომენტარს არ აკეთებს



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მის მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნას უკავშირდება, კომენტარს არ აკეთებს.

შესაბამისი განცხადება დღეს პრეზიდენტის ადმინისტირაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

„ამ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებისაგან თავს შევიკავებ“, — განაცხადა მანჯგალაძემ.

## საქართველოში ახალი ავიაკომპანია შემოდის

საქართველოში ახალი ავიაკომპანია „ფლაი დუბაი“ შემოდის, რომლის წარმომადგენელი „დუბაი ჯი“.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის აეროპორტის პრესსამსახურში განუცხადეს, თბილისიდან დუბაის მიმართულე-




ბით პირველი რეისი 3 ან 4 ნოემბერს შესრულდება.

ავიაკომპანია დუბაიდან რეისებს 45 ქვეყნის მიმართულებით ასრულებს. საქართველოდან ნებისმიერ ქვეყანაში ჩასასვლელად მომხმარებლებს დუბაის გავლით ტრანზიტული რეისით მგზავრობა მოუწევთ.

ქართულ ბაზარზე „ფლაი დუბაის“ მომსახურება მომხმარებელისათივს ყველაზე იაფი იქნება. ფრენის მინიმალური ღირებულება 270 დოლარს შეადგენს.

ავიაკომპანია 2008 წლიდან არსებობს და რეისებს ძირითადად აზიის მიმართულებით ახორციელებს.

## მსო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველო პოზიციის შეცვლას არ აპირებს

რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია უცვლელია.

ეს განცხადება დღეს პრეზიდენტის ადმინსტრაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინზე მიხეილ სააკაშვილის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

ჟურნალისტის კითხვაზე, გაგრძელდება თუ არა საქართველოსა და რუსეთს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკერები მიმდინარე წლის ბოლომდე, მანჯგალაძემ უპასუხა, რომ უკეთესი იქნება თუ მოვლენების განვითარებას დაველოდებით.

„რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია უცვლელია. ჩვენ ამის შესახებ ამ ტრიბუნიდანაც ბევრჯერ გვისაუბრია. ვინარჩუნებთ ჩვენს პოზიციებსა და შეთავაზებებს“, — განაცხადა მანჯგალაძემ.



**„მედიანიუსი“**

# saqarTvelo bewvis xidze



***გასულ კვირას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყველასთვის მოულოდნელად გამოჩენილმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა განცხადებამ პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების თაობაზე სასიკვდილო მახვილი ჩასცა მთელ ოპოზიციურ სპექტრს და ისედაც პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგდებულების საბოლოო დისკრედიტაცია კიდევ უფრო დააჩქარა.***

***საზოგადოება იმდენად არის გაოგნებული, რომ პოლიტიკური პროგნოზები არც ისე უხვსიტყვიანი და მრავალმხრივია, მაგრამ აშკარაა, რომ ყოველივე ეს ახალ სიცოცხლეს შეიტანს დაჭაობებულ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.***

***ივანიშვილის გამოჩენამ პირველი შედეგი უკვე გამოიღო — ადამიანებს უჩნდებათ იმედი და ეს უმნიშვნელო მოვლენა არ გახლავთ...***

***საქართველო 5 ოქტომბერს ბეწვის ხიდზე შედგა. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

***„საერთო გაზეთი" პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ესაუბრა. გთავაზობთ ინტერვიუს.***

**— ბატონო ჰამლეტ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ინიციატივაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მართალია, საზოგადოების უმეტესობამ დადებითად მიიღო ეს წინადადება, მაგრამ არიან სკეპტიკოსებიც. თქვენი შეხედულება როგორია?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილი რამდენადმე საიდუმლოებით მოცული ადამიანია. როგორც მე ვიცი, თავისი ბიზნესი მან ცარიელი ხელებით დაიწყო და მიაღწია იმას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად იქცა. არ არის გამორიცხული სააკაშვილიც იყოს უმდიდრესი ადამიანი, იმდენი ჭამა და თქვლიფა საქართველოს ქონება ამ 8 წლის განმავლობაში, მაგრამ ნამდვილი შრომით, გამჭრიახობით და გულმოდგინებით სწორედ ივანიშვილმა მოახერხა სიმდიდრის დაგროვება.

ვთვლი, რომ ის უაღრესად საინტერესო ადამიანია და მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს საქართველოს ცხოვრებაში. მისი საქველმოქმედო საქმეებიდან გამომდინარე, იგი ძალიან ეხმარება გაჭირვებულ ქართულ საზოგადოებას.

**— თქვენი აზრით, რატომ შეიძლება მას პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსვლის სურვილი გასჩენოდა?**

— მოგეხსენებათ, საქართველოში უაღრესად მძიმე მდგომარეობაა. სააკაშვილმა ყოველგვარი დაშვებული და დაუშვებელი საზღვარი გადალახა, ყოველგვარ ნორმას გადასცდა მისი არაადამიანური დამოკიდებულება საკუთარი მოსახლეობის მიმართ. ეს კაცი არც კი ფიქრობს ხელისუფლებიდან წასვლას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც კი. მან კონსტიტუციაც კი შეაცვლევინა და საკუთარ ტანზე ჩოხასავით მოირგო. თუ პრეზიდენტს ხელისუფლებაში ყოფნის ორი ვადა აქვს, პრემიერ-მინისტრს არავითარი ვადა არ აქვს და სააკაშვილსაც სამუდამოდ სურს საქართველოზე იბატონოს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიები ისე აქვს ათვისებული ამ მთავრობას და მთელ ნაცმოძრაობას, რომ ისინი კიდევ მრავალჯერ დასვამენ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობის საკითხს.

ახლა ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, რომ სააკაშვილმა არ დატოვა არც ერთი შანსი იმისა, რომ მასზე ნორმალურად იფიქროს ნებისმიერმა ქართველმა, ეს ივანიშვილი იქნება, ჭიპაშვილი, კალანდაძე თუ ნებისმიერი სხვა.

თავიდან, როცა ივანიშვილის განცხადება მოვისმინე, უნდა გითხრათ, მეც გამიჩნდა სკეპტიკური განცდა — ესეც სააკაშვილის და მისი პიარ-მასწავლებლების პროექტი ხომ არ არის-მეთქი? ეს ეჭვი გამოვთქვი კიდევაც ერთ რადიოგადაცემაში, მაგრამ პასუხი ამ ეჭვზე მერე მე ვითონ გავეცი — თუ ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გულწრფელი „თამაშია" და არ არის შეკრული სააკაშვილთან, მაშინ ვთვლი, რომ ის იქნება ერთადერთი ძალა, რომელიც თავისუფლად დაამარცხებს ნაციონალურ მოძრაობას ისე, რომ უკან ჩამოიტოვებს ყველა ე.წ. ოპოზიციურ პარტიას, რომელთა ნაწილი გადაჯაჭვულია ხელისუფლებასთან. საპარლამენტო ოპოზიცია, ფაქტობრივად, არის სახეშეცვლილი ნაციონალური მოძრაობა. ყველა ესენი ცდილობენ დასტყუონ ფული ხელისუფლებას. სხვა ოცნება მათ არა აქვთ. ეს იცის საზოგადოებამ და საზოგადოება არ გაჰყვება ამ ოპოზიციას.

ბიძინა ივანიშვილმა სულ ახლახან განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ და დარწმუნებული ვარ, რიგი იქნება უკვე დამდგარი ბანკი „ქართუს" შენობასთან. ალბათ, ეს ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები ერთმანეთს ასწრებენ ივანიშვილს რომ მიეტმასნონ, რადგან პოლიტიკური სიკვდილისგან გადარჩნენ.

**— ე.ი. არც ერთი პარტიის წარმომადგენელი და არც ერთ პარტიაში ნამყოფი გვერდით არ უნდა დაიყენოს? არჩევნებამდე ცოტა დრო არის დარჩენილი იმისთვის, რომ ახალი პოლიტიკური ფიგურები გამოიძერწოს.**

— ჩემი დიდი სურვილია, რომ ბიძინა ივანიშვილი იყოს გულწრფელი. თუ მის უკან არ დგას რაიმე სახის პოლიტიკური თამაშები, მას მართლაც აქვს გადაწყვეტილი, რომ იბრძოლოს პრემიერ-მინისტრობისთვის და პარლამენტში უმრავლესობისთვის, ის წარმატებას მიაღწევს, თუკი მის მიერ ჩამოყალიბებულ პარტიაში არავითარ შემთხვევაში არ გაჭაჭანებს შევარდნაძისტებს და შევარდნაძესთან და მის ოჯახთან რაიმეთი ოდესმე დაკავშირებულ ადამიანებს, ანუ მათ, ვინც გზა გაუკაფა სააკაშვილს ხელისუფლებისკენ, ესენი არიან, მაგალითად, ვაჟა ლორთქიფანიძე, ლევან მამალაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ჯორბენაძე, რჩეულიშვილი და ა.შ ანუ ყველანი, ვინც ბოდიშით და, გასკდნენ საქართველოს ჭამით, იმდენად გასკდნენ, რომ კისრის მოტრიალებაც არ შეეძლოთ და ბოლოს ყველაფერი დაუთმეს სააკაშვილს მშვიდი ცხოვრების სანაცვლოდ. ამანაც მისდგა და ბოლომდე გამოხრა ეს ქვეყანა...

ბატონმა ბიძინამ თუ ვინმე აქედან გააჭაჭანა თავის პარტიებში, აპრიორი ვამბობ, ეს იქნება მისთვის ძალიან დიდი მარცხი და არავითარი ძალა მერე აღარ უშველის. შევარდნაძისტების სიაში არ გამოვარჩევ მხოლოდ ე.წ. პოლიტიკოსებს, აქ იგულისხმებიან, როგორც ჟურნალისტები, ისე, მწერლები, მსახიობები, სხვა საზოგადო მოღვაწეებიც.

ყური მოვკარი, რომ ივანიშვილის პარტიაში, შესაძლოა, ვიხილოთ ოთარ მელუვინეთუხუცესი, ქეთი დოლიძე, გურანდა გაბუნია... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჯერ ერთი, ასაკიდან გამომდინარე, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, ეს იმ ასაკის ხალხი არაა, ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რომ გვერდით ამოიყენო, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი უნდა დაესვას მსახიობების, სპორტსმენების, მომღერლების ჟივილ-ხივილს პოლიტიკასა და პარლამენტში. ვინც ჩამოვთვალე, პატივსაცემი ადამიანები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტში კანონმდებლობის შედგენაში მონაწილეობა მიიღონ.

მე პარლამენტს ვიცნობ ძალიან კარგად, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოდან დაწყებული, გამსახურდიას უზენაესი საბჭოდან, შევარდნაძის პარლამენტიდან და ა.შ. მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი აპარატის უფროსი, სამდივნოს უფროსი, ვიყავი პარლამენტარი და ვიცი, რას ნიშნავს ეს. თუკი ივანიშვილს სურს დაამკვიდროს პარლამენტარიზმი, მაშინ მომღერლები და მსახიობები პოლიტიკოსებად არ უნდა მოიაზროს.

**დრო მართლაც ცოტაა. ახალ პარტიას სჭირდება ახალი სისხლი. ძველის გამეორება პოლიტიკისთვის არის ძალიან ცუდი.**

**— თუ არც ოპოზიცია, არც საზოგადოებისთვის პატივსაცემი ცნობილი ადამიანები, მაშ, ვინ, თქვენი აზრით, ვინ წარმოგიდგენიათ ახალ პარტიაში?**

— იცით, შეიძლება მოძებნა, მაგრამ ამისთვის საჭიროა კარგი „მაძიებელი". ბიძინა ივანიშვილი იცნობს მწერლებს, პოეტებს და ა.შ. რომელთაც დამსახურებისამებრ პენსიებს უგზავნის, მაგრამ ისინი მას პარლამენტში არ გამოადგება. ნუ ეწყინება ნურავის. ბრძოლისთვის საჭიროა ენერგია, გამოცდილება. მე წელან ჩამოვთვალე ჩემი ე.წ. საპარლამენტო გამოცდილება, მაგრამ წარმოიდგინეთ, მე თვითონაც ვთვლი, რომ არა ვარ იმ დონეზე, რა დონეზეც უნდა იყოს პოლიტიკოსი.

მე ვამბობ, რომ ვარ პოლიტოლოგი, მაგრამ ხვალ წავალ თეატრში და ვითამაშებ ჰამლეტს? რატომ ჰგონიათ მსახიობებს, რომ ითამაშებენ პოლიტიკოსს? სცენაზე კი, ბატონო, მაგრამ რეალობაში?!

როდესაც ბატონი ბიძინა გაიმარჯვებს, შესაცვლელია ყველაფერი, რადგან ნაციონალებმა ყველგან გაიდგეს თავიანთი ბინძური ფესვები; ივანიშვილი ამბობს, რომ ამ ფესვების ამოძირკვას სამ წელიწადში მოახერხებს. მე გეუბნებით, რომ სამი წელიწადი არ ეყოფა ამას. თქვენ, შეიძლება, არც გაქვთ წარმოდგენილი, რა სიღრმეებში არიან ესენი ჩასული, როგორ შეცვალეს ძირფესვიანად ქართული ცხოვრება და მენტალიტეტი.

**— ლოგიკური იქნება დავსვათ შეკითხა — დაემუქრება თუ არა მის სიცოცხლეს საფრთხე?**

— საფრთხე არსებობს და ეს არის სერიოზული გამოწვევა არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ მთელი ოპოზიციური სპექტრისთვის.

საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ვიღაცამ რომ თქვას, ივანიშვილს შეხვედრა ჰქონდა ახლანდელი ოპოზიციური სპექტრის რომელიმე წარმომადგენელთან, ან ოქრუაშვილთან, ან გაჩეჩილაძესთან, ან კიწმარიშვილთანო, როგორც კი ამას იტყვიან, მერწმუნეთ, ივანიშვილი დამთავრდება ქართული საზოგადოების თვალში, ამით ისარგებლებს ხელისუფლება და მძლავრი მედიამანქანის საშუალებით უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღავს მას. თუმცა ხელისუფლება ისედაც ლანძღავს უკვე წიკლაურის და მისნაირების ენით.

ხელისუფლებას ივანიშვილის სახით უაღრსად დიდი თავსატკივარი გაუჩნდა, მაგრამ ბატონმა ბიძინამ, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს ის გამოცდილება, რაც ვნახეთ პატარკაციშვილის შემთხვევაში.

**პატარკაციშვილმა წააგო სწორედ მიტმასნილი ხალხის გამო, თარგამაძეების, გელბახიანების და მათი მსგავსი კატეგორიების გამოისობით. აქ არ უნდა იქნას შეცდომა დაშვებული, თორემ ეს შეცდომა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს.**

**— ბიძინა ივანიშვილმა გაავრცელა ასეთი სახის ინფორმაციაც: ტელეკომპანიების — „მაესტროსა" და „კავკასიის" მესვეურები, თუ უკვე არა ხართ სააკაშვილს მიყიდული, მე დაგეხმარებით და 3 წელიწადში ერთ ლარად გადმოგცემთ საკუთარ მფლობელობაში თქვენს ტელეკომპანიებსო...**

— საქმე იმაშია, რომ არც „მაესტრო" და არც „კავკასია" მას არ გამოადგება. რაში სჭირდება გადაბირებული ჟურნალისტები?! რაში შეიძლება გამოიყენოს „კავკასია", რომლის მაუწყებლობა გლდანსაც კი ვერ წვდება. ან, რად უნდა ეს დეგრადირებული აქუბარდია?! რაც შეეხება „მაესტროს", ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, აქვს თუ არა ამ ტელევიზიას რაიმე შეხება ხელისუფლებასთან.

ასე რომ, ყველაფერი წინაა და ვნახოთ, რა იქნება.

**ირანდა კალანდაძე**



## მის უწმინდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II

ე.ს.მ. „წმინდა გიორგის სადროშოს" ერთ-ერთ დამფუძნებლიმ
დიაკონ **ელიზბარ დიაკონიძის**

# ღია წერილი

ნეტავ, ვინმემ იცოდეს, როგორ მიჭირს რაიმეს თქმა; შენ ხედავ ყოველს, უფალო, შენ ხარ ყველაფრის მომხილავი და მართლად აღმქმელი, შენ ერთადერთი ხარ, ვინც იცის, რას გრძნობს შენი ულირსი შვილი, რა სურს მას, ვინ უყვარს და რისკენ მიილტვის, შემინდე და მომიტევე ჩემი უსაქციელობა, რომლებიც მრავლად ჩამიდენია ჩემი ცხოვრების მანძილზე: სულ პატარა ბიჭობიდან ვებრძოდი შიშს, რომელიც ყოველ ადამიანს აწუხებს და თრგუნავს, ყმაწვილკაცობაც, სტუდენტობაც და კიდევ მრავალი წელი ამ შიშის დათრგუნვას შევალიე: ყველაფერი გამოვცადე ამ გზაზე, უამრავი დაბრკოლება გადავლახე, უამრავი — ვერა და ძალიან გვიან მივხვდი, რომ მხოლოდ შენით და შენში შეიძლება იყოს ადამიანი უშიშარი. მხოლოდ შენ ძალგიძს მოეფერო და გააძლიერო, განაგულადო შენი ქმნილება და სახე შენი სიდიადისა — ადამიანი.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, არათუ ჩემთვის, მთელი ერისთვის საყვარელო და სათაყვანებელო მამავ, ძალიან ძნელ და დიდ გრძნობას შევეჭიდე, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია, ამას ბავშვობიდან მინერგავდა მშობელი მამა, ის მასწავლიდა, რატომ არ უნდა მშინებოდა და რა იყო ჩვენთვის „სამშობლო". მერე, როდესაც მამა უფალმა თავისთან მიიხმო და მე ნაპირზე გამორიყული თევზივით დავრჩი ამ ტიალ წუთისოფელში, მოხდა საოცრება, უფალმა დიდი მადლი მოიღო ჩემზე და თქვენს წიაღს შემაფარა. ვერც ვიოცნებებდი დიდი მამის კალთასთან მიახლოებასაც კი, არა თუ მასზე შეხებას, მაგრამ ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალე უფლისათვის არაფერია შეუძლებელი. მაშინვე დავისახე მიზნად თქვენი ერთგულება. მინდა გითხრათ გამოტეხილად, რომ ხშირად ვისუსტე და ვერ გამოვხატე ჯეროვნად რამდენად ვიყავი თქვენი სიყვარულისა და ყურადღების ღირსი (ჩემი ბიოგრაფიული დეტალები თქვენს თვალწინ ხდებოდა და წვრილად იცით მათ შესახებ), ამიტომ **შენდობას ვთხოვ თქვენს მაღალღირსებას** და ჩემს ცოდვილ სულს გავედრებთ ლოცვებში მოსახსენიებლად.

ჩვენს ეკლესიას რაც სჭირს, ადვილად შესამჩნევია, რუსული ეკლესიის მიერ გაპარტახებული, კომუნისტების ხელით ლაფში ამოსვრილი და სულიერად გაბახებული დედა-ეკლესია ჩაიბარეთ, ფაქტობრივად. რაღა თქმა უნდა, რომ ეკლესია სავსე იყო აგენტურული ქსელებით და ვისაც არ ეზარებოდა, ყველანი მაშინდელი „სუკ"-ის თანამშრომლებთან გარბოდნენ ენის მისატანად.

თქვენ შეეცადეთ ეკლესიის განწმენდას, მახსოვს, სვეტიცხოველში ჩატარებული საეკლესიო კრება. დამეთანხმეთ, რომ ეს კრება უშედეგო გამოდგა. ეკლესიამ არათუ გადაიძრო „სუდარა" და მთელი ბრწყინვალებით წარსდგა ერის წინაშე, არამედ უფრო მჭიდროდ შემოიჭირა და გამალებული შეუდგა მის შენიღბვას. მით უფრო ამის წინა ხელისუფალს, თქვენი ნათლულის — ედუარდ გიორგი შევარდნაძის ხანაში. მე და არა მარტო მე, თვალებში შემოგცქეროდით ჩვენს დიდ მამას და ველოდით თქვენგან დუმილის დარღვევას. მერე ვფიქრობდით, რომ, ალბათ, ჯერ დრო არ დამდგარა-თქო. ჩვენც ვსარგებლობდით თქვენი დუმილით და უფრო ვმტკიცდებოდით სამშობლოს სიყვარულში. უფალი გვაძლევდა ძალას და იმედს, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მოგვიწოდებდით სამშობლოსა და დედა-ეკლესიის გადასარჩენად. თუმცა ისევ მოლოდინის რეჟიმში ვიყავით. ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილ უზნეო საქციელების დამნახავები, კვლავ შემართებით წამოვდექით და კვლავაც ველოდებით თქვენს მოწოდებას. მე უბირსა და ცოდვილს სიყვარული მაქვს თქვენს მიმართ და უბრალო ჯარისკაცად წარმომედგინა თავი, არასდროს მიფიქრია გენერლობაზე. მე თუ არ უნდა ვყოფილიყავი ჯარისკაცი.

**შენდობას ვითხოვ, შემინდეთ, დიდო მეუფევ.**

საბჭოთა ჯარში მსახურების დროს ყოველი ქართველი თაკილობდა ბინძურ საქმეში მონაწილეობას, არავის გვინდოდა ნაგვის ქექვა ან „პარაშაში" ხელის გასვრა, ამიტომ სულ ვიყავით წინააღმდეგობაში საბჭოთა ხელმძღვანელობასთან. ჩემს სამხედრო ნაწილში მყოფი ქართველები ვცდილობდით ტექნიკას და ტაქტიკას დავუფლებოდით, რომ ეს ცოდნა შემდეგ ჩვენი სამშობლოსთვის მიგვეყრომა, ხოლო ისინი (საბჭოთა აზროვნებით განმსჭვალულნი) ცდილობდნენ ქართველები ჰოლოდათ ამ ყველაფრისგან შორს და ბინძურ მონებად გამოვეყენებინეთ. ეს ხდებოდა საბჭოთა რუსეთში და რაოდენ გავოცდი, როდესაც იგივეს საკუთარ სამშობლოში წავაწყდი. ზემოთ ჩამოთვლილ ხელისუფალთა ხანაში შეუძლებელი შეიქნა სამშობლოს სიყვარულზე არათუ საუბარი, ან ზრუნვა, არამედ ფიქრიც კი. ბოლო იმედად დედა-ეკლესია მივიჩნიე, მაგრამ აქაც სათაკილო აღმოჩნდა სამშობლოს ჯარისკაცობა და ისევ წუმპეში გორაობას მირჩევდნენ. ჰმ, ვაჟა გამახსენდა: „დადედლებული მამალი საელდო სანახავია".

როგორ მახსოვს თქვენი ქადაგება, როდესაც აღნიშნეთ საბჭოთა რეჟიმის დროს გარდაცვლილთა შესახებ და შენდობა მიეცით იმათ სულებს. თქვენ მაშინ ბრძანეთ, რომ მათ მეტი საშუალება არ ჰქონდათ სხვაგვარად მოქცევისა. გულზე მომხვდა ეს ამბავი, მომაგონდა ცხონებული მამაჩემი და ყურში ჩამესმა მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა. გადავწყვიტე არ დამემსახურებინა ასეთი „სამადლო" შენდობა და ჩემთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება გამომეყენებინა ამისათვის.

**შენდობას ვითხოვ ამ გადაწყვეტილების თვითნებურად, თქვენდა დაუკითხავად მიღებისათვის.**

წინა ხელისუფლების დროს გადავწყვიტე სკოლაში დამეწყო მოღვაწეობა, რათა ბავშვებში გამეღვიძებინა პატრიოტული სულისკვეთება, მათთვის შთამებერა ქართული მართლმადიდებლური სული. ჰოი, საოცრებავ, აქაც ეკლესიიდან წავაწყდი ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. მღვდლები გადამიდგნენ წინ და სკოლა დამატოვებინეს. მანამდე ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრაზე დავიწყე მუშაობა, აქაც იგივე მოსაზრებით, რომ სტუდენტთათვის მესწავლებინა სამშობლოსა და დედა-ეკლესიის სიყვარული.

სოხუმელ სტუდენტებს ვუკითხავდი, თუმცა იქაც მეუფე ანანია ჯაფარიძის მიერ დადგმული ბინძური თამაშის მსხვერპლი აღმოვჩნდი, (ამის შესახებ წვრილად იცის ქალბატონმა შორენამ, ხოლო იცოდით თუ არა აქამდე თქვენ, ჩემთვის უცნობია). ისევ ეკლესიის წიაღი იბრძვის საღი აზრის წინააღმდეგ. ისევ შიგნიდან წავაწყდი წინააღმდეგობას. სასწავლო პროცესისა და საერთოდ, სასკოლო მუშაობის სრულიად არ შეფასება არაფრად მიაჩნიათ „ეკლესიის სიწმინდის დამცველთ", მაგრამ, დამეთანხმებით, პატრიოტიზმი ბუჩქებში შეძრომას არ ნიშნავს ქართველთათვის, განსხვავებით ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებისაგან. თუ აქაც საბჭოური აზროვნება გვიშლის ხელს? აქაც დამამუნათეს, თვითნებობო. შენდობას ვითხოვ ამ თვითნებობისთვის.

მოკლედ, „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო", ასეა ჩემი საქმე. მაგრამ ჯიუტად განვაგრძობ სამშობლოსა და თქვენს სიყვარულს.

შენდობას ვითხოვ ამ სიჯიუტისთვის.

მე კვლავაც განვაგრძობ ეკლესიის, სამშობლოს და თქვენს მტერთა მხილებას და მათ სიბილწეთა სააშკარაოზე გამოტანას, რადგან, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დუმილი ოქრო ნამდვილად არ გახლავთ. ისევ ვაჟა: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა!"

**შენდობას ვითხოვ ასეთი ფიქრისათვის.**

თქვენი ეპისტოლეებით ვსაზრდოობთ, თქვენი გამონათქვამებით ვინათებთ ირგვლივ გამეფებულ წყვდიადს და ვცდილობთ, მარტო ჩვენი თავი კი არა სხვებიც გამოვიყვანოთ ამ „წკვარამიდან", ისევ თქვენი სიყვარულისა და სიბრძნის იმედით.

**შენდობას ვითხოვ, დიდო მეუფევ, ამ მცდელობისათვის.**

თქვენ მიგითითებენ ეკლესიაში გამეფებული დუმილისკენ, ჩამოთვალეს კიდეც რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ერისათვის საბედისწეროდ მიიჩნევა, თუმცა მე მათ შევახსენებდი იმ ფაქტს, როდესაც თქვენ არ დუმდით და ქმედითი ნაბიჯებიც კი გადადგით ამ ხელისუფლების იმიჯის გასაძლიერებლად. კერძოდ, ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პარლამენტთან ბატონი ზვიად ძიძიგური თანამოაზრეებითურთ შიმშილობდა და იმ დროს ეს ხელისუფლება ერთგვარ ცაიტნოტში აღმოჩნდა, თქვენ მამაშვილურად მიბრძანდით, მიართვით სეფისკვერი და აღკვეთეთ შიმშილობის აქტი ამ ხელისუფლების სასარგებლოდ. შიმშილობა თვითმკვლელობასთან ასოცირდება და თავისთავად, სჯულის კანონის დარღვევად აღიქმება, მაგრამ განა სჯულის კანონის დარღვევა არ არის სამშობლოს ღალატი? განა იმ კანონში სწერია, რომ ეკლესიის ღირსების შერყვნა და გახრწნა არის დაშვებული? რა თქმა უნდა, არა. განა იქ არის სადმე მითითებული, რომ მოიკვეთოს არა ღირსების შემრყვნელი, არა დედა-ეკლესიის მოღალატე, არამედ ამ ფაქტის მამხილებელი? თუ დიაკონთან იოლია დაჭიდება, ვიდრე მასზე მაღალ იერარქებთან? ხომ არ ჰგავს ეს იმ უგვან ზრდასრულ „მამრს" (მას კაცს ვერ ვუწოდებ), რომელიც მცირეწლოვან ბავშვს დაამარცხებს და ამით „ვაჟკაცობს"?

**შენდობას ვითხოვ ამ შეკითხვებისათვის!**

2008 წლის აგვისტოს თვის საზიზღრად წაგებული ომის შემდეგ თქვენმა მოწყალე გულმა ისე შეიცოდა ეს ჰალსტუხს მიტანებული და მშიშარა ხელისუფლება, რომ შეეცადა მათი გულების გამხნევებას და ხალხის თვალში მათი ბოლომდე დაცემული იმიჯის აღდგენას. ამ მიზნით თქვენმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ „ცოცხალი ჯაჭვის" (?)... იდეა მიაწოდა საზოგადოებას, რამაც წარმატებით ჩაიარა, მთელი ერი თქვენს ერთ მოწოდებაზე ჩადგა ამ ჯაჭვში. ამით ისევ ხელისუფლებამ იხეირა და ერის ამ ნაბიჯს ამ უმადურებმა რელიგიათა შესახებ მიღებული კანონპროექტის მიღებით უპასუხეს.

**შენდობას ვითხოვ ამ მტკივნეული ამბის შეხსენებისათვის.**

ივლისის თვეში სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ეკლესიისა და სამშობლოს მოღალატე, ხელისუფლების დაკრულზე მოთამაშე, მათ „ხელის ბიჭებად" ჩამოყალიბებულ მეუფეთა შესახებ. 37 მეუფიდან მხოლოდ თხუთმეტამდე ერთგული შემორჩა დედა-ეკლესიას და თქვენს უწმინდესობას. ზოგი იმ „ხელის ბიჭთაგანი" უკვე ხმამაღლა აცხადებს, რომ ის მომავალი პატრიარქია და აშკარად, ყველას თანდასწრებით ითხოვს შესაბამის ყურადღებას.

საჭიროდ მივიჩნევთ, რომ საპატრიარქოში შეიქმნა ქართული კულტურის განყოფილება, რომელიც ამჟამად არ არსებობს, არადა დამეთანხმეთ, რომ ასეთ განყოფილებას აქვს არსებობის უფლება ეკლესიის წიაღში და ამასთან ძალზედ საჭიროა, რათა ეკლესიამ შეიმუშაოს ეროვნული გადარჩენის პროგრამა და დასახოს გზები ერისა და ეკლესიის შედუღაბებისათვის.

**ისევ გთხოვთ შენდობას ასეთი აზროვნებისათვის.**

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, საყოველთაოდ ცნობილია თქვენი სიყვარული და დამოკიდებულება მღვდელმთავართა მიმართ, ყოველი მათგანი თქვენს მიერ ხელდასმულია, აკი ქადაგებაშიაც ბრძანეთ, რომ თქვენ ჯერ არ შეგხვედრიათ მოღალატე მეუფენი, თუმცა თვითონ მათ დაუმტკიცეს საზოგადოებას საპირისპირო.

გასაგებია, თქვენი ჯიუტი სიყვარული შვილთა მიმართ, მაგრამ ხომ არ შეიძლება ოცდაორ კაცს, რომელიც არად დაგიდევთ არც თქვენს სიყვარულს, არც სამშობლოს, არც ერს და არც მრევლს, გადავაყოლოთ მთელი ერი? ამ ოცდაორი მეუფის პირადი კეთილდღეობა ხომ არ არის ერის კეთილდღეობის განმსაზღვრელი? რა თქმა უნდა, არა. თელი ერი, მთელი საქართველო ხომ თქვენი შვილები ვართ, თქვენს ლოცვა-კურთხევას შემოვედრებულნი, თქვენი სიცოცხლისთვის, დედა-ეკლესიისათვის და სამშობლოსათვის თავგადადებულნი. არაფერი დაგვრჩა „სამშობლოსაგან", გარდა განცდისა, ახლა ეკლესიაც თავზე გვემხობა. მის გადასარჩენად და დასაბრუნებლად ძალიან ძნელი, უთანასწორო ბრძოლა გველის გვინდა დაგარწმუნოთ, რომ მზად გახლავართ ამ ბრძოლისათვის, მზად გახლავართ თავდადებისათვის, მზად გახლავართ ყველაფრისათვის, სიკვდილისთვისაც, ოღონდ შვილებს, შთამომავლობას, აღდგენილი, სულიერად ძლიერი სამშობლო და დედა-ეკლესია დავუტოვოთ მათზე მზრუნველი, მათთვის მლოცველი და არა მათი მაიგნორირებელი. გასაგებია, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთად უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ არა ქვეყნის, არა ერის დეგრადირების, არამედ მათი სულიერი და მატერიალური განვითარებისა, მათში ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ჩამოყალიბებისათვის. ჩვენ კი რა მივიღეთ? — ყველანი ცალ-ცალკე ვზრუნავთ პირადი კეთილდღეობისათვის და ერიც და ეკლესიაც არად გვენაღვლება.

**კვლავ შენდობა მინდა გთხოვოთ ამგვარ ფიქრთათვის.**

ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ხშირად გვანებივრებს ხოლმე „საოცარი სიახლეებით", ხან უმსგავსო ძეგლის (ე.წ. „წმ.გიორგის" ძეგლი) აღმართვით, ხან არსებულ ძეგლთა უაზრო გადაადგილებით, ხან უცხადეს ოპერას გადაკეთებით, რითაც ის ბილწავს, უფრო მეტიც, ძირფესვიანად თხრის ქართულ საოპერო და საერ-რთ, ჩვენ ყურს მოსწვდა ინფორმაცია, თითქოს ეს ხელისუფლება აპირებს ახალ წელს ახალი პატრიარქით და „განახლებული" სინოდით შეხვდეს. აკი, ამისთვის ამზადებს კიდეც ნიადაგს, ადრეც ვწერდი და ახლაც ვამბობ, მე, მამა ელიზბარი და მთელი „წმ. გიორგის სადროშო"

„მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას"
გაბრიელ გარსია მარკესი

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ID baraTi _ mxecis niSani

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთი წლის ანგარიშის მიხედვით (თებერვალი 2004 – თებერვალი 2005) ნათქვამი იყო, რომ „შემუშავების პროცესშია საქართველოს მოქალაქის პლასტიკური მოწმობა“ – რომელიც შეიცავს ე.წ ჩიპს (და რიცხვს 666).

საქართველოს საინფორმაციო საშუალებებმა გაზაფხულზე დიდი სიამაყით გვამცნეს, რომ საქართველოში ბიომეტრიული პასპორტების გაცემა დაიწყო. აქვე განმარტეს, რომ ბიომეტრიულ ცენტრში დამზადებული პასპორტი ჩვეულებრივი დოკუმენტია, რომელსაც დამატებული აქვს პიროვნების საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი. მისი დამზადება 7 მლნ ევრო დაჯდა და დაფინანსების სოლიდური ნაწილი ევროკავშირმა გამოჰყო. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ტიპის პასპორტების სისტემაზე გადასვლა მოქალაქეების ევროკავშირის ქვეყნებში გასვლას კიდევ უფრო გაამარტივებს.

ეს ხომ დაცინვას ჰგავს, – ევროპის ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტი დეპორტზე ხდება და რა მნიშვნელობა აქვს, რა სახის მოწმობით ჩავა თუ უკანვე უნდა გამოაბრუნონ? ან რა ინტერესი აქვს ევროკავშირს ჩვენი ბიომეტრიული პასპორტებით დასაჩუქრებისა, რატომ გაიღო მილიონობით ევრო იმაში, რაც ევროპაში უარყოფილი იქნა? ვისი და რა ინტერესი დევს ახალი მოწმობების უკან?

როგორც საქონლის სახეობათა მიხედვით იცვლება შტრიხ-კოდები, იგივე ხდება მასზე ადამიანის შესახებ ინფორმაციის დატანების შემთხვევაშიც, ერთადერთი, რაც საერთოა ყველა შტრიხ-კოდისთვის, ესაა რიცხვი 666. (ამოტრიალებულად 999, რაც შარშანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებსაც ჰქონდათ დატანილი და საქართველოში წარმოებულ სიგარეტს, რომელიც ბავშვებმა მიჩვენეს და მკითხეს, ესწავლათ თუ არა იმ წიგნებით, ან სიგარეტის მწეველი „მხეცს“ ფილტვებში უშვებდა თუ პირიქით, ცეცხლში წვავდა)

თანამედროვე ტექნოლოგიებში შტრიხ-კოდი დატანებულია მაგნიტურ ლენტზე – საკრედიტო პლასტიკურ ბარათებზე, პლასტიკურ მოწმობებზე და ა. შ. რაც თვალისთვის უხილავია. მას სპეციალური ხელსაწყო წამებში აღიქვამს და ხდება გრაფიკული ხაზების დეკოდირება, ანუ აქცევს ისევ ასო-ციფრულ ინფორმაციად, მოათავსებს მას მონაცემთა ბაზაში და ჩაატარებს ამ ინფორმაციაზე საჭირო ოპერაციებს.

საიდენტიფიკაციო ნომერთან ერთად დატანილი იქნება დაწვრილებითი ინფორმაცია ამ „ბეჭდით დატვიფრულთა“ შესახებ, რომლებიც, საკუთარი მონაცემებითა და საიდენტიფიკაციო ნომრით დაკავშირებულნი იქნებიან ცენტრალურ კომპიუტერთან, – „მხეცი.“

მასონობის არაერთი მკვლევარი წერს, რომ ოკულტური წრეები, მასონები, მნიშვნელოვანი რანგის პოლიტიკოსები და მაღალი ფინანსური წრეები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული საერთო მიზნით.

მასონობის ცნობილი და ავტორიტეტული მკვლევარი ს. ლურიე წერს: – უძველეს ლიტერატურაში ჩვეულებრივია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო ებრაელობა, მისი მოკრძალებული გარეგნობის მიუხედავად, წარმოადგენს „საშინელ კარმას,“ რომელიც ცდილობს მთელი მსოფლიოს დაპყრობას, ფაქტობრივ კი, მას იგი თავისი საცეცებით უკვე ხელში ჰყავს. ამ ადამიანებს საზოგადოებისგან მართლაც აქვთ დასამალი – მათ იციან ის, რაც არ ვიცით ჩვენ.

ნიუ-იორკში, 11 სექტემბრის ტერაქტი გამოყენებული იქნა ამ ტოტალური კონტროლის სისტემის დასანერგად. 2001 წლის 11 ოქტომბერს, აშშ-ის სენატმა მიიღო ანტიტერორისტული კანონი №98-1, რომელიც განიხილავდა ელექტრონული სისტემის გამოყენების გაფართოებას ადამიანების თვალთვალის (დაზვერვის) მიზნით. ეს, ვითომ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, ითვალისწინებდა „ახალ პირადობის მოწმობებს“, მიკროჩიპებს.

კომპიუტერული ქსელი იტევს ინფორმაციას არა მხოლოდ პლანეტის ყველა მცხოვრებზე, მასთან დაკავშირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მსხვილი ორგანიზაციების ელექტრონული კომპიუტერული სალაროები. ამ ორგანიზაციებში ანგარიშსწორება, ძირითადად, უნაღდოდ ხდება, პლასტიკური ბარათით. მისივე მეშვეობით გაიცემა ხელფასები როგორც ამ ორგანიზაციებში, ისე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. ამ ბარათის მფლობელები, პირადი მონაცემებით და საიდენტიფიკაციო ნომრით, ბანკების მეშვეობით დაკავშირებულები არიან ამ ქსელთან.

ჯერ კიდევ როდის, ალბერ გორის კაბინეტში ითქვა, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა იქონიოს სმარტ-ბარათი და შემოღებულ იქნას ელექტრონული ფული...

ამა წლის 1 სექტემბრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო გაცემა „ახალი თაობის“ პირადობის მოწმობებისა, რომლის ღირებულება 30 ლარია და ერთ სამუშაო კვირაში დამზადდება. მოქალაქეებს მათი აღება რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად, შეუფერხებლად შეუძლიათ სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში და იუსტიციის სახლებში.

ერთი შეხედვით უწყინარ და გამარტივებულ სისტემას პიროვნების იდენტიფიკაციისა და სხვადასხვა სახის სერვისისათვის, უარყოფითი შეფასებები მოჰყვა, არადა, ერთი პატარა მოწმობით საქმეს იმარტივებს მისი მფლობელი. მაგალითად, რადგან ბარათი შეიცავს მისი მფლობელის ციფრულ ხელმოწერას, გამოიყენებს ყველგან, სადაც საჭიროა მისი მხრიდან რაიმეს დადასტურება; ბარათით შესაძლებელია საბანკო ანგარიშის



გახსნა; რეგისტრაციის გავლა ყველგან; ნოტარიული დამოწმება; სამგზავროდ, სადაზღვევოდ და ა. შ უამრავი რამ.

მიუხედავად ასეთი გამარტივებისა, ამ მოწმობებზე იურიდიული თვალსაზრისით უარი თქვეს ევროპის სახელმწიფოებმა: საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ, მეგობარმა უკრაინამ, მტერმა რუსეთმა (რუსეთის პატრიარქმა თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას), ხოლო მართლმადიდებელმა საბერძნეთმა წმინდა რელიგიური მოსაზრებით დაგმო. საბერძნეთში მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი მოეწყო Iდ ბარათების შემოღების საწინააღმდეგოდ, რადგან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იმსჯელეს მის შესახებ ათონის მთის ბერებმა და ხალხს მოუწოდეს უარი ეთქვათ ელექტრონულ პირადობის მოწმობებზე, რის შეხებაც იქადაგა კიდეც მამა პაისმა.

საყურადღებოა ინგლისის უარი, რომელიც თურმე იმითაა გამოწვეული, რომ მოქალაქის თავისუფლება იზღუდება. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა მარტივად განმარტა, პიროვნების იდენტიფიკაცია სხვა ფორმითაც ადვილი შესაძლებელია, სრულებით არ არის საჭირო პიროვნების შესახებ ინფორმაცია საჯარო იყოს მთელი მსოფლიოსთვისო, – დავიჯეროთ, რომ ყველა ევროპული ქვეყანა ცრუ ინფორმაციის ტყვეობაშია და ამიტომ ამბობენ უარს ჩიპიან მოწმობებზე? ან მათთვის თუ იზღუდება მოქალაქის თავისუფლება, საქართველოს ისედაც ყელზე მარყუჟმოხვეული მოქალაქის თავისუფლება არ იზღუდება?

დეკანოზი მამა თეოდორე (გიგნაძე): – ეს არის თემა, რომელიც მტკივნეულია ჩვენი რელიგიური საზოგადოებისთვის. თვითონ ის ფაქტი, რომ ასეა აღქმული, განხილვის საგნად უნდა იქცეს როგორც ეკლესიაში, ისე სახელმწიფოში. სახელმწიფო ვერ უგულებელყოფს იმ პრობლემას რაც ამასთან დაკავშირებით არსებობს, რომელიც უნდა მოგვარდეს ისე, რომ არ იქნას შებღალული არავის ინტერესი. მე არ ვარ ამ სფეროს სპეციალისტი და არ შემიძლია რაიმე დადასტურებით ვთქვა, მაგრამ როცა არის ინფორმაცია, რომ ეს ბიოპასპორტები შეიცავს რიცხვს 666-ს, რომელიც არის სიმბოლო ანტიქრისტესი, თავისთავად ცხადია, მორწმუნე ადამიანს უჩნდება კითხვა, რატომ მაინცდამაინც 666 და არა ვთქვათ, 777. რა არის ამის მიზეზი? კაცობრიობის ახალი აღრიცხვა თითოეული ადამიანისა ზრდის კონტროლს. ჩემთვის, მაგალითად, მიუღებელია რაც მეტად დამაკვირდებიან და რაც მეტად არ მომცემენ იმის საშუალებას, რომ ჩემთვის ამოვისუნთქო და სადღაც მშვიდად დავიძინო, რა თქმა უნდა, ამაზე შინაგანი პროტესტი მექნება.

რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსი მეუფე იოანე (გამრეკელი): – თუ ვინმე მეტყვის, იმ ჩიპში რა არის, – მონაცემები: ჩემი გვარი, სახელი, მამის სახელი, როდის დავიბადე, სად დავიბადე, შეიძლება სისხლის ჯგუფი იყოს, ბანკში ანგარიში მაქვს თუ არა, კიდევ რამე. იქ სადმე ნათქვამია უარჰყავ ღმერთი, დაგმე მშობელი? – ანუ სულიერი საკითხები იქ არ წერია, ეგეთ რამეს მე არ მეკითხება არავინ, იყოს ის ინფორმაცია, ისედაც იციან. ასე რომ, არის გარეგნული ინფორმაცია, რომელიც არ განსაზღვრავს შენს სულიერ, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მდგომარეობას.

ზაზა ნანობაშვილი (ანჩისხატის მომლოცველთა კრებულის ხელმძღვანელი): – 666 შიგნით რას მოიცავს, სანამ აქამდე მივიდოდეთ, ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ბოლო 20 წლის მანძილზე გაჩნდა საკრალური ნიშნები მაისურებზე, ტელევიზიებზე, ტექნიკაზე და ა.შ – მასიურად გაჩნდა 666-ის ნიშანი. იურიდიული ნიშანი, რაც ჩანს, რომ ადამიანს აზომბირებენ, უნდათ რომ მართვადი გახადონ და ელექტრონულ მონად აქციონ, ეს პირდაპირ ჩანს და შეგვიძლია წავიკითხოთ ეკლესიების გადმოცემებში და სინოდის განჩინებებშიც. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი უწმინდესი და სინოდი განცხადებას გააკეთებენ, უფრო კეთილი ნების იმედი აქვთ, იმიტომ, რომ ტელევიზიით კეთდებოდა ინფორმაცია, რომ თითქოს ალტერნატივა იქნებოდა, მაგრამ იმედგაცრუებულები წამოვედით იუსტიციის სამინისტროდან.

ბიომეტრიულ პასპორტსა და ბიომეტრიულ პირადობის მოწმობას შორის განსხვავებას მხოლოდ იურიდიული კუთხით ვხედავ და არა საეკლესიო კუთხით. პასპორტით გაგაკონტროლებენ ვთქვათ, როცა ქვეყნიდან გადიხარ, ანუ გჭირდება უფრო იშვიათად, ხოლო პირადობის მოწმობა, როგორც საზღვარგარეთ გამოთვალეს, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გჭირდება, ვთქვათ, მიკროავტობუსში, მობილურში თანხის ჩასარიცხად, მეტროში ჩასასვლელად, გადასახადის გადასახდელად და ა. შ მთელი დღის მანძილზე. გეხსნება საშინელი გრაფა, 80 წელი იცოცხლებ თუ 60 წელს, მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ყოველ დღეს, წუთს და წამს რა ოპერაცია შეასრულე, რა ადგილზე იყავი ტერიტორიულად – გიფიქსირდება.

როგორც ხმა გავრცელდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ უკვე თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას – ხალხს არჩევანის უფლება დაუტოვონ ახალი პირადობის მოწმობების აღებასთან დაკავშირებით. სიტყვა ეკლესიამ თქვა, საქმე ხელისუფლებაზეა...

**მაია ჭელიძე**

---

თქვენსა და ეკლესიის გვერდით ვდგავართ, ჩვენ არ გვაშინებს არც ამათი მუქარა და არც ცალკეული პიროვნებების შიში გვაქვს. არც „გოჭები“ არც „ქათმები“ და არც მთელი ეს სახელისუფლებო „ზოოპარკი“ არაფერია სამშობლოსა და დედა-ეკლესიისადმი გულანთებულ ვაჟკაცთათვის. უმორჩილესი თხოვნა გვაქვს – გვენდეთ, გვიმსახურეთ, მიგვიღეთ თქვენი ერთგული შვილები. გავაერთიანოთ, აღვადგინოთ ჩვენი სამშობლო, სანამ მტერს და დუშმანს რაიონებად დავუქსაქსივართ და თითოეული კუთხე საქართველოსა ცალკე „სახელმწიფოებად“ არ დავუშლივართ, შეგვკარით, გაგვაერთიანეთ, გვიწინამძღვრეთ და გავიმარჯვებთ.



ნუ გამოვალთ სოროსის დირექტივათა უნებლიე შემსრულებლებად, სადაც ის მოძღვრავს ამ ხელისუფლების და მის ხელქვეით პირტიტველ არასამთავრობო ორგანიზაციებს:

„განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ურჩებსა და ჯიუტებს, ვისაც არ სურს, ქედი მოიხაროს ჩვენი უპირატესობის წინაშე, არ სურს, იმუშაოს ჩვენთვის. ისინი ჯიუტად ამოჩემებული ეროვნული ღირებულებების იდეის ჩანასახშივე უნდა ჩახმენ და ჩაიფერფლონ“.

ნეტავ ბოლომდე წაგაკითხათ „სოროსის დოქტრინა“, დაინახავდით, რა ერთგულებითა და სკრუპულოზულობით ასრულებენ ამას ჩვენი ხელისუფალნი.

ღმერთმა დაიფაროს სრულიად საქართველო, ყოველი ქართველი, ღმერთი იყოს ყოველი გულანთებული მამულიშვილის მფარველი. წმ. გიორგი დგას და გველოდება, რომ კვლავაც წინ წაგვიძღვეს (რომელ ბრძოლაშიც წმ. გიორგი არ გვიძღოდა, ყველა ბრძოლაში დავმარცხდით ქართველები)!

ჩემს გაპარტახებულ სამშობლოსა და დაბეჩავებულ ერს რომ ვუმზერ, უნებლიედ მაგონდება აწ განსვენებულ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მეფე ერეკლე და ანანურელი ულამაზოები“. მოთხრობის გმირია 13-14 წლის ერთი შეუხედავი ბიჭუნა, რომელიც აღა მაჰმად-ხანთან დამარცხების შემდეგ ანანურის ციხეში შეკეტილ მეფეს კარებს უმტვრევს, ბიჭუნა ომში ხლებას სთხოვს მონარქს, თან ამას იმით ხსნის, რომ ომი ულამაზოების საქმეაო.

– ბევრი ხართ ეგეთი ულამაზოები სოფელშიო? – ეკითხება მეფე, ასე, ორასიოდე, – პასუხობს ბიჭი. წადით, მოემზადენით და ქალაქიდან დამძახებელს გამოგიგზავნითო, ასე მთავრდება მოთხრობა:

საქართველოს სამხედრო გზაზე, ერთი მოხუცი, ტანსაცმელშემოფლეთილი კაცი, რომელსაც გულზე რუსული ჯვრები ეკიდა, კომბალზე დაყრდნობილი იდგა და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა – ქალაქიდან დამძახებელი ხომ არ ხარო. ვინც მას იცნობდა, პასუხობდა სახეზე აღბეჭდილი სინანულით – არაო, ვინც არა და, უკმეხად გვერდს ჩაუვლიდა.

აი, ამ დღეშია დღეს ჩვენი ერი, იმ მოხუცივით საომარ ბილიკზე გამოსულა, გულს ზოგს რუსული, ზოგს კი ერაყსა თუ ავღანეთში მიღებული ამერიკული ორდენები უმშვენებს და ქალაქიდან თქვენგან გამოგზავნილ დამძახებელს ელოდება.

დაგვიძახეთ, თქვენო უწმინდესობავ, დროზე მოგვიხმეთ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს მოგიბრუნდებათ საზოგადოება, ერი თუ ბერი და პირდაპირი მნიშვნელობით ამოთქვამენ იმ სიტყვებს, რომელიც შვილის სიმამაცით მოამაყე დედას აღმოხდა „მოყმისა და ვეფხის“ ბალადაში:

„ამის მეტს აღარ, გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია“.

# `kavkasiuri carcis wre~, anu `mefe~ babuas da `mefe~ mamas Soris `gaWyletili~ mesame `mefe~ _ patara giorgi

*როგორც, გასული კვირის „საერთო გაზეთიდან“ შეიტყვეთ, ბაგრატოვანთა ოჯახში დიდი გაუგებრობები დაიწყო და ე.წ. „ხელშეკრულებაზე“ ხელის არ მოწერამ, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტიც კი გადაფარა, როგორიც პატარა უფლისწულის გიორგის, დაბადების სიხარული უნდა ყოფილიყო!*

*იმედია, ბაგრატიონების შთამომავლები, ჩვენი „მდაბიოთა“ ინტერესს, აღნიშული თემის გარშემო საქართველოს ღალატად არ ჩაგვითვლიან, მაგრამ „საერთო გაზეთის“ რედაქციამ გადაწყვიტა, თავისი მკითხველი, კომპეტენტური პირების დახმარებით გაურკვევლობიდან გამოიყვანოს და კითხვებზე, რომელიც მკითხველს ლოგიკურად გაუჩნდა პასუხი გაეცეს.*

*მაშ ასე, „საერთო გაზეთის“ დღევანდელი სტუმარია „სამეფო კლუბის“ სპიკერი, ისტორიკოსი* **გია მამალაძე**.

— ბატონო გია, ალბათ გაეცანით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას, ბაგრატოვანთა ოჯახში მომწიფებული სკანდალის შესახებ და საინტერესოა თქვენი მოსაზრება ამ ყველაფერზე რადგან უშუალოდ იყავით ჩართული ამ პროცესში და პირადად იცნობთ, როგორც დავით ბაგრატიონ მუხრანელს, ასევე მის სიმამრს, ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკის. იქნებ გაგვარკვიოთ რასთან გვაქვს საქმე რეალურად და თქვენ, როგორც ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა, გულახდილი პასუხები გაგვცეთ ჩვენს შეკითხვებზე...

— კი ბატონო...



**— კითხვა პირველი: რატომ არ სცნობს ერეკლე მეფის პირდაპირი შთამომავალი ნუგზარ ბაგრატიონი თანასწორად თავის დღევანდელ სიძეს, დავით ბაგრატიონ მუხრანელს?**

— ისტორიული ფაქტია, რომ ესპანეთისა და ბავარიის სამეფო ტახტის სიძე გახდა ირაკლი ბაგრატიონ მუხრანელი და მისი და ლეონიდა კიდევ რუსეთის ტახტის მემკვიდრეზე გათხოვდა! მთელი ევროპის და მსოფლიოს სამეფო ოჯახები ირაკლი ბაგრატიონს, მის ვაჟს გიორგის და მთლიანად ამ ოჯახს სცნობდნენ საქართველოს ტახტის მემკვიდრეებად! მათ ჰქონდათ თავისი კანცელარია, თავისი სამეფო ორდენები, იწოდებოდნენ საქართველოს ტახტის მემკვიდრეებად მაგრამ ცხოვრობდნენ ესპანეთში! ეს ერთი მხარე, ახლა მეორე — ნუგზარ ბაგრატიონი, ერეკლე მეფის და გიორგი XII პირდაპირი შთამომავალი, ესენი ცხოვრობდნენ საქართველოში, ჰოდა აქედან გამომდინარე სამეფო უფლებები აქვთ და როგორც მინიმუმ კახეთის ტახტის მემკვიდრეები არიან! ახლა ისე ნუ გაიგებს ვინმე, რომ არიქა საქართველო დავშალეთო, მაგრამ ეს ფაქტია... ბოლო ხანს, სამწუხაროა მაგრამ ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკიმაც შექმნა თავისი კანცელარია, ანუ დღეისათვის, ვიმეორებ ძალიან სამწუხარო და ქართული ისტორიისთვის სავალალო შედეგია ის, რომ სახეზე გვაქვს 2 კანცელარია, ერთი — ბაგრატიონ-მუხრანელებისა ესპანეთში და მეორე ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისა საქართველოში! ამ ორი სამეფო ოჯახის დაპირისპირება დიდი ხანია მიმდინარეობს და ეს რომ შეწყვეტილიყო, თავის დროზე, ქართველ ინტელიგენტთა წარმომადგენლები მივიდნენ კიდეც ნუგზარ ბაგრატიონთან და სთხოვეს, თავისი ქალიშვილი რომელიმე მუხრან ბატონიშვილზე გაეთხოვებინა და ტახტის მემკვიდრეც, დედით-მამით ბაგრატიონი დაბადებულიყო, რითაც ამ ორ ოჯახს შორის დაპირისირება დამთავრდებოდა და გაერთიანებაც მოხდებოდა.

**— გია, მოდი თავიდან დავიწყოთ. 1990-იან წლებში ნუგზარ ბაგრატიონის ქალიშვილი ანა ბაგრატიონი, სიყვარულით თხოვდება გრიგოლ მალანიაზე, რომელიც დედის მხრიდან გიორგი XII შთამომავალი ყოფილა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ანა ბატონიშვილი მეუღლეს გენადი მალანიას გაჰყარეს და მუხრან ბატონელ დავითზე გაათხოვეს.. ე.ი. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუკი მალანიაც სამეფო შტოდან იყო, მაშ რა საჭირო იყო შემდგომში ხელმეორე ქორწინება და ისც დაპირისპირებაში მყოფ სამეფო ოჯახის წევრზე?**

— იცით რა არის? საქართველოს სამეფო დინასტიური კანონებით, (თამარ მეფეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ) დედით სამეფო მემკვიდრეობა ეს ფაქტი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II უშუალო მონაწილეობით მომხდარა შესაძლებელი...

— ჩვენმა პატრიარქმა ალბათ, ალბათ კი არა მშვენივრად იცის, რომ საქართველოს ისტორიაში არცერთ პატრიარქს, ვიმეორებ არც ერთ პატრიარქს არ გაუკეთებია ის, რომ ქალი აუყვანია ტახტზე მამაკაცის იგნორირების ხარჯზე. ეს ერთი, მეორე — საქართველოს პატრიარქმა შეიძლება კი უთხრა ბაგრატიონ გრუზინსკებს რომ — კი, ბატონო ბავშვებს გვარი შეუცვალეთო, მაგრამ ის კი არ უთხრა, რომ ამ გვარშეცვლილ ბავშვებს ტახტზე ავიყვანო. საერთოდ, ევროპაშიც და ჩვენთანაც (რუსეთის გარდა) თუ ქალი ადის ტახტზე და მისი ქმარი სხვა გვარისაა — დინასტიის გვარი იცვლება იმიტომ, რომ გვარი გადადის შვილებზე მხოლოდ მამის და ამ ბავშვების გვარი მალანია და მას ვერავინ ვერ შეცვლის, გასაგებია?

**— გიმეორებთ: „პატრიარქის თხოვნით, ცოლ-ქმარს ანა ბაგრატიონს და გრიგოლ მალანიას, ქორწინებიდან შობილი ქალიშვილები ირინე და მარიამი, სწორედ სამეფო დინასტიური ხაზის შესანარჩუნებლად, დედის ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის გვარზე გადაუწერიათ“...**

— გავიგე რასაც მეკითხებით და გპასუხობთ: ეს შემთხვევა არის პატრიარქის სახელით სპეკულაცია, რადგანაც ჩვენ ვერანაირად ვერ დავამტკიცებთ, მართლა შესთავაზა თუ არა პატრიარქმა ნუგზარ ბაგრატიონის ეს წინადადება! ნუ, ვთქვათ და შესთავაზა, ფაქტი ხომ ფაქტად რჩება, რომ პატრიარქი ამ შეთავაზებით გენეტიკას ვერ შეუცვლიდა ბავშვებს? ბავშვები ხომ სინამდვილეში მალანიები არიან მამით? ვიმეორებ, საქართველოს ისტორიაში არცერთ პატრიარქს არ გაუკეთებია ის, რომ სამეფო დინასტია შეეცვალა.

**ღმერთმა პატარა ირინეც და მარიამიც სასიქადულო ქართველები გაზარდოს, კარგი ბავშვები არიან, მაგრამ მათი გვარი სინამდვილეში მალანიაა**



არ გადადის! მითუმეტეს არ გადადის გვარი და მითუმეტეს არ გადადის სამეფო გვარი! ახლა რაც შეეხება გრიგოლ მალანიას, ე.ი. ანა ბატონიშვილის პირველ ქმარს — როცა ანა გათხოვდა, მისი შვილები ირინე და მარიამი, გენეტიკურად და ქართული ტრადიციით მალანიები არიან სინამდვილეში და ამის შეცვლა არავის შეუძლია.

**— უკარავად გია, პატარა ირინეს და მარიამს, თურმე გვარი უკვე შეუცვალეს და ახლა ისინი ბაგრატიონ გრუზინსკებად იწერებიან! სხვათა შორის**

**და ამას პატრიარქი, ნუგზარ ბაგრატიონი და თვით უფალიც კი ველარ შეცვლის.**

ახლა გეტყვით მოკლედ თამარ მეფის გამეფების ისტორიას, რადგან ნუგზარ ბაგრატიონის კანცელარია, ხშირად აპელირებს ამაზე, კერძოდ: თამარ მეფე იმიტომ აიყვანეს ტახტზე, რომ თამარის მამამ, თავისი ძმისშვილი დასაჯა, შემდეგ ის მოკვდა და სამეფო დინასტიაში მამაკაცი აღარ დარჩა. ვიმეორებ: რადგან სამეფო დინასტიაში მამრობითი სქესის მემკვიდრე აღარ იყო, თამარიც ამიტომ აიყვანეს ტახტზე. სხვათა შორის ამ ფაქტის შემდეგ, საქართველოს პატრიარქმა, კათოლიკოსმა მირიანმა მიატოვა ყველაფერი და წავიდა საქართველოდან. როგორც ვიცით, მეფე თამარს პირველი ქორწინებიდან შვილი არ მიეცა და სანამ მერედ, არ მოუძებნეს და არ მოუყვანეს ქმრად ბაგრატიონის გვარის კაცი, ღმერთმა თამარს შვილები არ მისცა. ანუ, ღმერთმა საქართველოს ტახტზე, სხვა გვარის კაცი არ აუშვა, გასაგებია? თამარის შვილები ლაშა და რუსუდანი, იმიტომ იყვნენ ბაგრატიონები, რომ მათი მამა, დავით სოსლანი, სინამდვილეში ბაგრატიონი იყო და არა დედის თამარის მიერ ბოძებული გვარით იყვნენ ბაგრატიონები! ესეც ხომ გასაგებია, არა? ეს ერთი და მეორე — როდესაც ქალის გამეფების ისტორიები მოჰყავთ ხოლმე მაგალითისთვის ბაგრატიონ გრუზინსკის კანცელარიას, ისტორიაში კარგად ჩაიხედონ და ისე ილაპარაკონ რუსუდანის შემთხვევაშიც. მეფე რუსუდანი, ე.ი. თამარ მეფის ქალიშვილი იყო დროებითი მეფე, რადგან ლაშა გიორგიმ, ძმამ სთხოვა — ვიდრე ჩემი შვილი გაიზრდება, შენ იმეფეო. შემდეგ რუსუ-



დანმა თურქეთის სულთანს ხოროში ჩააგდებინა ძმისშვილი დავით ულუ და ტახტი ამგვარად შეინარჩუნა. ასე, რომ რუსუდანის, როგორც მეფე ქალის შემთხვევაც, მამრობითი სქესის ტახტის მემკვიდრის არ არსებობამ განაპირობა და არა იმან, რომ ქართულ სამეფო დინასტიაში, ქალის გამეფება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოდით ახალ სარგის თმოგველს მოვუსმინოთ რას ამბობს: რუსუდანის შთამომავლობის გამეფება არ შეიძლება, იმიტომ რომ ქალის შვილების ტახტზე აყვანა არ შეიძლება და ტახტზე მხოლოდ ვაჟის ძეები უნდა ავიდნენო! ამას ამბობს სარგის თმოგველი, კაცი ბრძენი, კაცი დიდი მცოდნე ბიბლიის, კაცი ღრმად ჩახედული სამეფო დინასტიურ კანონებში და ასე შემდეგ. რომ იცოდეთ, მართალია რუსუდანის შვილებს ბაგრატიონები კი დაუწერეს გვარად, მაგრამ სამი თაობის შემდეგ, მათი შთამომავლობა შეწყდა! ანუ, ქართული საღმრთო და სამეფო ლეგიტიმიზმის შეცვლა უფალმა არ დაუშვა და მეფე ქალის შთამომავალნი შემდგომი ტახტზე არ აუშვა. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ქართული სამეფო ლეგიტიმიზმი არის საღმრთო და ბიბლიური ლეგიტიმიზმი, ხოლო რუსული ლეგიტიზმი არა! რუსული დინასტიური კანონებით, ქალი შეეძლება ტახტზე ავიდეს! (?)ითვლება, რომ საქართველოს ტახტის მემკვიდრეები, ბაგრატიონები არიან წმინდა დავით წინასწარმეტყველების შთამომავლები! რომ გადახედოთ მთელ ბიბლიას არსად არ წერია, რომ ტახტის მემკვიდრეებად ოდესმე ქალი ყოფილა. მაყვალამ შვა ნათელა, ნათელამ შვა მზევინარ, მზევინარმა შვა და ა.შ. ქალმა, არამედ წერია, რომ იესომ შვა, დავითმა შვა, სოლომონმა შვა მემკვიდრეებით და ეს იმას გულისხმობს, რომ უპირატესი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ბიბლიურად-მამაკაცი იყო. ანუ, აქედან დასკვნა-ქართული ლეგიტიმიზმი ასეთია და ვერანაირი თხოვნით, ვერანაირი გვარების შეცვლით ამას ვერავინ ვერ შეცვლის, ვერც პატრიარქი და ნუგზარ ბაგრატიონი. უფრო მეტიც, მეფეს, იმპერატორს რომ ეთხოვნათ და საეკლესიო კრებაც რომ ჩატარებულიყო — აი, ახლა მოდით გვარები შევცვალოთ და მემკვიდრეობა ლეგიტიმური ამგვარად გავხადოთო — მაინც იქნებოდა არალეგტიმური მთელი ეს მოქმედება, რადგან ამის უფლება აქვს მხოლოდ ღმერთს და ღმერთმა ამ პატარა გოგონებს გენეტიკურად მალანიას გვარი მისცა. იგივე უფალი, როგორც უკვე გითხარით სამეფო გვარში მხოლოდ ვაჟებს ანიჭებს უფროსობის ნიშნით უპირატესობას და ეს არის — ქართული სამეფო ლეგიტიმიზმის ყველაზე მთავარი დამახასიათებელი, იმიტომ, რომ ბაგრატიონები ითვლებიან წმ. დავით წინასწარეტყველის შთამომავლებად და ისრაელის წმინდა მეფეების შთამომავლებად, ისრაელის არცერთი მეფე და საქართველოს არცერთი მეფე, დედის გვარით ტახტზე არ ასულან — ეს ტყუილია. სხვათაშორის, მოდით პირდაპირ ვიტყვი: ნუგზარ ბაგრატიონის ისტორიკოსებიც პირველი სიძე მალანია და თვითონ ნუგზარ

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბაგრატიონიც მეუბნებოდნენ — ქალის ტახტზე აყვანა შესაძლებელიაო, მაგრამ მე ვეუბნებოდი — არას და ამას როგორც ბიბლიით, ისე ქართული სამეფო დინასტიის კანონებით ვამტკიცებდი. ეს ყველაფერი 2007 წელს, ჩემს მიერ გამოქვეყნებულ წიგნშიც „კონსტიტუციურ-სახალხო მონარქიისათვის", გარკვევით ნებითა და სადაც ყველაფერი დეტალურად არის განხილული.

**— კი, ბატონო, მაგრამ იქნებ უფრო მარტივად აუხსნა მკითხველს, ანა ბაგრატიონის მეორედ გათხოვება, რა მიზნებს ემსახურებოდა?**

— მეორე ქორწინების მთავარი მიზანი, ყველა უნდა ხვდებოდეს, რომ არის საქართველოს ჰყოლოდა გაერთიანებული დინასტია და ორი დაპირისპირებული ოჯახიც, ქორწინებით შერიგებულიყვნენ. ხოლო ვაჟი, რომელიც დაიბადებოდა, ყოფილიყო ყველას მემკვიდრე, ანუ ბაგრატიონ მუხრანელებისაც და ბაგრატიონ გრუზინკებისაც. აი, ეს იყო მთავარი მაგრამ მთავარი იყო ისიც, რომ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი მიხვდა, რომ მისი შვილიშვილები, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონ გრუზინსკებად არიან ჩაწერილები, სინამდვილეში არიან მა-ლა-ნი-ები და ლეგიტიმური თვალსაზრისით, მათი გამეფება არანაირად არ იქნებოდა, ამიტომაც გადაწყვიტა რომ — მეორე ქორწინება, ანასი ნამდვილ ბაგრატიონთან შემდგარიყო! ეს ქორწინება შედგა კიდეც და ამ ქორწინებიდან ვაჟიც გაჩნდა, პატარა გიორგი, რომელიც დედის მხრიდანც ბაგრატიონია და მამის მხრიდანაც.

ახლა, მე მთელი ამ მოვლენების შუაგულში თუ არა, დამკვირვებელი მაინც ვიყავი და მთელი ეს დინასტიური პერიპეტიებიც მშვენივრად მახსოვს... ის, რომ ანას პირველი ქმარი, თურმე გიორგი XII-ის შთამომავალია დედის მხრიდანო, არის სისულელე, რადგან გიორგი XII-ის შთამომავალი, ისევე როგორც მამამისის ერეკლე II შთამომავალი დედის მხრიდან შეიძლება იყოს ნახევარი საქართველო, რადგან მასაც და მამამისსაც ოცდახუთ ოცდახუთი შვილი ჰყავდათ და მასე სად არის, კაცო? ზოგი ციციშვილზე, ზოგი ანდრონიკაშვილზე, გაათხოვეს თავიანთმა მამებმა და რა გამოდის, ნახევარი კახეთი და საქართველო, ტახტის მემკვიდრეები არიან? რამდენჯერ უნდა გავიმეორო, რომ გვარი, თვით საეკლესიო კრებასაც არ ძალუძს, რომ შეცვალოს?!

**— ახლა, წმინდა მორალის თვალსაზრისით, ოჯახის დანგრევა და შემდეგ თუნდაც სამეფო დინასტიის შენარჩუნების მოტივით ხელმეორე ქორწინება, რამდენად ლამაზია?**

— წმინდა პოლიტიკური, სამეფო ლეგიტიმიზმის შენარჩუნების და დინასტიური მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ეს ქმედება გამართლებულია, მაგრამ მორალის თვალსაზრისით მე ვერავის განვსჯი.

**— კეთილი. ახლა, ახლადდაბადებულ ბავშვზე ვისაუბროთ, რომელიც სულ რაღაც 2 კვირაა მოევლინა ქვეყანას და უკვე ოჯახური დაპირისპირებების საბაბად იქცა. როგორც ცნობილია, ნუგზარ ბაგრატიონის ახლანდელი სიძე, დავითი ბაგრატიონ მუხრანელი ხელს არ აწერდა და არც ახლა აწერს ხელს ხელშეკრულებას და იქნებ ამიხსნათ, რა ხელშეკრულებებზეა ლაპარაკი?**

— ნუგზარ ბაგრატიონი და მისი კანცელარია ითხოვენ, რომ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი გამოცხადდეს, სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრედ! აი, თქვენს გაზეთშიც ამ მოთხოვნის ანარეკლი გამოქვეყნდა და თუკი ეს განცხადება თვითონ ნუგზარის დაიბეჭდა, ძალიან მწყინს და მოგახსენებთ, რატომაც...

ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, უკვე გამოქვეყნებულ განცხადებაში ითხოვდა, რომ დღევანდელი სიძისა და მის ოჯახებს შორის დადებულიყო ხელშეკრულება, სადაც სიძე დავითი აღიარებდა მის უპირატესობას. ვინც არ იცის, უნდა იცოდეს, რომ ანას მეუღლე, დავით ბაგრატიონ მუხრანელი სრულებითაც არ არის უამბიციო ადამიანი, პირიქით ძალიან



ამბიციურია და თანაც, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ესმოდა, რომ ის იყო სამეფო ოჯახის შვილი. უფრო მეტიც, ის თავის არსებობის მანძილზე ესმოდა, რომ ის იყო სამეფო ოჯახის შვილი. უფრო მეტიც, ის თავის თავს აცხადებს სამეფო ოჯახის უფროსად! მასაც ჰყავს კანცელარია და ისიც დე იურე, თავის თავს მეფედ აცხადებს. ანუ დე იურე ნუგზარ ბაგრატიონიც მეფედ არის გამოცხადებული თავისი კანცელარიის მიერ და დავით მუხრან ბატონიშვილიც მეფეა თავისი კანცელარიის მიხედვით. დე იურე, რომ საქართველოში არც ერთი არ არის მეფე ცხადზე უცხადესია, მაგრამ ისიც ცხადზე-უცხადესია, რომ დავითი არავითარ შემთხვევაში, ნუგზარისთან არ მივა და არ ეტყვის — მაპატიე, შენ ხარ უფროსი და მიეცი ჩემს შვილს შენი გვარიო. მეორეც, როგორც უკვე გითხარით, ესპანეთის და ევროპის სამეფო ოჯახები, უპირატესობას სწორედ დავითის ოჯახს ანიჭებენ, ბავშვიც ესპანეთში დაიბადა, ოჯახი ესპანეთში ცხოვრობს ამჟამად და როგორ წარმოუდგენია ნუგზარს და მის კანცელარიას ასე მარტივად ეს ყველაფერი, ჩემთვის გაუგებარია. ნუგზარის კანცელარიის განცხადება იმითაც მანცვიფრებს, რომ თურმე ახალდაბადებული ჩვილის უფლებების აღიარებას, პაპის მხარე, რაღაც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის არქონის გამო, აფერხებს და აი, ეს მეწყინა სწორედ, როგორც ქართველს და როგორც ადამიანს...



**— რატომ?**

— იმიტომ ჩემო კარგო, რომ ეს 8-9 დღის ბავშვი, ჯერ კიდევ ანგელოზებს ეთამაშება, ანგელოზების სუნი ასდის და წარმოდგენა არა აქვს, რა დაუნდობელ სამყაროში მოავლინა ღმერთმა. ეს ბავშვი, ჯერ თვითონაც ანგელოზია, და ამ დროს, საკუთარი პოლიტიკის გაკეთება უკვე დაიწყეს გადაქაჩვა-გამოქაჩვით, ვიღაც-ვიღაცებმა. ნახეთ, რა ხდება? ბაბუა, ნუგზარ ბაგრატიონი, მის დაბადებამდეც და დაბადების შემდგომაც, თავისი კანცელარიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ამბობს: ჩემს შვილიშვილს ვაღიარებ, უფლებებსაც დავუკანონებ მხოლოდ მაშინ, თუკი ბავშვის მამა, დავით ბაგრატიონ მუხრანელი მე მაღიარებსო. კი, ბატონო, მთელი ეს ამბიციები გავიგეთ, მაგრამ შვილიშვილის სიყვარული სად არის, ხალხო? ჯერ თოფი ესროლათ, სიხარული გამოეხატათ, მოფერებოდნენ იმ პატარას, იმ პატარა „ბაიას"-არ ჯობდა? მეორეც — იქნებ იმ ბავშვს თვითონ არ მოუნდეს მეფობა, წინასწარ რას კამათობენ აქეთ ბაბუა და იქით მამა, გამკვირვებია და დღესაც მიკვირს, ღმერთმანი იმ ბავშვს ხომ თავისი ოჯახიდან სიყვარული, სითბო სჭირდება და მეტი არაფერი? არა ვარ მართალი, მითხარი ერთი...

**— მართალი კი ხართ, მაგრამ რას ვიზამთ მეფეთა მემკვიდრეების ხვედრი მძიმეა, ჩვილობაშიც და მოწიფულობაშიც. საქართველოს ისტორია სავსეა ამ სამარცხვინო ეპიზოდებით და ჩვენ „მდაბიოები" ვერაფერს შევცვლით, სამწუხაროდ...**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ დღევანდელი ამ ფაქტით უფრო სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, უფრო სხვა რამესთან...

**— დამიკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ამბიციებს ვგულისხმობ, ამ-ბიციე-ებს! ჩვენ ყველა, მათ შორის ნუგზარ ბაგრატიონი და მისი კანცელარია შეთანხმებული ვიყავით და პატრიარქმაც დაადასტურა, რომ ზრდასრული ბაგრატიონებიდან ვერცერთი ვერ გამოდგებოდა ტახტზე ასაყვანად. ამიტომ უნდა დავლოდებოდით ანასა და დავითის შვილის მოვლინებას ამ ქვეყანაზე და ეს ბავშვი უნდა აღზრდილიყო სა-მე-ფოდ. ნუგზარ ბაგრატიონი დღეს რომ აცხადებს, ბავშვის მამას არ ვაღიარებ, არ ვაღიარებ მის შვილსაც და საერთოდ დავითი ამბიციურიაო, აქამდე არ იცოდა მისი ამბიციურობის ამბავი? მე ვიცი და მაგათმა არ იცოდნენ ეს ამბავი? მაშინ რა გამოდის, იმ ბავშვს წავართვათ მემკვიდრეობა, ასევე ამბიციური პაპის წყალობით? აქ, მეორე მომენტიცაა: ნუგზარ ბაგრატიონმა ვინც არ უნდა აღიაროს, ამის გამო ორი კანცელარიაც დაუპირისპირდეს ერთმანეთს, არსებობს კიდევ ერთი კერძოდ იმერეთის ბაგრატიონების ფაქტორიც, რომლებსაც სხვათა შორის მამრობითი სქესის მემკვიდრე ჰყავთ, და რომლებმაც 2008 წელს გამოქვეყნებულ ბარატიონ-გრუზინსკების მემორანდუმს ხელი არ მოაწერეს. ანუ ნუგზარ ბაგრატიონი სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრედ არ აღიარეს! ისტორიულად, დე იურე, არსებობდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფო, ეს გეორგიევსკის ტრაქტატშიც ჩანს და სხვა წყაროებშიც და ახლა გინდა ბრჭყალებში ჩასვით ეს რეალობა და გინდა კიდევ დიდი ასოებით გამოწერეთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით — საქართველოს ჰყავს 3 სამეფო ოჯახი. ნუგზარ ბაგრატიონი თავისი სამეფო ოჯახით და კანცელარიით. დავით ბაგრატიონი თავისი სამეფო ოჯახითა და კანცელარიით და, მესამე — იმერეთის სამეფო ოჯახი, რომელიც არცერთის კანცელარიას არ ცნობს. ჩემი დასკვნა ასეთია — ნუგზარ ბაგრატიონმა, რაც არ უნდა უფლებები მისცეს, ან არ მისცეს თავის შვილიშვილს, 10 დღის გიორგის, ის ბავშვი თავისი მდგომარეობით უკვე წინ დგას თავის პაპაზე ნუგზარ ბაგრატიონზე იმიტომ, რომ იგი უკვე 2 შტოის შვილია და ბაგრატიონ-ბაგრატიონად იწოდება. სხვათა შორის, ეს რომ ასე მოხდებოდა, მე დავით ბაგრატიონ მუხრანელთანაც მქონდა ადრე საუბარი და ისევე, როგორც ევროპაში, კერძოდ ესპანეთის მეფის ხან კარლოსის შემთხვევაში მოხდა, ანუ ბურბონ დე ბურბონი გახდა ტახტის მემკვიდრე, ანალოგიურ პრეცედენტს მივიღებდით ქართულ სინამდვილეში და მივიღეთ კიდეც — ბაგრატიონ-ბაგრატიონის გაჩენის შედეგად. როგორც კი ბავშვი დაიბადა, დავითი და ანა ბაგრატიონებმა პატარა გიორგის ბაგრატიონ-ბაგრატიონი ჩაუწერეს. ახლა ამ ორი ბაგრატიონის შვილი, გიორგი ბაგრატიონი, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიზე მაღლა დგას, რადგან წოდება „გრუზინსკი" რუსეთის მიერ მოცემული ტიტულია. ამ ტიტულის მიცემას აზრიც აღარა აქვს. მე ღრმად ვარ დარ-



წმუნებული, რომ ბავშვის მშობლებიც ასე ფიქრობენ და ის ამბიცია, რომ დავით მუხრან ბატონიშვილმა, ნუგზარ ბაგრატიონის ამბიცია დააკმაყოფილოს, ანდა ნუგზარმა თანასწორად აღიაროს დავითი, წყლის ნაყვაა, რადგან თვითონ ნუგზარმა სიძე დავითი უნებლიედ თუ უცოდინარობით თავად აღაირა მაშინ, როცა ანა მიათხოვა და ახლა რას ითხოვს, ჩემთვის გაუგებარია! ვიმეორებ — დავით ბაგრატიონი მუხრანელი, არაფრის დიდებით არ მივა თავის სიმამრთან, ნუგზარ ბაგრატიონთან და არ შეეხვეწება, ჩემი შვილი ჩაწერე ბაგრატიონ გრუზინსკადო — ეს გამორიცხულია და ამას თვითონ ნუგზარიც, მისი კანცელარიაც და მთელი მათი გულშემატკივრებიც უნდა შეეგუონ. სხვათა შორის, ნუგზარ ბაგრატიონის კანცელარიის განცხადებაში, მე ისიც წავიკითხე, რომ — ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკი, თავად განსაზღვრავს ვინ უნდა იყოს ტახტის მემკვიდრეო. რას ლაპარაკობენ კაცო? ამის უფლება გიორგი ბრწყინვალსაც კი არ ჰქონია და ნუგზარ გრუზინსკის ვინ მისცა ამის უფლება? როცა ქართულ სამართალს იშველიებენ ეგენი, აბა კარგად გაიხსენონ, რომ — მეფე ვერ განსაზღვრას რიგითობას. ანუ დინასტიის გვარს მეფე ვერ განსაზღვრავს და ამის განმსაზღვრელი იყო და არის უ-ფა-ლი. ვერც მეფე, ვერც საეკლესიო კრება, ვერც პატრიარქი, ვერც ეპისკოპოსი და ვერც ვერავინ, ბიბლიურ, ღვთიურ რიგითობას ვერ განსაზღვრავენ და კარგად დაიმახსოვრონ ეს!!! დაიბადა ვაჟი? ვაჟისაა ტახტი, მორჩა და გათავდა. აბა ჩაიხედოს ნუგზარმა თავისი ნათესავის დავით გამგებელის ნაშრომებში რა წერია? საქართველოში დედოფლებს და პრინცესებს ტახტის მემკვიდრეობაში არაფერი ესაქმებათო. ანუ, ბაგრატიონ გრუზინსკი ნუგზარის უფლება არ არის ტახტის მემკვიდრის დასახელება, მითუმეტეს ირინე მალანიასი, რომელიც თურმე ტახტის მემკვიდრედ შეიძლება განიხილებოდეს.

**— ბატონო გია, მე ისევე როგორც მრავალი მკითხველი, რთულად ვწვდები სამეფო ოჯახების ინტრიგებს და რა მინდა იცით გკითხოთ? მუხრან-ბატონების წარმომავლობაში, ბაგრატიონ-გრუზინსკებს კითხვები რატომ უჩნდებათ და რატომ ფიქრობენ, რომ ისინი უფრო დაბლა მდგომნი არიან?**

— საქმე იმაშია, რომ როდესაც მამრობითი სქესის მემკვიდრე აღარ არსებობდა, ანუ წყდებოდა სამეფო ლეგიტიმურობიდან გამომდინარე ტახტზე ადიოდა უახლოესი ნათესავი და რადგან კახეთის დინასტიის მემკვიდრე მამაკაცი აღარ არსებობდა, აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში დინასტიური შტოს გამგრძელებლებად მაშინ აი ეს მუხრანელები იყვნენ ეს ბავშვი, ქართლისა და კახეთის გამაერთიანებელი სიმბოლოცა, რომ იცოდეთ.

**— გია, მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ მეცინება, როცა კახეთის, ქართლის, იმერეთის და ა.შ. სამეფოებზე, სამ მეფეზე, პრინცესებზე და მსგავს ვირტუალურ თემებზე ვსაუბრობთ ახლა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში უკვე რეალური ტახტისთვის მიდის ბრძოლა და ერმა კიდევ მონარქიის აღდგენის სასარგებლოდ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, არ მეთანხმები?**

— გეთანხმები, მაგრამ ხომ შეიძლება მონარქია მართლაც აღდგეს ოდესმე ღვთის წყალობით? ანუ, ხომ უნდა იყოს გარკვეული ყველაფერი, ვისია ტახტი და ვისი არა? მოდი, რა ერთ რამეს გეტყვი — რვა დღის ჩვილის ხარჯზე უნდათ ზოგიერთებს ამბიციების დაკმაყოფილება? თანაც შენი თქმისა არ იყოს, ჯერ დათვი არ მოუნადირებიათ და უკვე ტყავს იყოფენ კაცო?

**— გასული კვირის, „საერთო გაზეთში" პირველ გვერდზე ასეთი ქვესათაური გამოქვეყნდა: „დღევანდელი მდგომარეობით, ტახტის მემკვიდრედ, შეიძლება ანა ბატონიშვილის უფროსი ქალიშვილი ირინე (მალანია) ჩაითვალოსო". რა კომენტარს გააკეთებ ამ განცხადებაზე?**

— ეგ არის ტყუილი, ტყუილი და კიდევ ერთხელ ტყუილი. აბა ერთი გაიხსენეთ ჰანოვერის ისტორია? როდესაც ვიქტორია ჰანოვერი გათხოვდა, აბა ისიც გაიხსენეთ ბრიტანეთის სამეფო ოჯახი რა გვარმა შეცვალა?

**— უინძორებმა!**

— დიახ, უინძორებმა და ჩვენ რა გვინდა, ბაგრატიონების სამეფო გვარი, მალანიებით შევცვალო? პირადად მე, ყველა ქართულ გვარს და

10 gv.

9 gv.

მათ შორის მალანიებს, ყველაზე საუკეთესო წარმოშობის გვარებად ვთვლი და ისიც მგონია, რომ ყველა ქართველი არისტოკრატი და ცისფერსისხლიანია, მაგრამ სამეფო ტახტზე, როგორც უკვე მოგახსენეთ ბიბლიური, ღვთიური ლეგიტიმურობა უნდა იყოს დაცული და თუკი ოდესმე მონარქია აღდგება ჩვენი — ტახტზე მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა ავიდეს! აი, ასეთია ბიბლიური ლეგიტიმიზმის წესი და ახლა, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის კანცელარის, თუ უნდა, რუსული ლეგიტიმიზმის წესით აღსრულდეს ყოველივე, გვითხრან ხმამაღლა, რისი სცხვენიათ?

**— ახლა უკვე დავიბენი... ჩვენს გაზეთში, ასევე ქვესათაურად არის გამოტანილი შემდეგი ფრაზები: „ბაგრატიონ მუხრანელთა შტო, სამეფო ტახტის არაკანონიერად მითვისების მცდელობით წყალს რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამს“ და ამიხსენი ერთი რაშია საქმე, გრუზინსკები, მუხრანელები და თვით კათოლიკოს პატრიარქი ილია II ნებსით თუ უნებლიედ, რუსეთის სასაგებლოდ როგორ ირჯებიან?**

— ეს ისეთი აბსურდია, რაც ახლა წამიკითხე, როგორც ის რომ მე და შენ ახლა ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრას ვიწყებდეთ... მართალია, ანა ბაგრატიონის ქმრის, დავით მუხრან ბატონიშვილის ბაბუის და, გათხოვილი იყო რუსეთის იმპერატორზე და დღეს რუსეთის ტახტის მემკვიდრე, სწორედ ლეონიდას ქალიშვილია, მაგრამ ყველამ იცის, რომ დავითის და ანას ქორწინებასთან ამ ოჯახს, არაფერი საერთო არ აქვს! მეტსაც გეტყვით — ისინი ქორწილში არცკი ჩამოსულან! უფრო მეტიც და მეორეც — იმ ოჯახს პუტინის ხელისუფლებასთან ძალიან მწვავე დაპირისპირება ჰქონდა და მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას უნდა ეღიარებინა, ნიკოლოზ II უდანაშაულობა და ის, რომ სამეფო ოჯახი რუსეთის მტერი არყოფილა. რუსები და პუტინი მაშინ მიხვდნენ, რომ თუკი სამეფო ოჯახს დაუთმობდნენ თუნდაც მცირედს ამ მოთხოვნაში, მოგვიანებით ქონების დათმობაც მოუწევდათ-კრემლის, ზამთრის სასახლის და უამრავი სხვა დანარჩენი ქონების სახით და ამიტომ, სამეფო ოჯახთან ურთიერთობა, ძალიან ცუდ ტონალობაში შეწყვიტეს მაშინ...

**— ქორწილში ჩამოუსვლელობა და პუტინის ხელისუფლებასთან რუსეთის სამეფო ოჯახის დაპირისპირება, არგუმენტად ვერ გამოდგება...**

— კარგი, მაშინ ის ვთქვათ — ანა ბაგრატიონი თავის პირველ ქმარს, რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებმა გააშორა?

**— რატომაც არა?**

— კარგი, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები რომ ყოფილიყო გათვალისწინებული, მაშინ ორივე ოჯახს და ათმობინებდნენ რაღაც-რაღაცებს და 2008 წლის ომის შემდეგ, შეიძლება მონარქიის აღგენაც მომხდარიყო.

# `kavkasiuri carcis wre~, anu `mefe~ babuas da `mefe~ mamas Soris `gaWyletili~ mesame `mefe~ _ patara giorgi

**— ეგ, როგორ მოხდებოდა, თანაც ომის შემდეგ?**

— თუ ენდომებოდათ, წინ რა დაუდგებოდათ? და კიდევ ერთი და მთავარი კითხვა, რომელსაც შენც გისვამ, საზოგადოებასაც და ნუგზარ ბაგრატიონის კანცელარიასაც — თუკი, რუსეთის სახელმწიფოს სასაგებლოდ მოხდა ეს ქორწინება, რა გამოდის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ამ ისტორიაში, რუსეთის საქმეს აკეთებდა? თქვენს გაზეთში, რომ წერია ის ფრაზა, ზემოთ რომ წამიკითხეთ, სტატიის ავტორი ამაზე მიანიშნებს? ეს ხომ აბსურდია? ჰო, მართლა რომ არ დამავიწყდეს, ბარემ აქვე ვიტყვი — რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, ვიდრე ცოლად მოიყვანდა ქართველ ლეონიდას, აღიარა ბაგრატიონთა და ქართველთა უფლებები დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში და თქვენ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი ჰაერში გასროლილი სიტყვები იყო? ანდა რუსეთის, როგორც იმპერიის ამბიციები, თუნდაც ამ ფაქტში, სად იკვეთება?

**— გია, ჩემთვის როგორც ერთ-ერთი ქართველი მდაბიოსათვის, ალბათ ძალიან ნიშანდობლივი და სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამ ძნელბედობის ჟამს, კახეთის ტახტის მემკვიდრეს ნუგზარ ბაგრატიონს პოლიტიკური აქტივობა გამოეჩინა და თუნდაც როგორც უგვირგვინო მეფეს, ჯერ ეროვნული მოძრაობის, შემდეგ კი რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში აფხაზეთში და სამაჩაბლოში, თუნდაც სიმბოლური მონაწილეობა მიეღო! არ მეთანხმები?**

— გეთანხმები, გეთანხმები, გეთანხმები! მეტიც, ჩვენდა სამწუხაროდ ბაგრატიონები ამ ბოლო ხანს, ეროვნული ლიდერის ფუნქციას არ ასრულებენ. ჩვენთვის ეროვნული ლიდერებიც და გმირებიც მერაბი და ზვიადი იყვნენ. ჰოდა მათი გარდაცვალების შემდეგ, საზოგადოებაში გაჩნდა ისეთი განცდა, რომ იქნებ მონარქიის აღდგენის შემდეგ, უკვე ლეგიტიმურად გამოჩნდეს ლიდერიო, ანუ მეფე და როგორც ვიცით, ამ მხრივ მოძრაობები სწორედ მაშინ დაიწყო, 90-იან წლებში! მე ერთი რამე ვიცი — მეფობა, ტახტის მემკვიდრეობა და პრინცობა, ფუფუნება არ არის შეიძლება, რომელიმე არაბულ ქვეყნებში ეს დიდ ფულთან ასოცირდება, მაგრამ საქართველოში მეფობა არის — ერისთვის სამსახური! ჩვენი, მეფეების დიდი ნაწილი, ეს იყო ერისთვის და ქვეყნისთვის შეწირული მეფეები. ხალხი კი არ ემსახურებოდა მეფეს, მეფე ემსახურებოდა ხალხს და ერთობლივად კი, სუყველა ემსახურებოდა მათლმადიდებლობას, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და როცა ეს საჭირო იყო, მსვერპლსაც იღებდნენ ამისთვის! გაიხსენეთ დიმიტრი თავდადებულის ისტორია და დასკვნებიც აქედან გააკეთეთ! რატომ ვერ გახდა თუ რატომ არ გახდა ის ლიდერი ნუგზარ ბაგრატიონი მაშინ, იმ წლებში წადით და თავად ჰკითხეთ, მე რა გიპასუხოთ? მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საქართველოში პრინცობა — აბრეშუმის ბალიშზე თავის დადებას არ გულისხმობს, პრინცობა და ლიდერობა საქართველოში, ოდითგანვე იყო ხმლით ხელში, ჯარის მეწინავეობა! ახლა სხვა დროა... ახლა სამფო დინასტიის აღდგენის მითოლოგიზება ხდება და როგორც „ბაზალეთის ტბის ძირში, აკვანში ჩაკრული“ გმირის მოლოდინით ვართ ქართველები, გვინდა, რომ სამეფო ოჯახშიც ასეთი მხსნელის მოლოდინში ვიყოთ და მასთან ერთად გავზარდოთ ჩვენი შვილებიც... და საერთოდაც, მე ვერ ვიგებ, მთელი ეს აბსურდის თეატრი, რისთვის თამაშდება? ან იმ ბავშვს ვინ აძლევს დღეს ტახტს, ანუ ნუგზარ ბაგრატიონს ვინ ეცილება რამეში და ანდა რუსეთის თემა, რა შუაშია საერთოდ? ეს იცით, როგორი აბსურდია, ზუსტად ერთხელ რომ მოხდა გელათში! ღმერთო მაპატიე და.. ერთ-ერთმა მეუფემ, „სოლომონ III“ როცა მონათლა!



**— თუ გელათში მოხდა ეგ ამბავი, მაშინ მეუფე კალისტრატე იქნებოდა, იმერეთში ეგ ერთი მეუფეა „ჩადგმით“...**

— არ მინდა ეხლა დასახელება... ჰოდა, დავუწერე მერე, რომ სოლომონ მეორეს შთამომავლები არ ჰყოლია და სოლომონ III როგორ მონათლე-თქო? არ გახსოვთ, მაშინ ტელევიზიებშიც რომ ატყდა ერთი ამბავი, ტახტის მემკვიდრე მოინათლაო და იყო ერთი ამბავი? მერე ხომ გახსოვთ, რომ საერთოდ ბაგრატიონებიც კი არ იყვნენ ბავშვის მშობლები? საქართველოში საერთოდ ანეგდოტური სიტუაციები არ ილევა და ეს კი შემდეგ ხალხის შიშს, ხალხის გაღიზიანებას და ნერვიული აშლილობით მთავრდება! მე მინდა გითხრათ ისიც, რომ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამაც ძალიან ბევრი ადამიანი გაღიზიანა, ვინც საქმის კურსშია და გეტყვით, რატომაც — ეს საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა აღიქვა პაწაწინა ბავშვის საწინააღმდეგო ბრძოლად და ვიღაცის ამბიციად.

**— ახლო მომავალში, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, შეგიძლიათ აგვიხსნათ?**

— სავარაუდოდ, 1910 წელს შეწყვეტილი იმერეთის სამეფოს წარმომადგენელთა ოჯახი, (რომელზეც უკვე ვისაუბრეთ) 1801 წელს შეწყვეტილ კახეთის სამეფო ოჯახს, ანუ ნუგზარ ბაგრატიონს არ აღიარებენ და ალბათ, არც სულ ახლახან დაბადებულ გიორგის სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრეობასაც არ აღიარებენ, მაგრამ ალბათ, იმას მაინც ვერ გაექცევიან, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოში არის პირველი და ყველაზე წინ. სხვათაშორის, იმერეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელთან მეც მქონდა საუბარი და პირად საუბარში, ჩემთვის უთქვამს, რომ — კი, ბატონო, იქნებ როცა ბიჭი გაიზრდება, ჩემს შთამომავალზე დავაქორწინოთო და ეს იქნება სრული გაერთიანება! ახლო, მომავალს რაც შეეხება... მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბის“ სპიკერი კი ვარ და წლების განმავლობაში ვიკვლევდი ჩართული ვიყავი ამ ამბებში, დღესაც და უახლოეს მომავალში მონარქიის აღდგენა არაფრის დიდებით არ შეიძლება!

**— რატომ?**

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ დალაგებული არ არის ტახტის მემკვიდრის საკითხი! მეორე — არ არის გარკვეული, სახელმწიფოებრივ მოწყობა როგორი უნდა იყოს! და მესამე — საქართველოს მთელ მოსახლეობასთან არ არის შეთანხმებული, (სამეფო ოჯახების ტიტულები, პრივილეგიები და ა.შ.) რამდენად მისაღები მათთვის და რამდენად არ დაამცირებს ეს ყველაფერი მათ ღირსებას, თუნდაც ადამიანი უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების თვალსაზრისით. უფრო კარგად რომ განვმარტო, მაგ გერმანიაში არისტოკრატთა და რიგითი მოქალაქეების სრული თანაბრობაა და არცერთ დოკუმენტში არ შეიძლება ჩაიწეროს „ბატონი“, ანდა „პრინცი“, „პრინცესა“ და ა.შ. ანუ არისტოკრატი თუ კეთილშობილად მოიაზრება, მაშინ რიგითი ადამიანი, ამ პრიციპით „მდაბიოთა“ და ამიტომაც დასავლეთის კანონებში, ასეთი დიფერენცირება კანონით ისჯება! ასეა სხვა ქვეყნებშიც ბრიტანეთის გარდა.

სანამ საქართველოში ასეთი პოლიტ-კორექტულობა დაცული არ იქნება კანონით, იქამდე მონარქიის აღდგენა კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის, თანაც, წარმომავლობას, ჩემი აზრით, ინტელექტზე გავლენა არა აქვს. და ამის ნათელი დადასტურებაა, ჩემთვის „მდაბიოთა“ შთამომავალი გალაქტიონ ტაბიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, თუნდაც ფიროსმანი რომლებიც აბსოლუტური გენიოსები იყვნენ.

**— ჩემთვის მითუმეტეს, ქიზიყელი ვარ და ბატონებს ვერ ვიტან გენეტიკურად. გია, როგორც ჩემთვის დიდი ხნით ადრეა ცნობილი, საქართველოში მეფის ოქროს გვირგვინი უკვე გაჭედილია და უამრავი თვალმარგალიტიც აქვს დატანებული ზედ! გსმენია ამის შესახებ?**

— მსმენია? მსმენია კი არა, საქართველოს კიდევ ერთხელ გაჯიჯგნის სქემაც არსებობდა და მე ვიცი, არსებობდა გარკვეული პოლიტიკური წრე, რომლებიც ზუსტად არ მახსოვს, 2007 თუ 2008 წელს გამოსვლები რომ იყო და როცა ამბობდენ სააკაშვილი საქართველოდან გარბისო, მაშინ ფიქრობდნენ ეს „ჩვენი პოლიტიკოსები“ და ქონების დამგროვებელთა ერთი ჯგუფი — აი, სააკაშვილი გაიქცევა, მივალთ პატრიარქთან და ვთხოვთ, ახლადშეუღლებული დავითი და ანა, საქართველოს მეფე-დედოფლად აკურთხოსო! ეს, რომ მომხდარიყო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველო აღმოჩნდებოდა სახელმწიფო კოლაფსში... ეს, რომ ასე მომხდარყო, მე ვფიქრობ, რომ საქართველო დაიყოფოდა სათავადოებად, „საპარტიოებად“ და ა.შ. რისგანაც უფალმა, არამარტო დაგვიცვა, არამედ გადაგვარჩინა კიდეც! ტახტისკენ მიმავალი გზა არ გადის არც ნუგზარ ბაგრატიონზე და არც არავისზე, რადგან ტახტისკენ მიმავალი გზა 21 საუკუნეში — გადის რეფერენდუმზე და ხალხის სიბრძნეზე!

აააქ... ალბათ ეგრეა ვინ იცი? თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად „სამეფო კლუბის“ სპიკერი ვარ და დღეს რომ ჩატარდეს რეფერენდუმი ხმას არ მივცემ მონარქიის სასარგებლოდ. რადგან ხმის მიცემა არის უდიდესი პასუხისმებლობა საკუთარ შვილებზე, შვილიშვილებზე და ქვეყნის მომავალზე, გამიგეთ? ერთი წყობილების მეორეთი შეცვალა, ხუმრობა ხომ არ არის? ბოლო-ბოლო დემოკრატიაზე ვერ გადავედით, ძმათამკვლელი ომი წამოვიწყეთ და მონარქიის აღმდგენები ვართ ჩვენ დღეს? მეტიც, თუ ღმერთმა ნუ ქნას და რაღაცა კრიზისი ისევე როგორც ადრე, მაინც მოხდა ქვეყანაში, იმედი აქვს რომ საქართველოს საპატრიარქო კარგად გაითვალისწინებს შექმნილ რეალობას, რომ ჯერ-ჯერობით დალაგებული ვერ არის მონარქიის საკითხი და მეფის კურთხევისგან თავს შეიკავებს!!!

**ესაუბრა**
**ირინე გოგოლაშვილი**


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


## რობერტ სტურუა: იმის მაგივრად, რომ ჩემი ქვეყანა გახდეს თავისუფალი, რაღაც უცნაური სასულთნო შენდება

**რეჟისორ რობერტ სტურუას განცხადებით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება სარისკო ნაბიჯი იყო.**

**როგორც სტურუამ „ბი-ბი-სის“ რუსულ ბიუროსთან ინტერვიუში განაცხადა, ერთ-ერთი ინფორმაციით კულტურის მინისტრი არწმუნებდა პრეზიდენტს, რომ მას ეს არ უნდა გაეკეთებინა, თუმცა პრეზიდენტი აქტიურად ითხოვდა ამას და კულტურის მინისტრმა მისი გადარწმუნება ვერ შეძლო.**



**„განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში მე პრეზიდენტის წინააღმდეგ აქტიურად დავიწყე გამოსვლა, როგორც პრესაში, ასევე ტელევიზიით. ჩემთვის მიუღებელია, იმის მაგივრად, რომ ჩემი ქვეყანა გახდეს თავისუფალი, პოეტებისა და ხელოვნების ქალაქი, რაღაც უცნაური სასულთნო შენდება, სადაც რასაც სულთანი იტყვის, ის უნდა გაკეთდეს. სწორედ ამ ავტორიტარიზმისგან სიგიჟემდე მაკანკალებს, როგორც უბრალოდ ადამიანს, ასევე როგორც ხელოვანს, რომელიც ყველაფერი ამის წინააღმდეგ ყოველთვის ვიბრძოდი,“- აღნიშნავს სტურუა.**

**„მედიანიუსი“**

# biZina ivaniSvilis Riawerili

## saqarTvelos xelisuflebas, politikosebs da politikur partiebs, masmediis warmomadgenlebs, saqarTvelos yvela moqalaqes

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, მინდა ორიოდე სიტყვა საკუთარ თავზეც გითხრათ.

ჩემი, როგორც ბიზნესმენის წარმატების მთავარი საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: მე შემიძლია სწრაფად შევაფასო სიტუაცია, მივიღო სწორი გადაწყვეტილება, სწორად შევარჩიო კადრები და კარგი მენეჯმენტის საშუალებით სწრაფად მივაღწიო დასახულ მიზანს.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საქმე სუფთა ხელებით, ადამიანებთან გულწრფელი და გახსნილი ურთიერთობების საფუძველზე უნდა კეთდებოდეს.

ასე ვიცხოვრე, ასე მოვედი აქამდე და ასე მიცნობენ როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამის დასამტკიცებლად მე გავიხსენებ რამდენიმე დეტალს ჩემი ერთადერთი ინტერვიუდან, რომელიც რუსულ გაზეთ „ვედომოსტს" მივეცი 2005 წელს (იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ვერაფერს გადაჭარბებულს ინტერვიუში ვერ ვიტყოდი, რადგან ელემენტარულ ცდომილებასაც არავინ მაპატიებდა).

ინტერვიუში კარგად ჩანს ჟურნალისტის გამძაფრებული მცდელობა როგორმე მამხილოს რაიმე არაკანონიერებაში, თუმცა ისიც კარგად ჩანს, რომ მან ვერაფერს მიაღწია, პირიქით, ამ ინტერვიუში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რამოდენიმე რუსეთისა და არამარტო რუსეთის ბიზნესისთვის უპრეცენდენტო მაგალითები, რომლებსაც დღესაც სიამაყით ვიხსენებ. აი, ერთ-ერთი მათგანი:

1998 წელს, როცა რუსეთის სახელმწიფომ დეფოლტი გამოაცხადა, ჩემი ბანკი ერთადერთი იყო იმ უმსხვილესი ბანკებიდან (სხვადასხვა ტიპის საბანკო რეიტინგებში მე-2–მე-5 ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო ფილიალების რაოდენობით მე-2 იყო „სბერბანკის" შემდეგ), რომელმაც პირნათლად შეასრულა მეანაბრეებთან და ბიზნესპარტნიორებთან ნაკისრი ყველა ვალდებულება.

იმავე ინტერვიუში მე ვიხსენებ, რუსეთის მაშინდელი ფინანსთა მინისტრის სიტყვებს ევროპისა და ამერიკის გაწბილებულ ბიზნესელიტასთან შეხვედრისას, სადაც ის ამბობდა თუ როგორ ზეწოლას განიცდიდა მათგან, რომ ასე უხეშად გადააგდეს ისინი, რის შედეგადაც უამრავი ფული დაკარგეს რუსეთში და რომ მის მძიმე პოზიციას როგორ ამსუბუქებდა ერთადერთი პრეცენდენტით, რომელიც ჩემი ბანკის საქმიანობით შეიქმნა.

ამ პრეცენდენტით და არამარტო ამით, მე უმწიკვლო სახელი მაქვს, როგორც რუსეთის, ისე ევროპის და ამერიკის ბიზნესელიტაში. ამიტომაც როდესაც სააკაშვილის აბსოლუტურად არადიპლომატიური, შეურაცხმყოფელი განცხადების შედეგად რუსეთის მთავრობის მისამართით, რუსეთის მთავრობა ისე გაღიზიანდა, რომ საერთაშორისო სამართლისთვის მიუღებელი და გაუაზრებელი ქართველბის დეპორტაცია დაიწყო. მაშინაც კი ვერავინ გაბედა ჩემი ბიზნესისთვის ხელის ხლება.

ვფიქრობ, ის გამოცდილება და ის თვისებები, რაც ბიზნესში მრავალწლიანმა მოღვაწეობამ შემძინა, ხელს შემიწყობს სწორად



წარვმართო ჩემი საქმიანობა პოლიტიკაშიც.

როგორი მენეჯერი ვარ მე, ამის დასამტკიცებლად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ ცხრა წელია რუსეთში არ ჩავსულვარ, მაგრამ ჩემს მიერ აწყობილი ბიზნესსტრუქტურები აბსოლუტურად გამართულად მუშაობენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება და მის მიერ მართული საინფორმაციო საშუალებები ჯიუტად ცდილობენ რუსულ პოლიტიკასთან მიმაბან და ლამის რუსეთის აგენტად გამომაცხადონ, ვერავინ დამისახელებს ამის დამადასტურებელ თუნდაც ერთ ფაქტს, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს.

როგორც ვთქვი, ცხრა წელი რუსეთში არ ვყოფილვარ და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ზარი ჩემს ტელეფონზე რუსეთის პოლიტიკური წრეებიდან, არ მქონია არცერთი შეხვედრა რუს პოლიტიკოსებთან.

საქართველოს ხელისუფლებას ამის გადამოწმება არ გაუჭირდება, თუმცა მათ ამის გადამოწმებაც არ სჭირდებათ — მათ ისედაც შესანიშნავად იციან, რომ არანაირი კავშირი არ მქონია და არ მაქვს რუსულ პოლიტიკასთან.

ხელისუფლების მიერ შეთითხნილ ბინძურ ჭორებზე და აბსურდულ ბრალდებებზე თავის მართლებას არ ვაპირებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს — საქმე, რომელსაც მე წლების განმავლობაში ვაკეთებ საქართველოში, თუ სინდისის ნატამალი აქვს, როგორ შეიძლება რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს დაუკავშიროს ვინმემ?

სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა?

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, ნათქვამია.

2008 წლის შემდეგ, როცა საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, რის გამოც ამ ხელისუფლებასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე, ჩემს წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა, წამოვიდა სიბინძურის ნიაღვარი ტელეეკრანებიდან, გაზეთებიდან, დაიწყო მუქარები, შანტაჟი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — ჩემს საქმიანობაში შავი ლაქები და ხარვეზები ვერ იპოვეს — ვერც იპოვნიან მას, რაც ბუნებაში არ არსებობს.

სხვათაშორის, ამ უსაფუძვლო ბრალდებების გასაბათილებლად გამოიცა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი, სადაც ამომწურავი პასუხია გაცემული ცილისმწამებლურ და თითიდან გამოწოვილ ბრალდებებზე.

**აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ჟურნალისტებს ვთხოვ ხელახლა ნუ დაიწყებენ საუბარს იმ თემებზე და ხელახლა ნუ მომთხოვენ პასუხს იმ კითხვებზე, რომელზეც პასუხი უკვე გაცემულია.**

და ბოლოს, რადგან გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში.

როგორც ზემოთ ვთქვი, მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემს სიტყვას და ნაკისრ ვალდებულებას.

**რადგან ქართველ ხალხს სიტყვას ვაძლევ, რომ მოვალ ხელისუფლებაში, ე.ი. აუცილებლად მოვალ!**

ხოლო როცა ეს მოხდება, იმასაც გპირდებით, რომ მთელს ჩემს გამოცდილებას, ჩემს ყველა რესურსს საქართველოს აღორძინებას და აყვავებას, საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას მოვახმარ.

ამასთან ერთად იმასაც გპირდებით, რომ ვიქნები სამართლიანი, ობიექტური, ლმობიერი, ჰუმანური და ამავე დროს უკიდურესად პრინციპული, მკაცრი და მომთხოვნი თითოეული იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურების ამა თუ იმ უბანზე მოუწევთ მუშაობა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მე ძალიან ახლობელ ადამინებსაც არ ვაპატიე, როცა მათ კანონით დაწესებულ ნორმებს და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს გადაუხვიეს.

შეცდომების გამოსწორების შანსი ყველას მიეცემა, მაგრამ არავის არ მიეცემა იმის უფლება, რომ საქვეყნო საქმეები თავის პირად ინტერსებს მოარგოს და სხვის ხარჯზე, ხალხის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა მოიწყოს.

**ვიმეორებ, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში, რადგან სიტყვა მოგეცით, აუცილებლად მოვალ!**

### რატომ მოვედი პოლიტიკაში

ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია იმიტომ, რომ ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.

ეს სიტყვები ჩვენს კომფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება. არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.

ვისაც არ სჯერა შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორც დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს — შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.

**ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.**

**მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.**

მე შევძელი მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.

ახლა თითოეულმა თქვენგანმა, ამ ქვეყნის თითეულმა მოქალაქემ, უნდა შესძლოს საკუთარ თავზე გამარჯვება და საერთო საქვეყნო საქმის გარშემო დარაზმვა.

**ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი თანაბარნი და თანასწორუფლებიანი ვართ და ყველას თანაბრად გვაწევს პასუხისმგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.**

პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე

12 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

11 gv.

ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.

მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.

**მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად.**

საქართველოს დასაკარგი კაცი არ ჰყავს, თითოეული ადამიანის პოტენციალი უნდა იქნეს სათანადოდ გამოყენებული და დაფასებული, ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მე ყველას ვუწვდი ხელს სათანამშრომლოდ, მათ შორის ჩემს ოპონენტებსაც, ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ სანამ გავერთიანდებოდეთ, ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას, ყველა უნდა წარვდგეთ ერთმანეთის წინაშე არა ნიღბით, არამედ ჩვენი ნამდვილი სახით, ყველა უნდა გავთავისუფლდეთ ნებსით თუ უნებლიეთ წამოკიდული ტვირთისაგან.

მე მზად ვარ საზოგადოებისგან წამოსულ ნებისმიერ კითხვას გავცე ამომწურავი პასუხი და ამასვე მოვითხოვ სხვებისგანაც.

არც მე ვარ უშეცდომო და ჩემს შეცდომებს არ ვმალავ, ვფიქრობ, ასევე უნდა მოიქცნენ სხვებიც და რაღაცეებზე უარი უნდა თქვან, აი, ამის შემდეგ მე მზად ვარ ნებისმიერ მათგანთან ვითანამშრომლო, სხვანაირად და სხვაგვარად ჩვენი ურთიერთობა არ შედგება.

ჩემი აზრით, ჯერ უნდა გაივლოს სადემარკაციო ხაზი, უნდა შეიქმნას ორი პოლუსი და ნათლად უნდა ითქვას, მიზეზთა და მიზეზთა გამო ვისი გვერდით ვერ დავდგები და ვისთან ვერ ვითანამშრომლებ.

## ვისთან ვერ ვითანამშრომლებ?

ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან და მისი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ.

ჩემი აზრით, სწორედ ფსევდოოპოზიციური პარტიებია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლების ყველაზე საიმედო მოკავშირედ და პარტნიორად გვევლინება.

სინამდვილეში სააკაშვილ.ის ხელისუფლება ამ ფსევდოოპოზიციური ძალების მხრებზე დგას – ეს ძალები უქმნიან სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიულობის ფონს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე და









ფაქტობრივად ერთპარტიულ ქართულ პარლამენტს თავიანთი ფსევდოოპოზიციური მოღვაწეობით მრავალპარტიული პარლამენტის იმიჯს უქმნიან.

სწორედ მათ შეაქვთ განხეთქილება და არეულობა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალების ნებისმიერ წამოწყებაში, ისინი ახშობენ, ანეიტრალებენ და კალაპოტს უცვლიან ხალხის საპროტესტო განწყობას.

**მე არ მოვერიდები მათ დასახელებას და ღიად ვაცხადებ: ვერ ვითანამშრომლებ „ქრისტიან-დემოკრატებთან“, „ლეიბორისტებთან“, „ახალ მემარჯვენეებთან“, „ედპ“-სთან, „ქართულ პარტიასთან“, თორთლაძის, დავითაიას პარტიებთან.**

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერის გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისიფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა.

**ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ ზემოთნახსენები პარტიების ლიდერები შალვა ნათელაშვილი, დავით გამყრელიძე, ეროსი კიწმარიშვილი, ბაჩუკი ქარდავა.**

დიახ, მე ვერ ვითანამშრომლებ ამ ადამიანებთან, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფსევდოოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წევრთან ურთიერთობაზე დავთანხმდე, თუ ისინი საკუთარი პოლიტიკური წარსულის რევიზიას შეძლებენ.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა სოზარ სუბარზე, ადამიანზე, რომელსაც ომბუდსმენის საპასუხისმგებლო პოსტზე ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული და რომელსაც არაერთხელ დაუფიქსირებია მტკიცე პოზიცია ხელისუფლების თავნებობის წინააღმდეგ.

დიდი გულისტკივილით და სინანულით ვამბობ, რომ სოზარ სუბარი აღმოჩნდა იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო.

თუ ბატონ სოზარს სურვილი ექნება ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას შემოუერთდეს, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

კიდევ ვიმეორებ, თანამშრომლობაზე უარს ვაცხადებ ზემოთ დასახელებულ ოპოზიციურ პარტიებთან და არა ამ პარტიების ცალკეულ კეთილსინდისიერ წევრებთან.

## მასმედია

გამომდინარე იქედან, რომ ქართულ მედიასთან მიმართებაში ჩემს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია, საჭიროდ ჩავთვალე აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე განმარტების გაკეთება.

სიმართლე მწარეა, მაგრამ თუ ჩვენ არ მივეჩვიეთ მისთვის თვალის გასწორებას, ეს ქვეყანა განწირულია მუდმივ შიშსა და სიცრუეში არსებობისათვის.

მე ვეკითხები „მაესტროს“ ჟურნალისტებს და თუნდაც მის ადმინისტრაციასა თუ დამფუძნებლებს – როდესაც ტელევიზიას მართავს ფსევდოოპოზიციონერის ეროსი კიწმარიშვილის კომპანია, ადამიანის, რომელმაც სხვას რომ თავი დავანებოთ, მისივე აღიარებით 2008 წელს დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად დაასამარა ხალხის რეალური არჩევანი, შეიძლება თუ არა რომ ვიღაცას ჰქონდეს ილუზია, რომ ასეთი ტიპის ადამიანი გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი?

მე კიდევ ერთხელ ვთავაზობ მათ:

მზად ვარ თქვენს წინაშე ავილო ყველა ის ფინანსური ვალდებულება, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირი, კაცმა არ იცის საიდან მოტანილი დაფინანსებით, ასრულებს (ან არ ასრულებს) თქვენს წინაშე.

გავაფორმო სარედაქციო დამოუკიდებლობის საგარანტიო ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ჟურნალისტის თავისუფლება, თუნდაც კრიტიკული დამოკიდებულება ჩემს პირად მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

დასაქმებული იქნება ყველა ქართველი ჟურნალისტი, რომლისთვისაც ძვირფასია თავისუფალი სიტყვა და პროფესიული ღირსება. ჩვენ ერთად შევუქმნათ მათ საშუალება, გათავისუფლდნენ ფსევდოკეთილდღეობის მარწუხებიდან.

ერთად უნდა დავუბრუნოთ ხელისუფლება ხალხს და დავიწყოთ ეს მეოთხე ხელისუფლებით, ანუ თქვენით.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო „მაესტროს“ წამყვან ჟურნალისტს შალვა რამიშვილს.

შალვა, შენ როდესაც „დარდუბალას“ აკეთებდი, მე ჩემი ოჯახით პარიზში ვცხოვრობდი.

„დარდუბალა“-ს ყოველი გასვლა ეკრანზე ჩვენთვის იყო ნამდვილი დღესასწაული, ნიჭიერების, ტალანტის ნამდვილი ფეიერვერკი. შენ, მაშინ როგორც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის კუმირი იყავი, რომელმაც გასაოცარი ნიჭიერებით წარმოაჩინე ქვეყანაში არსებული დამყაყებულ-დაჭაობებული გარემო და ადამიანებს პირდაპირ უთხარი, რომ ამ ჭაობში ცხოვრება შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისათვის.

**დღეს რა მოგივიდა, დღეს რა დაგემართა, შალვა? შენ, ასეთი ელვარე ნიჭით დაჯილდოვებული კაცი უნიჭოს როგორ ემსახურები? ნიჭი ღვთისაგან ბოძებული მადლია და შენ ამ მადლს ულირსთა და უკეთურთა სამსახურში როგორ ფლანგავ?**

შალვა, როგორ ვერ ხვდები, რომ შენს მიერ შექმნილი „დარდუბალა“-ს პერსონაჟებს დაემსგავსე თანდათან?

შენ ახლა ახალ „დარდუბალა“-ს უნდა ქმნიდე და ამ დროს სააკაშვილთან გარიგებული „მაესტროს“ მეპატრონეები დაგარბენინებენ აღმა-დაღმა ხელისბიჭივით.

**წამოდი შალვა და ახალი „დარდუბალა“-ს გადაღება დაიწყე, რომლის გამზადებული სიუჟეტი, ძველი „დარდუბალა“-ს სიუჟეტზე გაცილებით მძაფრი სიუჟეტი, ახალი ოდიოზური პერსონაჟებით, ცხოვრებამ მაგიდაზე დაგიდო, შენ კი მისი აღება გეზარება.**

**სახალხოდ გაძლევ სიტყვას, შენ დაიწყე ახალი „დარდუბალა“-ს გადაღება და მე დავაფინანსებ!**

და ბოლოს: ჟურნალისტთა შესანიშნავი კორპუსი მუშაობს „მაესტროში“, შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, ნიჭიერები, ლამაზები, განათლებულნი. მე მათ როგორც საკუთარ შვილებს ისე ვუყურებ და ძალიან განვიცდი იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.

ძალიან განვიცდი, რომ „მაესტროსთვის“ ცდება ეკა ბერიძე, ეს უაღრესად ნიჭიერი და ამასთან ერთად მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერებით გამორჩეული ჟურნალისტი.

**გამოსავალი ერთია: ერთად წამოდით ყველანი ამ ორსახოვანი თუ სამსახოვანი ტელევიზიიდან და თქვენი პროფესიით დასაქმების გარანტიას მე გაძლევთ!**

ახლა კი დავით აქუბარდიას მინდა მივმართო, როგორც მას ქართველი ხალხი სიყვარულით უწოდებს, ბატონ აქუს.

ბატონო დავით, მე მახსოვს თქვენი გადაცემა 30 ივნისს, როცა თქვენ ყური აუწიეთ და პოლიტიკურ ფარისევლობაში ამხილეთ „ქრისტიან-დემოკრატები“ და მამუკა კაციტაძე.

თქვენ მაშინ ბრწყინვალე იყავით, თქვენი არგუმენტები აბსოლუტურად დამაჯერებელი იყო, თქვენი პოზოცია აბსოლუტურად სწორი.

იმავე საღამოს თქვენ ეროსი კიწმარიშვილი გყავდათ სტუმრად და თუ პირველ გადაცემაში თქვენ ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე იდექით, კიწმარიშვილთან საუბრისას საოცრად დათრგუნული, ყალბი, უნიათო ბრძანდებოდით და აშკარად გეტყობოდათ, რომ დაკვეთას ასრულებდით.

ბატონო დავით, თქვენ ერუდირებული, ანალიზის შესანიშნავი უნარის მქონე ჟურნალისტი ხართ, რომელმაც პროფესიონალურ დონეზე იცით ეკონომიკა, ისტორია, ლიტერატურა, ბრწინვალედ ერკვევით პოლიტიკური ცხოვრების ლაბირინთებში, მაგრამ ხშირად ღალატობთ საკუთარ თავს, საკუთარ პრინციპებს და სხვადასხვა მოტივით და მიზეზით ფსევდოოპოზიციურ, ფსევდოობიექტურ სუბიექტებს აძლევთ ასპარეზს.

**ბატონო დავით, არ მინდა მე თქვენი „კავკასია“ – ნურც მომყიდით და ნურც მაჩუქებთ, მაგ-**

ტელეკომპანია კავკასია

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**რამ თქვენ იყავით ობიექტური, მართალი და ობიექტური ოღონდ არა დღეგამოშვებით, არა ხანდახან, არამედ მთლიანად, მთელი 24 საათის განმავლობაში.**

ფინანსური პრობლემები გიშლით ხელს? არაფერი არ მინდა თქვენგან, ისე დაგეხმარებით, ოღონდ თქვენს თავისუფლებას და საკუთარ მრწამსს ნაძირლებზე ნუ გაყიდით.

ჩემი ამასწინანდელი განცხადება „კავკასიის“ თუ „მაესტროს“ ყიდვასთან დაკავშირებით ზოგმა არასწორად გაიგო.

**მე ჟურნალისტების ყიდვა კი არა მათი გათავისუფლება მინდა იმ შეურაცხმყოფელი და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის შემზღუდველი ატმოსფეროსგან, რომელშიც დღეს მათ უწევთ მუშაობა.**

მასმედიის მისამართით გაკეთებული ჩემი განცხადების მიზანი იყო, საზოგადოებისთვის დამემტკიცებინა, რომ ამ ვითომ ოპოზიციურ ტელეარხებს სინამდვილეში სააკაშვილი აკონტროლებს და მისი დასტურის და ნებართვის გარეშე, ამ ტელეკომპანიის მესვეურებს რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ.

მე მიზანს მივაღწიე — ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა თავიანთი კომენტარებით ფაქტობრივად დაადასტურეს, რომ მათი ორგანიზაციების ნამდვილი მეპატრონე სააკაშვილია.

### ფსევდოობიექტურობა

ფსევდოოპოზიციონერთა კვალდაკვალ უპრიანი იქნება თუ ფსევდოობიექტურობის იმ მავნე ზემოქმედებაზეც ვისაუბრებთ, რომელსაც ფსევდოობიექტურები ახდენენ საზოგადოებას ცხოვრებაზე.



დღეს, როდესაც სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოჩენაზე, ძნელია გაარჩიო ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!

**ხელისუფლების ძალისხმევით ეგრეთწოდებულ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ანალიტიკოსთა, სოციოლოგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების მიერ დაწერილ სცენარს ახმოვანებს და უტიფრად ასაღებს შავს თეთრად და პირიქით.**

ჩვენ ამ ადამიანებს ყოველდღე ვუსმენთ ტელეეკრანებზე, ვკითხულობთ მათ წერილებს, ინტერვიუებს, რომელიც სიმართლის წარმოჩენას კი არა სიმართლის მიჩქმალვას ემსახურება და ცხადია, ადამიანებს სწორი არჩევანის და სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას უხშობს.

იმდენად მრავალრიცხოვანია ფსევდოობიექტურთა ჭრელი გუნდი, ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა თავისი ნიჭიერებით გამორჩეულ რამდენიმე პიროვნებაზე მაინც შევჩერდები.

პირველ რიგში მინდა დავასახელო ია ანთაძე, გამორჩეულად ნიჭიერი ქალბატონი, კარგი ანალიტიკოსი, რომელიც ეჭვი მაქვს რომ ზოგჯერ ძალიან ოსტატურად და შენიღბულად ემსახურება ხელისუფლების ინტერესებს.

ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდები.

ია ანთაძემ ამას წინათ ყოველგვარი არგუმენტების გარეშე მე პრორუსულ ძალად, სააკაშვილი კი



პროდასავლური ლიბერალური ღირებულებების აპოლოგეტად გამოაცხადა.

კი, ბატონო, ია ანთაძემ რაც უნდა ის მიწოდოს, არ მეწყინება, მაგრამ როგორ შეიძლება სააკაშვილში, რომელმაც ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა საქართველოში, ლიბერალობა და პროდასავლურობა დაინახო?

როცა გაქვს ავტორიტეტი, როცა საზოგადოება გიცნობს, როგორც კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ ჟურნალისტს და ასეთ დასკვნებს აკეთებ, ეს უკვე დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა.

ნაკლები საფრთხის შემცველია, ვთქვათ, სოსო ცინცაძის პრიმიტიული და აბდაუბდა მოსაზრებები, რომლებსაც შეგიძლია ყურადღებაც კი არ მიაქციო, იმდენად სუსტი და ცალმხრივია მისი მსჯელობა, მაგრამ როცა ისეთი გონიერი და ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც რამაზ საყვარელიძეა, ზოგჯერ ორმაგი სტანდარტებით თამაშისკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს, ეს უკვე საგანგაშოა.

ამასწინათ რამაზ საყვარელიძის და პაატა ზაქარეიშვილის პაექრობას ვუსმინე. პაატა ზაქარეიშვილი უდაოდ ინტელექტუალური და გონებაგამჭრიახი პოლიტიკოსი, ემოციური პიროვნებაა და თავის მოსაზრებებს ამ გადაცემის დროსაც ემოციურად გამოხატავდა, საყვარელიძე კი „ამშვიდებდა“: — ნუ ნერვიულობ, ნუ გეშინია, შენ ექიმთან ხარ“ ორჯერ გაუმეორა მან ზაქარეიშვილს ეს ფრაზა, რაც ხულიგნობას უფრო ჰგავს, ვიდრე ინტილიგენტის საქციელს.

ექსტაზში შესულმა რამაზმა ისიც კი თქვა, რომ ოპოზიციას იმდენივე მოეთხოვება, რამდენიც ხელისუფლებასო, რაზეც ზაქარეიშვილმა საკადრისი პასუხი გასცა.

ამდენი სიცრუისგან, ამდენი ტყუილისგან, ამდენი ფსიქოლოგიური ზეწოლის და ზემოქმედებისგან ჩვენი საზოგადოება შეიძლება მართლაც არის დაავადებული, მაგრამ მისი განკურნება მხოლოდ სიმართლით არის შესაძლებელი და არა ცინიზმით და ლამაზად შეფუთული სიცრუით.

დღეს დიდი სიმართლის თქმის დროა!

**თუ გვინდა რომ ქვეყანა ამ ნახევრად მკვდრული მდგომარეობიდან, ამ შოკიდან გამოვიდეს, პირველ რიგში სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ და ვინც არ არის კახაბერი, კახაბერად არ უნდა გამოვაცხადოთ.**

### სახელისუფლო გუნდი

პირდაპირ მინდა განვაცხადო, სახელისუფლო გუნდთან და მის იდეოლოგებთან, ვინც სააკაშვილს ემსახურება, არანაირი პრეტენზია არ მაქვს, რადგან მათთან ყველაფერი გარკვეულია და აქედან გამომდინარე, ფსევდოპოზიციისგან განსხვავებით, მათი არჩევანი, მათი პოზიცია ღია და გამჭირვალეა.

**ყველას აქვს უფლება უერთგულოს და მხარი დაუჭიროს მას, ვინც მოსწონს როგორც პოლიტიკოსი და როგორც ლიდერი. ამ ადამიანებს სააკაშვილი მოსწონთ, ის მათ პოლიტიკურ გემოვნებას ყოველმხრივ აკმაყოფილებს, გემოვნებაზე კი, როგორც იტყვიან, არ დავობენ. თუმცა ჩემი პირადი აზრით, სწორედ რომ გემოვნებაა მთავარი სადაო და საკამათო... დავით დარჩიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი, ხათუნა ოჩიაური, ზურაბ მელიქიშვილი, პალიკო კუბლაშვილი ამ ხელისუფლების გამოკვეთილი იდეოლოგები არიან.**

მართალია, ეს იდეოლოგია ხშირად დემაგოგიაში გადადის და პირადად ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს მათი არჩევანია.

თავის დროზე სააკაშვილს ბევრი უჭერდა მხარს, მათგან ზოგმა კრიტიკულად გადახედა თავის პოზიციას და დროზე წამოვიდა მისი გუნდიდან, ზოგი კი დარჩა და დღემდე მასთანაა.

**მე მესმის ამ ადამიანების მდგომარეობისა. შეიძლება ზოგს გულით უნდოდეს სახელისუფლო გუნდის დატოვება, მაგრამ ეს არც ისე იოლად მისაღები გადაწყვეტილებაა.**

**ისინი ერთხელ გაკეთებული მცდარი არჩევანის მძევლები არიან და მე მათ უფრო თანაგრძნობით ვუყურებ. მე არ მაქვს მათ მიმართ აგრესიული განწყობა, ის კი არა რომელიმე მათგანმა თავისი პოლიტიკური მრწამსი და პოზიცია რომ შეიცვალოს, არ გამოვრიცხავ, მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც... მე ხელისუფლებასთან ვაიგივებ სამ ტელეკომპანიას: „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ „რუსთავი-2“-ს, „იმედს“ და რაც ზემოთ აღვნიშნე, ეს ამ ტელევიზიების თანამშრომლებსაც ეხებათ.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჩემთვის არ არის პიროვნების შეფასების კრიტერიუმები ვინ მუშაობდა და ვინ მუშაობს სააკაშვილთან, ვინ მუშაობდა და ვინ მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში. გადამწყვეტი ეს არ არის, მთავარია, ადამიანი დროზე მიხვდეს ჩადენილ შეცდომებს და სიკეთისკენ გადადგას ნაბიჯი.

როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს დასაკარგი და მისაკვეთი ადამიანები არ ჰყავს.

**რადგან სახელისუფლო გუნდზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მინდა მივმართო მერაბიშვილს, რომელსაც ვიცნობ, როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისებების მქონე პიროვნებას.**

მერაბიშვილმა დიდი შრომის შედეგად მოახერხა და შექმნა გამართული სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით. საპატრულო პოლიცია თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფები რომლებსაც ის სადამსჯელო, ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება საზოგადოებისთვის ძალზე სასარგებლო როლი ითამაშონ.

მერაბიშვილი ხშირად მაოცებდა ხოლმე ეკონომიკის სფეროში საკმაოდ სერიოზული კომპეტენტურობით, თუმცა მეც ბევრჯერ გამიოცებია იგი ჩემი პროფესიიდან შორს მდგარი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას.

საკმაოდ ბევრი ფაქტიდან მხოლოდ ერთს შევახსენებ ვანო მერაბიშვილს.



**გახსოვს ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი რომ მისთვის გადამეფიქრებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება.**

ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ.

ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ.

მე მაშინ შევძელი ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა.

სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რომელსაც შენ გამოხატავდი ჩემი მისამართით. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდაწყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა: — ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

— სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს — მეთქი, გავაფრთხილე.



**მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა.**

ჩემო ვანო, ერთი ამბავიც მინდა გაგახსენო და ამით დავამთავრებ.

ვარდების რევოლუციიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილი სპეციალურად ჩამოფრინდა ბობოყვათში ჩემთან შესახვედრად (მე იმ დროს ურეკში ვიყავი) და მითხრა, მერაბიშვილი უნდა გავუშვაო.

მე მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ სააკაშვილს შენი გაშვება გადაეფიქრებინა. მე ის დავარწმუნე, რომ შენ ბუნებით ერთგული კაცი ხარ, გონიერი ორგანიზატორი და წინდახედული მენეჯერი.

სააკაშვილმა მაშინ დამიჯერა და არც უნანია, რაც უდაოდ შენი დამსახურებაა. მე მისთვის არასოდეს არ მიმიცია ცუდი რჩევა, არც მისთვის, არც შენთვის.

**ახლა კი კიდევ ერთი რჩევა მინდა მოგცე – ურჩიე სააკაშვილს, რომ დროზე გადადგეს!**

**სააკაშვილი დაიღალა, გამოიფიტა და ქვეყანაც და საკუთარ თავსაც უფსკრულისკენ მიაქანებს, შენ და შენი მასწავლებელი ადეიშვილი**

14 gv.

13 gv.

**კი მას დათვურ სამსახურს უწევთ და ძალაუფლებას უნარჩუნებთ.**

ეს არ არის გამოსავალი, ეს არ შეიძლება მარადიულად გაგრძელდეს და ასე, ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა ერთ საბედისწერო დღეს შეიძლება დიდი კატასტროფით დამთავრდეს.

**ურჩიე სააკაშვილს, რომ გადადგეს! ეს არის ერთადერთი შანსი, რომ მას საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების საშუალება მიეცეს.**

**თუ სააკაშვილი შენს რჩევას ყურად არ იღებს, მაშინ შენ თვითონ გადადექი, რადგან შენთვისაც ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია და ამით შენ დარჩები საქართველოში საპატივცემულო და ღირსეულ ადამიანად.**

მანამდე კი ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, ვანო!

**ვიცი, მთელი მთავრობა, მთელი სახელისუფლო გუნდი გაოგნებული ხართ თუ რატომ გაიგეთ ასე დაგვიანებით ინფორმაცია ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების შესახებ.**

საქმე ის არის, მე ვისარგებლე ჩემს ორგანიზაციაში თქვენს მიერ დავერბოვკებული თქვენი აგენტის უფასო „მომსახურებით“, რომელსაც პერიოდულად ვარწმუნებდი, რომ პოლიტიკაში არასოდეს არ მოვიდოდი, რომ ეს სფერო საერთოდ არ მაინტერესებდა და მალე საქართველოსაც დავტოვებდი. თქვენი აგენტიც იჯერებდა ჩემს ნათქვამს და მერე თქვენც გარწმუნებდათ, რომ ჩემი მხრიდან პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხულია. თქვენც მშვიდად და არხეინად ბრძანდებოდით, ამიტომაც იყო შოკის მომგვრელი და თავზარდამცემი ჩემი განცხადება თქვენთვის.

თქვენ ეს ადამიანი ახლა კი არა, სამი წლის წინათ გადაიბირეთ, ანუ მაშინ, როცა ჩვენს შორის ჯერ კიდევ ნორმალური ურთიერთობა იყო.

ასეთები ხართ თქვენ. ასეთი ზნე გაქვთ — დანდობა და სიყვარული არ იცით!

თქვენმა აგენტმა ჯერ არ იცის, რომ გაშიფრულია.

ის ამას დღეს, გაზეთებიდან გაიგებს.

ის კარგი ფინანსისტია, წაიყვანეთ, გამოგადგებათ.

„ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტზე, გიგა ჩრდილელზე, ვლაპარაკობდი...

თქვენთვის ამის გაგება დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ გაფრთხილებთ, ყველა თქვენი მცდელობა ჩვენს გარშემო ჯაშუშური ქსელის ხლართვისა, ზუსტად ისეთი კრახით დამთავრდება, როგორც ეს დამთავრდა.

2008 წლის წაგებული ომიდან ორი-სამი თვის შემდეგ შემდეგ, როცა ქვეყანას დიდი არეულობა და ქაოსი ემუქრებოდა, მე თვითონ გავუგზავნე წერილი მიხეილ სააკაშვილს და ვურჩიე გადამდგარიყო.

ქართველი ხალხი სულგრძელი, მიმტევებელი ხალხია და გაპატიებს, რაც შეგეშალა. გადადგომა შენ საშუალებას მოგცემს არა მარტო გააგრძელო შენს ქვეყანაში ცხოვრება, არამედ გააგრძელო პოლიტიკური საქმიანობაც — ვწერდი სააკაშვილს.

# biZina ivaniSvilis Riawerili

## saqarTvelos xelisuflebas, politikosebs da politikur partiebs,masmediis warmomadgenlebs, saqarTvelos yvela moqalaqes

**მიშა, შენ ის მიშა ხარ, ხელისუფლებაში რომ მოხვედი და აღმაშენებლის საფლავზე დაიფიცე, რითაც საქართველოს მიანიშნე, რომ აღმაშენებლობას აპირებდი, მაგრამ დრო გავიდა და აღმაშენებლის ნაცვლად ბრეჟნევს დაემსგავსე, ბრეჟნევის ეპოქას მიუახლოვდი.**

ამის დასტურია თუნდაც შენი ბოლო შეხვედრა თელაველებთან, სადაც დაქირავებული ტაშის დამკვრელები კახელების სახელით გიკრავდნენ ტაშს და — მიშა! მიშას! გაყვიროდნენ.

შენ და შენი გუნდი ქართველი კაცისათვის წმინდათაწმინდას, ეკლესიასაც კი შეეხეთ და მხცოვანი პატრიარქი, ეს ბრძენი ადამიანი უკიდურესად მძიმე სიტუაციაში ჩააყენეთ.

**იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდით პატრიარქს, ეკლესიის შიგნით სულმოკლე ადამიანების ძებნა და მათი მოქრთამვა და მოსყიდვა დაიწყეთ.**

**შეჩერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ და შეჩერდი!**

**მე შენთვის არასოდეს მომიცია ჩემი პირადი ინტერესებით ნაკარნახევი რჩევა და ახლაც ჩემი კი არა შენი ინტერესებიდან გამომდინარე გეუბნები ამას – გადადექი!**



### რომელ პოლიტიკურ ძალებთან ვაპირებ თანამშრომლობას?

პირველ რიგში მინდა ვახსენო **რესპუბლიკური პარტია**, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტია, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით.



**თანამედროვე ყაიდის საინტერესო და იმედისმომცემ პოლიტიკურ ორგანიზაციად ვთვლი პარტია „თავისუფალ დემოკრატებს“, ხოლო მისი ლიდერი ირაკლი ალასანია ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი წონადი და ანგარიშგასაწევი ფიგურაა. „რესპუბლიკელებისგან“ განსხვავებით ირაკლი ალასანიასთან და მის პარტიასთან შეკითხვები არ მაქვს.**

ცხადია, ამ მიმართვაში ყველა იმ პოლიტიკოსს და პოლიტიკურ ორგანიზაციას ვერ ჩამოვთვლი, ვისთანაც თანამშრომლობას ვაპირებ.

უახლოეს ხანებში დრო ყველაფერს თავის ადგილას დაალაგებს და ჩვენი მომავალი პარტნიორების სიაც უფრო დაზუსტდება და დაკონკრეტდება.



**რესპუბლიკურ პარტიასთან** მართლაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ჩემი განცხადების შემდეგ, „რესპუბლიკური პარტიის“ რამდენიმე წევრმა ჩემს მიმართ ძალზე აგრესიული კომენტარები გააკეთა.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ლევან ბერძენიშვილს მინდა ვკითხო:

იმ დროს, როდესაც ხელისუფლებამ „ალია-ჰოლდინგის“ საშუალებით შემოგვიტია და ლაფის სროლა დაგვიწყო, ლევან ბერძენიშვილმა ორჭოფული პოზოცია დაიკავა და მრავალმნიშვნელოვანი ტონით განაცხადა, მე ვიცი, საიდან იშოვა ფული ივანიშვილმა და არ ამალაპარაკოთ ახლაო.

ჩვენ ამას მაშინვე გამოვეხმაურეთ და განმარტება მოგთხოვეთ, მაგრამ პასუხს თავი აარიდეთ.

თუ თქვენ მართლაც იცით კონკრეტული რამ, კეთილი ინებეთ და ღიად, საჯაროდ მითხარით, თუ არადა. ამ არაფრისმთქმელ ნართაულებს თავი დაანებეთ, ბატონო ლევან!

**დიდ ბოდიშს ვიხდი, სამგზის ვიხდი ბოდიშს, მაგრამ აქვე მინდა ყველა ოპოზიციურ პარტიას დავუსვა ერთი საერთო და ყველასათვის სავალდებულო კითხვა: — რით არსებობთ თქვენ და საიდან იღებთ პარტიის შესანახ თანხებს, თუ ეს თანხები გაგაჩნიათ?**

**გულუხვ მეგობრებზე აქცენტის გაკეთება არ იკმარებს — ამ „არგუმენტს“ ვერ მივიღებ!**

**ამ კითხვაზე პასუხი ჩემთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია და სანამ ზუსტი ინფორმაცია არ მექნება, თანამშრომლობაც ვერ შედგება.**

### და ბოლოს, ისევ ჩემს შესახებ...

არ მინდა ამ მიმართვის წაკითხვის შემდეგ საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ, აი, მოვედი მე, ვიღაც უცოდველი კრავი და სხვებს განვიკითხავ და მორალს ვუკითხავ.

არა, ეს ასე არ არის, მეც ბევრი შეცდომა დამიშვია და ბევრჯერ შემშლია, რაც ხმამაღლა მიღიარებია და საკუთარი თავი გამიკიცხავს.

**ჩვენ ყველანი თანაბარუფლებიანი და თანასწორი მოქალაქეები ვართ ამ ქვეყნისა და მე არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მიფიქრია, რომ მე ჩემი სიმდიდრით ვინმეზე, მატერიალურად თუნდაც ხელმოკლე ადამიანზე რაიმეთი მეტი ვარ.**

**არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ მე უფრო მეტ საქმეს ვაკეთებ ამ ქვეყნისთვის, ვიდრე უბრალო გლეხი, რომელიც ვაზს უვლის, კალატოზი, რომელიც აგურს აგურზე ადებს, პოეტი, რომელიც ლექსს წერს, სპორტსმენი, რომელიც სპორტში მოღვაწეობს.**

მთავარია ყველამ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ საქვეყნო საქმისათვის.

მიმართვის დასაწყისში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ,

**წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვუარყოფდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. და მეორე, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა „ვედომოსტში“ დაბეჭდილი ინტერვიუს გაგრძელება, სადაც მე ჩამოვაყალიბე ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებასთან, რომელშიც ჩემი მსოფლმხედველობა იყო ასახული, პოლიტიკაში მოსვლით კი, ამ მსოფლმხედველობას მთლიანად ვანგრევდი.**

მაგრამ დიდი სულიერი ჭიდილის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვცდებოდი, აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი იმის აღიარებამდე, რომ რასაც აქამდე ვაკეთებდი, ზოგი რამ შეცდომა იყო.

მე ვაპირებ გამოვასწორო ეს შეცდომა და სრულიად ახლებური მიდგომით და პერსპექტივაზე ორიენტირებული გათვლებით ცხოვრება გავუადვილო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?

როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.

შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა — ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე.

**ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“ — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო!**

# dRes saxelmwifo biujeti kriminaluri xelisuflebis `obSiakad~ iqca

***რა ხდება ჩვენს ციხეებში და რატომ არ ეშინია ხელისუფლებას პატიმართა რიცხვის პერმანენტულად ზრდის, როცა ქვეყანას დასავლელი ე.წ. პარტნიორები მუდმივად არადემოკრატიულობაზე უკიჟინებენ? ამ პრობლემების კვალდაკვალ „საერთო გაზეთის“ სტუმარია ადამიანის უფლებათა დამცველი გელა ნიკოლაიშვილი:***

— თეორიიდან არა, პრაქტიკიდან დავიწყებ. მყავს პატიმარი, რომელიც 13 წელი იჯდა აზერბაიჯანის, კერძოდ, ბაქოს ციხეებში, სხვადასხვა ციხეში. ახლა მისი ექსტრადირება მოხდა საქართველოში, ოთხი თვეა აქ არის. მკვლელობაში ბრალდების გამო უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული. მისგან ვიცი ბაქოს საპატიმროების მდგომარეობა.

ამ პატიმარს ყველაზე უკეთ მოეხსენება, ბაქოს ციხეებში არსებული ვითარება. ის ამბობს: დაახლოებით 90-იანი წლების ბოლოს რომ იყო აზერბაიჯანის ციხეებში, დღეს აქ,საქართველოში, გვაქვს ანალოგიური ვითარებაო. ხოლო, რაც შეეხება ევროსტანდარტებს, მართლაც ევროსტანდარტების შესაბამისი ციხეებია აზერბაიჯანში. თურმე თითოეულ პატიმარს საკუთრებაში აქვს ორი ოთახი, საკუთარი საშხაპე, სველი წერტილები და აგრეთვე საკუთარი ე.წ. სასეირნო ოთახი.



ჩვენი ციხეებიისგან განსხვავებით, სადაც როგორც უნდა, ისე იქცევა ე.წ. ადმინისტრაცია, ბაქოში პატიმრებს ძილსაც არ უფრთხობენ. დილით თუ გძინავს, არ გაღვიძებენ, არ გაწუხებენ და როცა მოგინდება, მაშინ გაგიყვანენ საკუთარ ე.წ. სასეირნო ოთახში. სასეირნო ოთახს ვამბობთ, თორემ იქ განსაკუთრებული პირობები ნამდვილად არ არის, ჩვეულებრივი ოთახია, რომელსაც არ აქვს ჭერი. იქ ჭერის ნაცვლად მოსჩანს ცა, ოღონდ, რა თქმა უნდა, მავთულებით გადახლართული, რომ პატიმარს ზევიდან გადაძრომის საშუალება არ ჰქონდეს.

**— რაც შეეხება, სიტუაციის კონტროლს, როგორც ხელისუფლება იკვეხნიდა ე.წ. ქურდული მენტალიტეტი ამოძირკვეს, თუმცა ციხეებში დღემდე რჩებიან ეს ე.წ. ავტორიტეტული პირები, „ობშიაკის“ სისტემაც ძველებურადაა. რა ხდება?**

— რაც შეეხება, ქურდული სამყაროს მიერ ციხეების მართვას, რეალურად, ეს მართლაც აღარ არსებობს. ვინაიდან კანონიერი ქურდები ან გაქცეულები არიან ქვეყნიდან, ან კიდევ, მე-7 საპყრობილეში მოათავსეს ერთად. იქ 40 ასეთ პატიმარს უკრეს თავი სრულ იზოლაციაში. ხოლო „ქურდები“, რომ განსაზღვრავდნენ ციხის პოლიტიკას, ელემენტალურად რაღაც კავშირები უნდა ჰქონდეთ, არადა, იზოლირებულები არიან. თუმცა ყველა ციხესა და ზონაში არიან ე.წ. მაყურებლები, რომლებსაც აკონტოლებს ადმინისტრაცია. რეალურად, ეს მაყურებლები აცხადებენ, რომ იმართებიან ქურდული სამყაროს მიერ. თუმცა, როგორც გითხარით, ქურდებს ფიზიკურად ვერ აქვთ მათთან კავშირურთიერთობა, კომუნიკაციები და სიტუაციას ველარ აკონტროლებენ. აი, ეს მაყურებლები ატყუებენ პატიმრებს, თითქოს, „ქურდების“ დავალებით მოქმედებენ. „მიჰყავთ პალაჟენია“, ხოლო, სინამდვილეში, ეს „მაყურებლები“ დანიშნულები არიან სწორედ ციხის ადმინისტრაციიდან. სწორედ მათი საშუალებით მართავს ადმინისტრაცია ამ სისტემას.

ქურდები ჩაანაცვლეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და საერთოდაც, „ობშიაკად“ აქციეს მთელი ბიუჯეტი, ვინაიდან რაც კი საპროცესო შეთანხმებებიდან ბიუჯეტში ფული შედის, იხარჯება ე.წ „ობშიაკის“ პრინციპით. ხელისუფლების „ობშიაკად“ იქცა ეს „ქურდული ობშიაკი“. დიახ, ხელისუფლება თავისი შეხედულებისამებრ, ანუ,სწორედ ისე, როგორც ქურდი განკარგავდა ამ თანხას-როგორც უნდოდა, სურვილისდა მიხედვით, ხელისუფლებაც ზუსტად ისევე მოიხმარს. ქვეყანა გაჭირვებული და ავადმყოფი ადამიანებით აივსო, მათთვის კაპიკებიც ენანებათ, უნდათ ვიღაცა ეგლესიასი და კიდევ სხვა ვიღაც-ვიღაცები ჩამოიყვანონ, აი, მათ უნდა გადაუხადონ მილიონები. აი, ეს არის, როდესაც თვითნებურად, საკუთარი შეხედულებისამებრ და არა კანონების და ელემენტალური ადამიანობის, მორალის მოთხოვნით,იხარჯება საზოგადოებისგან ამოღებული ფული. სხვათა შორის, ასევე იყვნენ ქურდები-მათი სიტყვა იყო კანონი, ვერავინ უკონტროლებდა, რატომ მოიქეცი ასეო. ამიტომ ვამბობ

**დღეს, სახელმწიფო ბიუჯეტი ქცეულია „ობშიაკად“, კრიმინალური ხელისუფლების „ობშიაკად“, რომლებიც ისე განკარგავენ ამ თანხას, როგორც მათ მიაჩნიათ მიზანშეწონილად.**

ხელისუფლება არ აცხადებს, მაგრამ ფაქტია, ქვეყანაში პატიმრების რაოდენობამ უკვე 30 ათასს გადააჭარბა და საერთოდ, საქართველო ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა 100 ათას მცხოვრებზე პატიმართა რაოდენობით.

**ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს პირობითი სასჯელები შეუფარდოს და იგივე საპროცესო შეთანხმებით, ფული ამოიღოს. ხოლო პირობითი მსჯავრდებულები, რომლებიც გარეთ არიან, მაგრამ პირობითი სასჯელი აქვთ შეფარდებული, გაცილებით მეტია, ვიდრე პატიმრები. 100 ათასობით არის პირობითი მსჯავრდებული, ხოლო 30 ათასზე მეტი რეალური პატიმარია.**



**— ნუთუ ეს მონაცემები არ გვიშლის ხელს საერთაშორისო ასპარეზე ადგილის დამკვიდრებაში?**

— რა თქმა უნდა, უცხოელები არ გვეტყვიან, რატომ გყავს ამდენი პატიმარი და რატომ არ არის ესა და ეს რაოდენობაო. უბრალოდ, ჩვენი ხელისუფალნი ეუბნებიან-კრიმინოგენური სიტუციაა მძიმე, ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ეს და აი, ამიტომ ყველა დამნაშავე მიდის ციხეშიო.

ევროპელებისა და ევრომონიტორებისთვის მთავარია, როგორ პირობებში არიან ციხეში პატიმრები და არა მათი რიცხვი, თორემ პატიმართა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მეტი პატიმარი 100 ათას მოსახლეზე ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს. იქ სასჯელაღსრულების პოლიტიკა ძალიან მკაცრია. აშშ-ს მოდევს რუსეთი და ჩინეთი. ანუ, წარმოიდგინეთ ასეთ მრავალრიცხოვან, ბუმბერაზ ქვეყნებს დაეწია საქართველო. ფაქტობრივად, 100 ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით, რუსეთსაც კი გაუსწრო.

**— საკმაოდ იმატა პატიმართა სიკვდილიანობამ, რა ასაკობრივი კატეგორიაა ძირითადად და მათ რიცხვში, თვითმკვლელობები ხომ არ ჭარბობს?**

— რახან პატიმართა უმრავლესობა ახალგაზრდა ასაკისაა, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, 25-დან 55 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში იმატა სიკვდილიანობამ. ციხეში მასიური გახდა ტუბერკულოზი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ცე ჰეპატიტი. არის ასევე თვითმკვლელობის შემთხვევებიც, როცა აქამდე მიჰყავთ ადამიანი, ანუ სასტიკად ეპყრობიან, აწამებენ და უკვე იმდენად, რომ ექიმიც ველარ შველის.



აქამდე არასოდეს ყოფილა, პატიმართა რაოდეობა საქართველოში სამნიშნა რიცხვით გამოსახული და აი, შარშან უკვე არა თუ სამნიშნა რიცხვს, არამედ ოფიციალური მონაცემებით, 142-ს მიაღწია.

**— და აქედან უმეტესი შემთხვევა თვითმკვლელობაა?**

— არა, თვითმკვლელობა არ არის. უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილიანობის მიზეზი დაავადებებია, რამდენიმე ათეული შემთხვევა შეიძლება იყოს თვითმკვლელობა.

თვითმკვლელობა ყოველთვის ძალიან საეჭვოა, რადგან ხშირად ხდება-ხოლმე, რომ მკვლელობას აქვს ადგილი-შემოაკვდება ადმინისტრაციას, მით უფრო, ცემა-ტყეპა და პატიმართა წამება, მათი მხრიდან, ჩვეულებად იქცა. შემოაკვდებათ და მერე ჩამოკიდებენ, თვითმკვლელობის იმიტაციისათვის.

ამასწინათ გეგუთში ერთ-ერთი პატიმრის მკვლელობის საქმე სტრასბურგის სასამართლომდე მივიდა, მოკლულის ოჯახს, რომელსაც თვითმკვლელობის იმიტაცია მოუწყვეს, გადაეცა ფულადი კომპენსაცია. დამტკიცდა, რომ ადმინისტრაციის მოკლული იყო. ისე, ხშირ შემთხვევაში ძნელია გამიჯნო მოკლულია პატიმარი, თუ მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ გარდაცვლილი პატიმრის ახლობლებსაც არ ატყობინებენ ისე, მაშინვე უკეთებენ ექსპერტიზას, მაშინვე კვეთენ და როცა უკვე ყველაფერი დამთავრებულია, როგორიც თვითონ უნდათ ისეთი „ექსპერტიზის“ დასკვნას დადებენ. მხოლოდ ამის შემდეგ ატყობინებენ პატიმრის ოჯახს, წაიყვანე შენი გარდაცვლილი პატიმარიო. იმას მერე უკვე აღარაფერი შეუძლია და ვერ დგინდება, მკვლელობის მსხვერპლი იყო პატიმარი, თუ თვითმკვლელი.

9 მაისს ჩამომხრჩვალი ნახეს ახალგაზრდა პატიმარი კახა თედრიაშვილი 25 წლის. ერთი თვით ადრე ამბობდა, სიკვდილი მელის, რადგან მაწამებენ, მემუქრებიან და იცოდეთ, მე, თავს არ მოვიკლავ, არ ვარ თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი. თუ გარდაცვლილი მნახეთ, ეს იქნება მკვლელობაო. ფაქტობრივად, ოჯახმა ვერაფერი გააწყო, ვერც ადვოკატმა დაამტკიცა რამე და არც სახალხო დამცველის დონეზე გამჟღავნდა სიმართლე.

**— ცალკე თემაა-პოლიტპატიმრები. ახლახან ნარკოტიკები ჩაუდეს და დააკავეს ორი პირი: ხუციშვილი და დარასელია, ბოლო დროს აპრობირებული მეთოდი გახდა ნარკოტიკების ჩადება, რაც შეეხება დაკავებულებს, რამდენად სარწმუნოა, რომ რეალურად, ნარკოტიკების გამო დაეჭირათ და რითი ხასიათდება მათი საქმე?**

— ბოლო დროს ძალიან ხშირი გახდა ნარკოტიკების, აკრძალული ნივთების ან იარაღის ჩადება, სასამართლოს აღარ სჭირდება ვინმე მოწმის, ან თუნდაც რეალურად, ობიექტური მოწმის მიყვანა, მთავარია, პოლიცელმა თქვას, კი, ნამდვილად ამოვუღე მას ნარკოტიკი, ან ესა თუ ის აკრძალული ე.წ. კანონსაწინააღმდეგო ნივთიო, იქ

**ათი მოწმეც, რომ იყოს და აცხადებდნენ, არა, ბატონო, ეს ნივთები მას არ ჰქონიაო, სასამართლო იზიარებს იმ ერთი პოლიციელის „ჩვენებას“.**

გამომდინარე იქედან, არც ხუციშვილი, არც დარასელია არ ყოფილან შემჩნეული ნარკოტიკების მოხმარებაში და არც ნასამართლევი, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათ ნარკოტიკი ჩაუდეს. მით უფრო, ეს პირები პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები არიან.

ნებისმიერი მოწმის რეალურ ჩვენებას გადაფარავს ერთი პოლიციელის ცრუ ჩვენება და ეს არის „კანონი“.

**— პოლიციელი, როგორ შეიძლება გამოდგეს მოწმედ, ამაზე პირადად თქვენ, როგორც უფლებადამცველი ზომებს არ იღებდით?**

— რა თქმა უნდა, ვაპროტესტებდით. ჰო, მაგრამ...კანონით დაშვებულია. მთავარია, კანონში რას ჩაწერენ, იქ ჩაიწერა პრიორიტეტულად პოლიციელის ჩვენება, იქვეა „მყარი“ არგუმენტი: და აბა, რატომ მოიტყუებდა? პირადი ინტერესი ხომ არ ჰქონდაო, და...

**— რისთვის სჭირდება ამდენი მძევალი-პატიმრების სახით მიხეილ სააკაშვილს?**

— ამდენი მძევალი სააკაშვილს სჭირდება იმისთვის, რომ დათესოს შიში საზოგადოებაში, რომ მაქსიმალურად მეტი შემოსავალი მიიღოს ბიუჯეტში, რადგან პატიმრების საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ამოღებული თანხა მილიონობით გროვდება, ათეულ მილიონობით და შეიძლება ასეულ მილიონობითაც და სჭირდება იმისთვისაც, რომ ხალხი დააჯეროს, თითქოსდა, ის არის მაგარი, ყოვლისშემძლე და უძლეველი, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლებს აზრი არ აქვს...

**ნათია ნოდია**

# biZina ivaniSvili _ saqarTvelos bolo imedi

მინდა 7 ოქტომბრის მოვლენებს ზოგადად შევეხო და კერძოდ – ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში; ღმერთმა იცის, ამ პიროვნებასთან არანაირი ურთიერთობა მაკავშირებს გარდა ეროვნულობისა და, ალბათ, ჩემი ვინაობაც არ არის მისთვის ცნობილი; მიუხედავად ამისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ კაცის გამოჩენა ქართულ სინამდვილეში და მისი განცხადება, თუ როგორ ესახება სამშობლოს გადარჩენის გზა და ამოცანები, ცისკრის გაელვებასავითაა ნაცმოძრაობის მიერ შებილწულ და დაბნელებულ ცის კაბადონზე და ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის გულში უკეთესი მომავლის იმედს აღვივებს: ეგებ, მცირედი დაზიანებებით მაინც დაენარცხოს უფსკრულში დაქანებული საქართველო და გადარჩეს!..

არის იმის შიშიც, რომ ის პატარკაციშვილის ტრაგიკულ ბედს გაიზიარებს და, ამ ხელისუფლებისგან რომ არაფერია გამორიცხული, ამის მტკიცებას აზრი არ აქვს. თუმცა აწ განსვენებული პატარკაციშვილისა და ივანიშვილის როგორც ფენომენები, ასევე დროში განსაზღვრული პოლიტიკური ვითარება, აბსოლუტურად განსხვავებულია და დღეს ერთ სიბრტყეში არ განიხილება; პატარკაციშვილის პატრიოტობაზე აუგი რომელ ჭეშმარიტ ქართველს დასცდება, მაგრამ, მან, ჩემი აზრით, თავის თავზე გადაჭარბებული პასუხისმგებლობა აიღო, ხალხთან შეუთანხმებლად ინდივიდუალური ნაბიჯები გადადგა და, აკი შეეწირა კიდეც საკუთარ თვითდაჯერებულობას!.. ვფიქრობ, ასეთ შეცდომას ივანიშვილი არ გაიმეორებს და მისი წინამორბედი ბიზნესმენის ტრაგიკულ ხვედრს გონიერებითა და ქართველი ხალხის მხარდაჭერით აიცილებს...

ნაცმოძრაობის რიგებში ქოთქოთი ატყდა, მონასტერი აირია და ბიძინა ივანიშვილის მოულოდნელმა გამოჩენამ შოკისებურად იმოქმედა მათი ვიწრო შესაძლებლობების გონებაზე და მათი დასახშობი პირიდან დრომოჭმული, გაცვეთილი ბრალდებები გაისმა ქვეყნის ბედით შეწუხებული ბიზნესმენის მისამართით: იგი რუსული ფულით კრემლის შეკვეთას ასრულებსო და, ერთი სიტყვით, ბიძინა ივანიშვილი უნდათ გამოიყვანონ რუსეთის კაცად და რუსული ორიენტაციის გამტარებლად საქართველოში. ასეთი ხერხი და მეთოდი არ ახალია – ძველია და, ასეც რომ არ იყოს, ნაცმოძრაობის პიარშჩიკებს ის ფაქტი ავიწყდებათ, რომ ბიძინა ივანიშვილმა რუსეთში ნაშოვნი ფულით, უპირველესად, საქართველოში აკეთა საქმე და, არც ეკლესია-ტაძრები აუგია რუსეთში და არც კულტურული ცენტრები აუღორძინებია... მის კეთილშობილურ საქმიანობაზე და ქველმოქმედებაზე ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ყველასთვის ცნობილია, რომ მისი ვაჟი განათლებასა და ერუდიციას ამერიკასა და ევროპულ ქვეყნებში იმაღლებს და, არა მგონია, „რუსოფილ" მამას ასეთი ცივილიზებული და დემოკრატიული სამყაროსთვის გაემეტებინა საყვარელი პირმშო. ცხადია, ამგვარი მშობლის მენტალიტეტი და გონებრივი მისწრაფებები ცივილიზებული ქვეყნებისკენაა მიმართული და ლაყე ბრალდებაა, რომ იგი საკუთარი ოჯახისა თუ სამშობლოს კეთილდღეობას რომელიმე ქვეყნის ვიწრო ინტერესებს ანაცვალებს.

ბიძინა ივანიშვილს უკვე გაუბრაზდა ზოგიერთი ჟურნალისტი, ტელეარხები: „კავკასია" და „მაესტრო"; მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ივანიშვილის შეხედულება ამ ორ ტელემაუწყებლობასთან დაკავშირებით შეუდავებელ სიმართლეს შეეფერება და, ვიდრე ამას ივანიშვილი საჯაროდ განაცხადებდა, ქართველი ერის საღად მოაზროვნე ნაწილში ამ მოსაზრებას საფუძველი კარგა ხანია ჰქონდა; მსმენია, რომ უშიშროების სამსახურს ერთგვარი უხილავი და შეუთანხმებელი მეთოდი აქვს, ისე შეუძლია მართოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ოპერატიული ინტერესების შესაბამისად, რომ მართვად სუბიექტს მის გარშემო მომხდარის შესახებ გააზრებული საერთოდ არ ჰქონდეს; ამას სახელმწიფო მანქანა ახერხებს სხვადასხვა მეთოდოლოგიური ზეწოლით, ზოგჯერ დაყვავებით, თანამშრომელთა ჩანერგვით, სოციალური თუ ავტორიტეტის შემლახავი მექანიზმებით; „მაესტროსა" და „კავკასიაზე" იბლოკება რეკლამები, რასაც ფინანსური სიდუხჭირე მოსდევს და ფერხდება მენეჯმენტი; ამ ტელევიზიებს შეზღუდული აქვთ დაფარვის სივრცე და მათი გასაქანი უდაოდ ხელისუფლების სასურველ ზონას მოიცავს, თანაც ხელისუფლებას ევროპული ქვეყნებისთვის სათქმელი და თავმოწონების საშუალება ძლევა; აი, ჩემს ქვეყანაში თავისუფალი ტელევიზიები არსებობს, რაც ჩემი მმართველობის დემოკრატიულობაზე მეტყველებსო; სააკაშვილის დიქტატორულ რეჟიმს რომ არ აწყობდეს, „მაესტროსა" და „კავკასიას" გააფაჩუნებდა?!. „იმედი" ჯიბეში ჩაიდო და ამათაც ზედ არ მიაყოლებდა?! კაცო, იმას კი არ ვამტკიცებ, ამ ტელევიზიებს სააკაშვილთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და მასთან აშკარად შეკრულია-თქო, არა, ბატონო, მე იმას ვამბობ, რომ ეს ტელევიზიები ხელისუფლებისგან შევიწროებულია, სულს ღაფავს და ნება-უნებლიეთ სწორედაც ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება; გავიხსენოთ, რა მოხდა „კავკასიის" ეთერში, როცა მართლმადიდებელთა კავშირის წევრები დააპატიმრეს და ხელისუფლებამ როგორ გამოიყენა ეს ტელევიზია: ერთი, რომ აღორძინების გზაზე შემდგარი მოძრაობა ფესვებშივე მოკვეთა და, მეორეც: ხალხისთვის „საყვარელი" ტელევიზიის ავტორიტეტს მორალური დარტყმა მიაყენა; ამას რომ თავი დავანებოთ, ეს ორი ტელევიზია პირადად ჩემნაირი რესპონდენტისა და უამრავი ქართველი მოქალაქისთვის ისევე მიუწვდომელია, როგორც რუსთავი-2-სა და იმედის ტელეეთერებია; აქაც და იქაც ტენდენციურობა, ერთი და იგივე რესპონდენტების მოწვევა და, მოკლედ, ყველამ ყველაფერი კარგად იცის და, ამ უმსგავსობაზე არ ღირს შეყოვნება; გასაკვირი მხოლოდ ისაა, „მაესტროსა" და „კავკასიის" მესვეურები თურმე განაწყენდნენ და თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, ჩვენ სააკაშვილის ინტერესების გამტარებლები არ ვართ და ივანიშვილმა ცილი დაგვწამაო; კი მაგრამ, თქვე მამაცხონებულებო, თქვენს ტელევიზიებს სამართლიან, მიუკერძოებელ მაუწყებლობად თვლით, ამავე დროს უფინანსობასა და ვიწრო მასშტაბურობაზე დღენიადაგ წუწუნებთ და, აგერ, გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი და შემოგთავაზათ, მოდით და ერთად ვებრძოლოთ უსამართლობას სააკაშვილის ჩათვლითო და თავი შეურაცხყოფილად იგრძენით?.. თუ სააკაშვილს გაეკეკლუცეთ, ჩვენ არავის მივესყიდებით და ჩვენი იმედი გქონდესო?.. ამ ორი ტელევიზიის კუდაბზიკობამ, ერთი უცნაური ყვავის ანეგდოტი მომაგონა: ფრინველი ნეხვში დგას და კუდს მაღლა იპრეხს, არიქა, არ დამესვაროსო!.. საქართველო ამ წამხდარი ხელისუფლების ძალისხმევით ნეხვში რომ არის ჩაფლული, თქვენ, „მაესრტროსა" და „კავკასიის" წარმომადგენლები, ამ სავალალო ფაქტს უარყოფთ?.. თქვენც რომ ნეხვში ზიხართ, ვერ გრძნობთ?.. ბიძინა ივანიშვილს თქვენი მოსჯიდობის მცდელობაში თუ ადანაშაულებთ, სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლასა და გალაშქრებაში მის მიმართ ეჭვს ხომ ვერ შეიტანთ და, თუ მართლა ნაცმოძრაობის ინტერესებს არ ემსახურებით, ამ კაცის გვერდით რატომ არ დგებით და თავგანწირულ ბრძოლაში არ ებმებით?.. თუ ყვავის საქციელი უფრო მოგწონთ: ნეხვში რომ ჩაფლულა და კუდს უფრთხილდება?..

ქვეყანასა და ხალხში საშინელი აპათია მკვიდრობს, კაცს რომ შეეკითხები, სააკაშვილის ხელისუფლება რატომ მოგწონსო, უიმედოდ შემოგხედავს და გეტყვის – კი, ბატონო, არ მომწონს, მაგრამ მისი შემცვლელი ვინ არის: ბურჯანაძეა, ალასანიაა, გრეჩიხაა თუ ნათელაშვილი-ო?.. ვერ ეკამათები, ოპოზიციამ თავის თავი დაასამარა და ხალხს მრავალგზის გაუცრუა იმედი; ახლა კი ქართულ სინამდვილეში შესაკამათებელი ალტერნატივა გაჩნდა: – ივანიშვილი, ბატონო, როგორ სააკაშვილზე ნაკლებად უყვარს სამშობლო თუ ნაკლები სიკეთე უთესია?.. ბოლოს და ბოლოს ივანეს შვილია და არა საკას!.. ადექი ახლა ქართველო და აირჩიე, ვინ უფრო გამოადგება შენს წახდენილ ქვეყანას: ივანეს შვილი თუ საკას შვილი?..

სააკაშვილმა ყველა ჯანსაღი თუ არაჯანსაღი ძალა, ვინც მის წინააღმდეგ გაილაშქრა, ზოგი გაანადგურა, ზოგი მოისყიდა, ზოგიც დააშინა და საზოგადოებაც დაჰყო და დაქსაქსა... ოპოზიციური ველი და სტრატეგიული ფლანგი უნებლიეთ მოსუფთავდა და საზოგადოება გაურკვეველ მოლოდინში დარჩა, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი და საპირწონე გახდა დიქტატორული ხელისუფლებისა; მას ერის ჭეშმარიტი ნაწილი ბოლომდე გაჰყვება, თუკი იგი არ შეეცდება გარდაცვლილი ოპოზიციის რეანიმაციას და ფულზე დახარბებულ მსტოვართა თუ გამომრჩენთა ფეხზე წამოყენებას... ეს, ჩემი აზრით, სავალალო შეცდომა იქნება და ქართული პოლიტიკა ისევ თავბრუდამხვევ წრეზე დატრიალდება, სააკაშვილის ინტრიგები კვლავ შედეგს გამოიღებს და სავარძელიც დიდი ხნით ნაცმოძრაობას დარჩება.

ბიძინა ივანიშვილი ბოლო იმედია!..

სადღაც ასეთი ჭორიც გავრცელდა: თითქოსდა მერაბიშვილს ჩვენი მეზობელი ძლიერი ქვეყნისგან მკაცრი დავალება მიეღოს – ბიძინა ივანიშვილს თავიდან თმის ღერი არ ჩამოუვარდეს, თორემ სასტიკად განანებთო; მე ნამდვილად არ ვიცი, მერაბიშვილს სხვა რომელი ქვეყნის ხელისუფლება წყალობს და ენდობა, გარდა სააკაშვილისა, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შემიძლია ხმამაღლა ვთქვა: ივანიშვილის მიმართ რაიმე ძალადობა რომ განხორციელდეს სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან, იგი ქართველი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება.

7 ოქტომბერს საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი გვესტუმრა და, რაც არ უნდა ინტერპრეტაცია გაუკეთონ მის გამოსვლას სახელისუფლებო არხებმა, მან სააკაშვილის რეჟიმს გარკვევით მიუთითა, რომ საფრანგეთი და რუსეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან და მთლიანი ევროპა რუსეთთან ერთად მსოფლიოს უსაფრთხოებაზე ზრუნავსო და, ურჩია, რუსეთთან საერთო ენა გამონახოს და საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტურიდან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე გადასვლის ახლო ისტორიული მაგალითი დაუსახელა... ძალიანაც ესმის სააკაშვილს და მის ხროვას ამ მოწოდებისა და საერთაშორისო პოლიტიკური შეკვეთის აუცილებლობის არსი, მაგრამ მის მოწადინებულ და ჩრდილოეთისკენ გაწვდილ ხელს რუსეთი უკანალს უჩვენებს... არადა სხვაგვარად ევროპას ჩიხში შევყავართ და რუსეთთან დიალოგის ფორმატს ჩაგვჩიჩინებს, სხვა შემთხვავაში ვერაფერს გიშველითო; სააკაშვილის ხელისუფლებას კი სავარძლის შენარჩუნების სანაცვლოდ ჩვენი ქვეყნის გამოუვალ ჩიხში დარჩენა ურჩევნია და ქართულ სახელმწიფოებრივ მომავალს საფრთხეს უქმნის; მას სხვა გზა არ დარჩენია, ლანძღოს რუსეთი და ნაცმოძრაობის ადგილობრივ ელექტორატში მებრძოლი პრეზიდენტის ავტორიტეტი შეინარჩუნოს; ამ დროს მისივე ლაქიების მეშვეობით, ინტერნეტსაიტებზე ივანიშვილისკენ მიმართული განმაქიქებელი ინფორმაცია ჩნდება: ბატონმა ბიძინამ რუსეთის მმართველსა და კგბ-ს გმირს ვლადიმერ პუტინს დაბადების დღეზე თავისი პოლიტიკური გამოსვლით მთელი საქართველო უფეშქაშაო; ლაპარაკია მისი განცხადებისა და პუტინის დაბადების დღის დამთხვევაზე; არადა, ნაცმოძრაობის დამქაშები იმ მნიშვნელოვან ფაქტს არ უკვირდებიან, რომ იმავე განცხადების ჟამსა და პუტინის დაბადების დღეს საქართველოში საფრანგეთის, მთლიანად ევროპის განმასახიერებელი ქვეყნის პრეზიდენტი ჩამობრძანდა... იქნებ, ჩემო ნაცმოელებო, ეს დამთხვევა იყო და არა შემთხვევა: ბიძინა ივანიშვილმა თავისი განცხადებით საქართველო ევროპას „აჩუქა" და არა რუსეთს?.. თანაც არ დაგავიწყდეთ, ბატონი ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეცაა და, ისიც გასათვალისწინებელია, ფრანგები უპრაგონოდ მოქალაქეობას რომ არ არიგებენ და ულირსს არ იკედლებენ!.. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შემთხვევით დედამიწაზე მართლაც არაფერი ხდება და ყველაფერი ღვთის ნების დამთხვევითობაა?.. რუსეთსაც და მთელ ევროპასაც სასურველი კანდიდატურა შერჩეული ჰყავს და ქართველი ერიც ასეთ მხსნელს ელოდებოდა?!.

ტელეკომპანია პირველი არხის ერთმა ურწმუნო და უგვანო წამყვანმა, ვიღაც თევზაძემ ასე თქვა: ივანიშვილი თითქოს ოლიმპოდან გველაპარაკება, მას ბევრი ფული აქვს, თავი უძლეველი ჰგონია და მწვერვალიდან გვმოძღვრავსო... დიახაც, საქართველო ღირსია მას ოლიმპოდან ელაპარაკებოდნენ და არა შავი ზღვის ფსკერიდან, სადაც ის ახლაც ჩაძირულია; ოლიმპოს რწმენა ანტიკურ ხანაში ღმერთებისადმი რწმენა იყო და ამ რწმენამ კაცობრიობას უზარმაზარი კულტურული საგანძური და გონი შემოუნახა, იგი სამოთხედ დარჩა კაცობრიობის სულიერებაში და თუ ვინმეს კიდეც ძალუძს ოლიმპოს სიმაღლიდან ელაპარაკოს თავის ერს, ეს გადარჩენასა და უკვდავებას ნიშნავს; ხოლო ვისაც ის ურჩევნია, ზღვის ფსკერიდან, ფეშენებლური აუზებიდან და ჰარამხანად ქცეული ფანჩატურებიდან დამოძღვროს ჭკუანაღრძობი და ზოგჯერაც შეცდენილი ადამიანები, იგი თავის ამალიანად ჯოჯოხეთში მიექანება და ქვეყნის ჩათრევასაც ლამობს.

და ბოლოს, არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი, მაგრამ მუდამ ვიდექი ჩემი ხალხის გვერდით და ყველა იმ ძალას ვეხმარებოდი, ვინც ამ ბოროტ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა; ბოლო დროს გულიც გამიტყდა და გასაცქეავად მეჭირა თვალი, ახლა კი იმედი გამიჩნდა და, თუკი, წარმატებული ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, საკუთარ საქმიანობას გარკვეული ხნით ეთხოვება და ქვეყნის გადასარჩენად თავის ბედს სასწორზე დებს, მე რატომ არ უნდა გადავდო დროებით კალამი და გვერდით არ დავუდგე მას რიგით ჯარისკაცად?!

ქართველებო, ქვეყანა შველას მოითხოვს, გადადეთ ყველა საქმე და დადექით ჯარისკაცებად!..

აირჩიეთ: ივანეს შვილი გინდათ თუ საკას შვილი!..

**მერაბ შათირიშვილი,**
მწერალი





# mewarmeebs sagadaxado inspeqtorebi ukve oficialurad miusies!

***ხელისუფლებამ ხალხის ძარცვის ახალი სქემა მოიგონა კერძო საგასახადო ინსპექტორის სახით. ამ სამსახურში შეყრილ გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანებს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭეს და მეწარმეებს შეუსიეს. ეს უხელფასო ე.წ. ინსპექტორები გასამრჯელოს მათ მიერ შედგენილი საჯარიმო ოქმების მიხედვით იღებენ, ამიტომ ყოველგვარ პროვოკაციაზე არიან წამსვლელი. ბოლო სადამსჯელო აქცია ქვემო ქართლში განხორციელდა, რომელსაც უამრავი წვრილი თუ საშუალო მეწარმე ემსხვერპლა.***

***„საერთო გაზეთს“ პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლალიძე დაუკავშირდა და ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა.***

**გიორგი ლალიძე:** „ეს სტრუქტურა შემოსავლების სამსახურს ექვემდებარება, რომლის უშუალო უფროსიცაა ფინანსთა სამინისტროს შტატიანი თანამშრომელი სოხაძე. ინსპექტორები კონკურსის წესით შერჩეული, ხელშეკრულებით აყვანილი ხალხია, რომლებიც გამომუშავებაზე არიან, ანუ რაც უფრო მეტ ოქმს შეადგენენ, მით მეტი ხელფასი დაერიცხებათ. მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეს „წარმატებით“ ართმევენ თავს. ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე ინსპექტორმა 2 თვის განმავლო-



ბაში იმდენი ფული იშოვა, რომ თბილისში ბინები იყიდეს. ეს ხალხი არაფერს ერიდება, მეწარმეებს პრაქტიკულად, ძარცვავენ. ხშირად ე.წ. დანაშაულის პროვოცირებასაც ეწევიან. მაღაზიებში ახლობლებთან ერთად დადიან, რომ მათ გამყიდველი საუბრით გაართონ, შეგნებულად უბიძგონ კანონის დარღვევისკენ და მერე ამით ხელი მოითბონ.

სახელმწიფოს უღირს ამ სამსახურის შექმნა, რადგან თვითონ ხელფასს არ უხდის, სამაგიეროდ, სოლიდურ შემოსავლებს ღებულობს მეწარმეების გაყვლეფის ხარჯზე. საინტერესო ფაქტს გეტყვით, ერთი კერძო საგადასახადო ინსპექტორი დაიჭირეს, რადგან მან მეწარმეს შესთავაზა, თუ არ გინდათ ოქმი შეგიდგინოთ, ჯარიმის თანხა 500 ლარი მე მომეცითო. არ ვიცი, ეს ვინ შეატყობინა სამართალდამცავებს, მაგრამ ფაქტია, ეს ადამიანი დაიჭირეს. ასე რომ, ეს ხალხი მექრთამეებიც არიან.

**- ინსპექტორის დაინტერესება გასაგებია, იგი კუთვნილი ამოღებული თანხის 20%-ის მაგიერ, გაცილებით მეტს აიღებდა, მაგრამ მეწარმე ვის გადაუხდის ამ ფულს, მისთვის რა მნიშვნელობა აქვს?**

- მეწარმეც მოგებული რჩება, რადგან ჯარიმა არ უფიქსირდება. მოგეხსენებათ, განმეორებითი დაჯარიმების შემთხვევაში, თანხა 1500 თუ 2000 ლარია. ეს კანონი ინსპექტორებს კორუფციულ გარიგებაში შესვლის სტიმულს აძლევს და ცხადია, გამოიყენებენ. ეს ერთი ფაქტი გახმაურდა, თორემ რა გარანტია გვაქვს, რომ სხვა დროს არ მომხდარა ასეთი გარიგება?

სხვა ფაქტსაც გეტყვით. გალაკტიონის ქუჩაზე ერთ-ერთ მეწარმესთან რამდენიმე კერძო ინსპექტორი მივიდა. იგი შეგნებულად დააბნიეს (რითაც თავად დაარღვიეს კანონი), შემდეგ კი ოქმი შეუდგინეს. ამ მეწარმეს, როგორც ჩანს, მაღალჩინოსანი ახლობელი ჰყავდა, იჩივლეს და მარტო ოქმი კი არ გააუქმეს, ამათგან ორი ინსპექტორი სამსახურიდან დაითხოვეს. ამ მეწარმეს „პატრონი“ რომ არ გამოსჩენოდა, მერწმუნეთ, რეაგირება საერთოდ არ მოხდებოდა, რადგან ძალზე ბევრი ადამიანი უჩივის ამ ინსპექტორებს, მაგრამ ჯარიმებს არ აუქმებენ.

**- ამ ინსპექტორებს ეკონომიკური განათლება აქვთ?**

- მე, პირადად, ვიცნობ რამდენიმე ასეთ ინსპექტორს და მათ არანაირი ეკონომიკური განათლება არ აქვთ, უფრო მეტიც, არც არის სავალდებულო, რომ მათ უმაღლესი განათლება ჰქონდეთ. მათ სახელდახელოდ ჩაუტარეს 10-დღიანი თუ ორკვირიანი ტრენინგი, ეს იყო და ეს. ამ კონტინგენტიდან ბევრს თვითონ ჰქონდა რაღაც სავაჭრო ჯიხური და უცებ კერძო საგადასახადო ინსპექტორებად მოგვევლინნენ, თანაც ტრაბახობენ ძალზე სარფიანი სამსახური ვიშოვეთო.

ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნოვაციით „გაგვახარა“. ერთი თვე იქნება, რაც შემოსავლების სამსახურში შეიქმნა უბნის საგადასახადო ინსპექტორის სამსახური. ერთი შეხედვით, ეს ძალზე უწყინარი და ჰუმანური თანამდებობაა, რადგან ამ ინსპექტორებს ევალებათ უბნებში იარონ, მეწარმეებს რჩევა-დარიგება მისცენ, დარღვევების შესახებ მიუთითონ. ისინი ოქმებს არ წერენ, მოკლედ, ეს არ არის სადამსჯელო ორგანო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ინსპექტორები რჩევა-დარიგების მიცემის პარალელურად ინფორმაციას აწვდიან მათ უწყებაში არსებულ სადამსჯელო სამსახურს, ამ კონკრეტულ მეწარმეს ვთქვათ სალარო-აპარატი არ აქვს, ან რაღაც სხვა კანონდარღვევით მუშაობსო. შემდეგ ამ სამსახურის წარმომადგენლები მოდიან და ისინი აჯარიმებენ. ასე რომ, უბნის საგადასახადო ინსპექტორს მასწავლებლის ფუნქციაზე მეტად ე.წ. ჩამშვების ფუნქცია აქვს.

კერძო საგადასახადო ინსპექტორის ინსტიტუტი შემოღება, რომ დადებით შედეგს ვერ მოიტანდა და მეწარმეებს მძიმე ტვირთად დააწვებოდა, ამის შესახებ ეკონომიკური ექსპერტები ამ ინსტიტუტის ამოქმედებამდე გაცილებით ადრე საუბრობდნენ. ისინი არ გამორიცხავდნენ, რომ უხელფასო ინსპექტორი პროვოკაციას არ მოერიდებოდა. მრავლად არის ფაქტები, როცა ეს ინსპექტორები გამყიდველს ხან ასანთს სთხოვენ სიგარეტზე მოსაკიდებლად, ხან საწერკალამს და შემდეგ 500-ლარიან ჯარიმას უწერენ, ჩეკი რატომ არ ამოარტყითო.

**გვესაუბრება ეკონომიკური საკითხების ექსპერტი, პროფესორი დავით ნარმანია:**

„ამ ინსტიტუტის მიმართ გაცილებით სხვა მოლოდინი იყო, ფინანსთა სამინისტრო ერთს ამბობდა, პრაქტიკაში კი სულ სხვა რამ მივიღეთ. სინამდვილეში უნდა მომხდარიყო გადასახადის გადამხდელის შემოწმება აუდიტის მიერ ცივილური ფორმით. ამ ინსპექტორებს სპეციალური განათლება უნდა ჰქონოდათ, ანდა აუდიტორები (ფინანსისტი, ბუღალტერი, ეკონომისტი) უნდა ყოფილიყვნენ. მე არ ვიცი, ამ ინსპექტორებს რა განათლება აქვთ. ეს სამსახური მათთვის შეიძლება ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მორალურ ზღვარს გადააბიჯონ შემოსავლის მოსაძიებლად. ამაში დამნაშავე მხოლოდ ეს ადამიანები არ არიან, დამნაშავე სახელმწიფოა, რომელმაც მათ საშუალება მისცა, რომ სხვისთვის ზიანის მიყენების ხარჯზე იშოვნონ სარჩო.

თუ მეწარმე რაღაცას არღვევს, ეს ადრე თუ გვიან გამოვლინდება და დაისჯება, მაგრამ სასჯელის დადება ყველა ნორმალურ ქვეყანაში ცივილური ფორმით ხდება, ხარვეზების ნორმალურად დადგენით, ადმინისტრაციული ოქმის გამოწერით. პროვოკაცია კი არ უნდა მოუწყონ იმ ადამიანს, ვინც ქუჩაში ან მაღაზიაში ყიდის რაღაცას. ამ ე.წ. ინსპექტორებს მინდა ვკითხო, მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს რომ მოუწყოს ვინმემ ასეთი პროვოკაცია, მათთვის მისაღები იქნება? თუ მისაღებია, ძალზე ცუდი კატეგორიის ადამიანების სიმრავლესთან გვქონია საქმე, რომლებიც ფიქრობენ, რომ ასეთი გზით უნდა მოწესრიგდეს საგადასახადო სისტემა. ამ მიდგომით ნამდვილად, ვერ მოწესრიგდება, სამაგიეროდ ადამიანებს შორის უნდობლობა და კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდება. დარღვევები ყოველთვის იყო და იქნება, მათ შორის ძალზე განვითარებულ ქვეყნებშიც, მაგრამ საგადასახადო შემოწმების ფორმა გამოჭერაზე ორიენტირებული კი არა ურთიერთპატივისცემაზე და მოწესრიგებულ პროცედურებზე უნდა იყოს დამყარებული. კერძო საგადასახადო ინსპექტორების მხრიდან ბინძური პროვოკაციის მრავალი ფაქტის შესახებ მეც მსმენია და არა მგონია, ამას ვინმე ტყუილად იგონებდეს.

**- ეს ინსპექტორები თურმე გარიგებასაც სთავაზობენ მეწარმეებს ჯარიმის თანხა ჩვენ მოგვეცით და ოქმს არ დაგიწერთო...**

- თუ დამჯარიმებელი პირი ოქმის შედგენის ნაცვლად ხელზე იღებს იმ თანხას, რაც ჯარიმაში უნდა გადახდილიყო, ეს არის კრიმინალი, ანუ ქრთამის მიცემა და ამ შემთხვევაში ორივე მხარე, როგორც ქრთამის ამღები, ისე მიმცემი უნდა დაისაჯოს. ამგვარი შემთხვევები თუ მართლაც ხდება, ე.ი. ამ რეფორმამ არ გაამართლა და პრობლემებია იმ ადამიანებში ვინც ამგვარ საგადასახადო შემოწმებაზე გაუშვეს. ფინანსთა სამინისტროს უნდა ვკითხოთ რატომ იყო დარწ-



მუნებული, რომ ეს ხალხი ამას არ გააკეთებდა, ან რითი სჯობიან ისინი იმ საგადასახადო ინსპექტორებს, რომლებიც 7-8 წლის წინ საგადასახადო შემოწმებისას ანალოგიურ გარიგებაში შედიოდნენ მეწარმესთან, რის გამოც ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავდა.

ასე რომ, ალბათ, სჯობდა ჩვეულებრივი მოქალაქის მაგივრად, ინსპექტორები ისევ საჯარო მოხელეები ყოფილიყვნენ, რადგან ჯერ ერთი მათ სხვა ვალდებულება და პასუხისმგებლობა აქვთ, მეორეც, ხელფასს იღებენ და არ არიან იმაზე დამოკიდებული სად ვის გამოიჭერენ. თანაც მათ უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, უმაღლეს განათლებას და გამოცდილებას ვგულისხმობ. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო საკუთარ თანამშრომელს უფრო მეტად მოსთხოვდა პასუხს დარღვევებზე, ვიდრე სხვა ადამიანს.

**- როგორც გვითხრეს, კერძო საგადასახადო ინსპექტორები დისტრიბუციის ავტომანქანებსაც აჩერებენ, ტვირთი უნდა დაგითვალოთო. მათ ამის უფლებაც აქვთ?**

- ამდაგვარი უფლება თავის დროზე საგანგებო ლეგიონს, შემდგომ კი ფინანსთა სამინისტროს ოპერატიულ დეპარტამენტს ჰქონდა, რომლის მთავარი ფუნქციაც აღურიცხავი საქონლის გამოვლენა იყო. აუცილებელია, ლეგალური საქონლის ტრანსპორტირება ხდებოდეს, ანუ ტვირთს უნდა ახლდეს გადაზიდვის დოკუმენტი, რომელში დაფიქსირებული რაოდენობაც ავტომანქანაში არსებული ტვირთის რაოდენობას უნდა დაემთხვეს. თუ ეს ინსპექტორები გაჩერებულ ავტომანქანაში საქონლის დათვლას ითხოვენ, ეს დათვალიერება არ არის. საქონლის დათვალიერება მხოლოდ ვიზუალურ დათვალიერებას ნიშნავს. მაგალითად, თუ დოკუმენტში სიგარეტია მითითებული, მართლაც თუ დევს სიგარეტი. ამ სიგარეტის დათვლის ფუნქცია კი არ შეიძლება იმ ადამიანს ჰქონდეს, ვინც ადმინისტრაციული ფუნქციით არ არის აღჭურვილი, მითუმეტეს, რომ ეს გარკვეულ შემთხვევაში ჩხრეკაც გამოდის. კერძო საგადასახადო ინსპექტორს კი ადმინისტრაციული უფლება მინიჭებული არ აქვს. გარდა ამისა, თუ ავტომანქანას აჩერებს, ე.ი. მოცდენასაც აქვს ადგილი.

სხვათა შორის, საგადასახადო ორგანოებს სულ არ სჭირდებათ ავტომანქანის გაჩერება, სხვა საშუალებებითაც შეუძლიათ დააკვირდნენ, ეს ავტომანქანა ეწევა თუ არა აღურიცხავი ტვირთის ტრანსპორტირებას. დისტრიბუტორი რამდენ ფიზიკურ პირსაც მოუნდება თუ ასე აჩერა, შეიძლება ის დღეში რამდენჯერმე გააჩერონ და მოაცდინონ მის ძირითად საქმიანობას. თუ რაოდენობრივად ყველაფერი სწორად აღმოჩნდა, მოცდენაზე აგებს ის პირი პასუხს, ვინც გააჩერა? რა თქმა უნდა, არ აგებს, ანუ ამით ისევ მეწარმე ზარალდება.

**- უბნის საგადასახადო ინსპექტორზეც მინდა გკითხოთ, რომელსაც მეწარმეებმა უკვე დაარქვეს „ჩამშვებების“ ინსტიტუტი. როგორც გვითხრეს, ერთ ასეთ ინსპექტორს მარკეტში და მეპატრონისთვის დახმარება შეუთავაზებია და საკონტაქტო ტელეფონიც დაუტოვებია. ამ მეწარმეს როცა დაჭირდა, რაღაცის გარკვევა და დაურეკა უბნის საგადასახადო ინსპექტორს, ასეთი პასუხი მიიღო, აბა, მე რა ვიცი, ბუღალტერი აიყვანეთ და იმას ჰკითხეთო.**

- ვნახოთ, პრაქტიკა გვიჩვენებს რამდენად თანამშრომლობით რეჟიმში იქნება ეს ინსპექტორი მეწარმესთან. საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილების პირობებში მეწარმეებს, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეებს უჭირთ ადაპტაცია, ბევრი კითხვა უჩნდებათ ესა თუ ის ოპერაცია ბუღალტრულად როგორ გაატარონ, რა გააკეთონ და ა.შ. ამიტომ თუ იქნება კეთილშობილური ფუნქციებით აღჭურვილი სამსახური, რომელსაც თავისი უბანი ექნება და მეწარმეს ეცოდინება, რომ კითხავს ამ ინსპექტორს და მიიღებს მისგან კეთილშობილურ რჩევას და ამას არ მოყვება რაღაც სადამსჯელო ღონისძიება, გაცილებით უფრო მეტად გაიზრდება ადმინისტრირება. სხვა შემთხვევაში ძალზე მალე ჩამოვარდება უნდობლობა. ერთი მეწარმე მეორეს ეტყვის, რომ არ ენდოს ამ ინსპექტორს, რადგან მან „ჩაუშვა“ და ძალზე მალე ჩავარდება ეს პროექტი. თვითონ საგადასახადო ადმინისტრაცია უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ყველაფერი ცივილური ფორმით გააკეთოს. ვნახოთ, თუ მომრავლდა „ჩაშვების“ ფაქტები, ე.ი. სპეციალურად ამისთვის შეუქმნიათ ეს სამსახური.

**მანანა სუხიშვილი**

## გია ხუხაშვილი: ბიძინა ივანიშვილი კარგი ორატორია და პოლიტიკური ლიდერისთვის საჭირო ქარიზმაც აქვს



“ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი თბილისში თავის რეზიდენციაში იმყოფება და საზოგადოებასთან ტელევიზიის მეშვეობით შესახვედრად ემზადება”, - ეს განცხადება ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ტელეკომპანია “მაესტროს” ეთერში, გადაცემა “სუბიექტურ აზრში” გააკეთა.

ხუხაშვილის თქმით, ცოტა ხნის წინ ივანიშვილს შეხვდა და მის პოლიტიკურ გეგმებზე ესაუბრა, თუმცა იგი ივანიშვილის პოლიტიკურ სტრატეგიაზე საჯაროდ ლაპარაკს არ აპირებს, რადგან ამის შესახებ თავად ბიზნესმენმა უნდა ისაუბროს.

ხუხაშვილის განცხადებით, ქართულ საზოგადოებას მცირე სიურპრიზი ელის, რადგან “შეუმჩნეველი მილიარდერის” რეპუტაციით ცნობილი ბიზნესმენი საკმაოდ კარგი ორატორია და მას პოლიტიკური ლიდერისთვის საჭირო ქარიზმაც აქვს.

ხუხაშვილის განცხადებით, მას მოეჩვენა, რომ ივანიშვილს შორს მიმავალი გეგმები აქვს.

ხუხაშვილისა და ივანიშვილის შეხვედრა ამ უკანასკნელის ინიციატივით გაიმართა. ექსპერტის მტკიცებით, იგი ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდში გაწევრიანებას არ აპირებს, თუმცა სამომავლოდ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას გეგმავს.

„მედიანიუსი“




**გიორგი ჟოლსკი:** ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტკურ ასპარეზზე უფრო მნიშვნელოვანი თემაა, ვიდრე ექვსიანის დაშლა. მას გაცილებით სერიოზული გაგრძელებები და შედეგები ექნება. ივანიშვილს რომ პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია ჰქონდეს, ამის განმაპირობებელი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. გამორიცხული არ არის, მას სურვილი ჰქონდეს, ჰყავდეს თავისი ლობი პოლიტიკურ სპექტრში, საქართველოს სინამდვილეში და გაატაროს ინტერესები, რომელიც, მისი აზრით, საქართველოს ინტერესებს ემსახურება.

ივანიშვილს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს ქართულ საზოგადოებაში და ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული სავალალო მდგომარეობის შემყურეს, გამორიცხული არ არის გაუჩნდეს ამბიცია, რომ მას უკეთესად შეუძლია ბევრი საკითხის გადაწყვეტა. არც ისაა გამორიცხული, რომ მის გადაწყვეტილებას ყურადღება მიაქციოს მსოფლიო გეოპოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფმა ქვეყნებმა, როგორიცაა რუსეთი, აშშ და თუნდაც ევროკავშირი. იმაზე საუბარი სახელისუფლებო მხრიდან, რომ ეს არის რუსეთის კაცი და რუსული პროექტი, ვფიქრობ წამგებიანია, უბრალოდ აქცენტი უნდა გაკეთდეს რამდენად სწორია მისი პროგრამა და რა უნდა საბოლოო ჯამში, იმიტომ რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობას რუსული საფრთხე აშინებს, მაგრამ ეს საფრთხე უფერულდება იმ იმედით, რომ შეიძლება ბიძინა ივანიშვილის მსგავსი პიროვნება მოვიდეს და ეს საფრთხე ააცილოს.

რაც შეეხება ოპოზიციის რიგი წარმომადგენლების განცხადებას, თითქოსდა ივანიშვილი და სააკაშვილი პუტინ-მედვედევის სურათს გაიმეორებენ, რა თქმა უნდა უამრავი ეჭვი არ4სებობს. ვთქვათ და, ეს არის სახელისუფლებო პროექტი, ივანიშვილი გია ჭანტურიას მსგავსად აიყოლიებს ხალხს, გარკვეული ხმების რაოდენობას წაართმევს რეალურ ოპოზიციას, როგორც თავის თავს უწოდებენ და პარლამენტში უმრავლესობა იქნება მი-



სი ხალხი , რომელიც ისევე დაუკრავენ ტაშს, როგორც დემოკრატიული პარტია გიორგი თორთლაძის მეთაურობით. ეს ნაკლებად შესაძლებელია, რადგან ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდება ესეთი ურთიერთობების დამყარება, ეს მისთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, როგორც პიროვნებისათვის, რომელსაც ავტორიტეტი გააჩნია, წა,გებიანია.

მე ყურადღებას გავამახვილებდი დასავლეთის შესაძლო დაინტერესებაზე. ბოლო დროს საკმაო კრიტიკა გაისმა დასავლეთის მხრიდან საქართველოში არსებულ სიატუაციასთან დაკავშირებით. 26 მაისის მოვლების შემდეგ წარმოიქმნა ოპოზიციის დისკრედიტაციის და ხალხში ნიჰილიზმის გაჩენის წინაპირობა. რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, დასავლეთი პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე მუშაობს იმასთან, ვისაც ხალხი უჭერს მხარს. ბიძინა ივანიშვილის დონის ხალხი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით და კონკრეტული ფიქრებით, არ მიდის ასეთ ნაბიჯებამდე. ამიტომ სავარაუდოა, რომ მას სერიოზულ წრეებში ჰქონდა კონსულტაციები ამ ნაბიჯის გადადგმის წინ. თუ ეს კონსულტაციები ჩატარდა რუსეთთან, ამომრჩევლის დიდ ნაწილს გაუჩნდება განცდა, რომ ეს სწორედ ის კაცია, რომელსაც შეუძლია რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება. თუ ესეთი განცდა გაჩნდა ხალხის დიდ ოდენობაში, დასავლეთი დაფიქრდება, ხომ არ მიიღოს მონაწილეობა და აიყვანოს კონტროლის ქვეშ ივანიშვილი. მე რომ არაქართველი ვიყო და შორიდან ვუყურებდე ჩემს ქვეყანას, ვურჩევდი ქართულ საზოგადოებას, რომ ხელისუფლებასთან ერთდ ყოველთვის აირჩიოს ისეთი ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც ანგარიშს გაუწევს ხელისუფლება და არ მიიღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ საკუთარ ნებაზე. ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია მოახდინოს ეს ბალანსი, რომელზეც მოგვიწოდებდა აშშ-ს ვიცეპრეზიდენტი.

ივანაშვილისათვის მისი დაფარული იმიჯი აუცილებლად კოზირია, თუმცა ჯერ არ ვიცით რა მოჰყვება მის გამოჩენას, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს რა სუსტი პოლიტიკოსი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ბიზნესმენია. მისი კოზირი არის დიდი ფული, რომელსაც ის ამ დრომდე სწორად და ხშირად საქართველოს სასიკეთოდ იყენებს. როგორც ჩანს, ის თავმდაბალია და არ აქვს ამბიციები, იყოს მუდამ მიკროფონთან. მას აქვს იმიჯი, რომ ის არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს რუსეთთან, რომელიც დღემდე საქართველოსთვის სერიოზული საფრთხეა. ასევე კოზირია, დასავლეთთან მისი შესაძლო ურთიერთობების ხედვა, რომ ეს არის კაცი, რომელსაც შეუძლია მიიზიდოს და სწორად წარმართოდს ურთიერთობა დასავლურ პოლიტიკურ ძალებთან. ასე რომ საკმაოდ კარგი კოზირები გააჩნია, მთავარია სახელოში არ ჰქონდეს დამალული.

საკმაოდ სერიოზული ფაქტორია ივანიშვილის ვაჟის, ბერას პოპულარობა ახალგაზრდებში.

ასევე სერიოზული კოზირია ის ფაქტი, რომ ივანაშვილს თავისი რესურსებით შეუძლია ძალიან მოკლე ხანში ჩაატაროს ბლიც წინასაარჩევნო კამპანია და საკმაოდ ეფექტურადაც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება მოახერხებს ვადამდელი არჩევნების დანიშვნას.

რაც შეეხება მის სისუსტეებს, სისუსტის თუ სიძლიერის ნიშნები გამოჩნდება მაშინ, როცა დაიწყებს გუნდის შეკრებას და განცხადებების გაკეთებას, როგორც ეს პოლიტიკოსს ახასიათებს.

როგორც კი პოლიტიკაში მოდიან, თავიანთ დადებით თვისებებს კარგავენ. ამიტომ არა მგონია, ივანიშვილმა ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომელიც მას ხელს შეუშლის ან მისი პოლიტიკური პარტიის იმიჯს დააზიანებს.

**ირაკლი ალასანია:** ივანიშვილს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი მისი საქმეები. ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ადამიანს, ქველმოქმედებს და ეს რა თქმა უნდა ჩემშიც და საზოგადოე-



ბის დიდ ნაწილშიც იწვევ სიმპათიას. მაგრამ პოლიტიკაში რას აპირებს,. მას ჯერ არ უთქვია. ამიტომ წინასწარ მის პოლიტიკურ მოღვაწეობას ვერანაირ შეფასაებას ვერ მივცემ. ჯერ თქვას რა უნდა, როგორ წარმოუდგენია პოლიტიკა, საქართველოს მომავალი. ამის სემდეგ დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას. მაგრამ აშკარაა, რომ ადამიანი, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, ხალხში სიმპათიით სარგებლობს. თუმცა მე არ ვიცი, რა პოლიტიკის წარმოებას აპირებს იგი.

**ზურაბ აბაშიძე:** მოსკოვში ვხვდებოდი ხოლმე ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ის ძალიან საინტერესო ადამიანია. მას შეუძლია საათობით ილაპარაკოს ფსიქოლოგიაზე, რაც მიუთითებს, რომ ის არ არის მხოლოდ ბიზნესზე ორიენტირებული ადამიანი. არანაირი პრობლემა არა აქვს კომუნიკაციის თვალსაზრისით, მშვენიერი მოსაუბრეა, გააჩნია საკმაო თვითირონია, არის აბსოლუტურად თანამედროვე და ღრმა მცოდნე ძალიან ბევრი თემისა, აქვს უამრავი ინფორმაცია, ხვდება უმარავ ადამიანს. მის საქმიანობას თუ შევაფასებთ, მან გრანდიოზული პროექტები განახორციელა. ცნობილია მისი ქველმოქმედება. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. ვფიქრობ, რომ ივანიშვილი განვლილი ცხოვრებით, უდიდესი საქმეებით, უპრეცედენტო ქველმოქმედებით, ასეთ უფლებას აშკარად იმსახურებს. და მას ამის დიდი რესურსი აქვს. ის მართლაც გაამდიდრებს ქართულ პოლიტიკას, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით და უფრო დინამიკურს გახდის. ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში უმნიშვნელოვანესია, რომ ის საუბრობს პოლიტიკურ პროცესში ჩართვაზე და არა "შემოვლითი გზებით" ხელი-



სუფლებაში მოსვლაზე. ალბათ უახლოეს დღეებში გამოჩნდება, თუ როგორია მისი პრაქტიკული გეგმები, პროგრამა და ის ფიგურები, რომლებთან ერთადაც ის აპირებს პოლიტიკური გეგმების განხორციელებას. განცხადებაში საქართველოს საგარეო აქცენტები სწორად არის განსაზღვრული. ფაქტია, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს და ევროკავშირთან და აშშ-სთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს და ქმედითი სახე მიიღოს.

ვიდრე ის ქველმოქმედი და მეცენატი იყო, მისი მისამართით კრიტიკული სიტყვა არ წამომცდებოდა და არც დღეს წამომცდება, მაგრამ რადგან ჩაერთო პოლიტიკაში, აწი მას უფრო ხშირად გააკრიტიკებენ, ვიდრე შეაქებენ. განცხადებაში ტელევიზიებთან გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას კარგად ესმის პოლიტიკასა და არჩევნებში მედიის როლი და როგორც ჩანს, ივანიშვილი ამ თვალსაზრისითაც შეეცდება ვითარების შეცვლას. სჯობდა, რა თქმა უნდა ფორმულირება სხვაგვარი ყოფილიყო. მაგრამ შესანიშნავი საბაბია იმისა, რომ ჟურნალისტებმა დაიწყონ ახალი პოლიტიკური ფიგურის კრიტიკა.

აქამდე მას ჰქონდა ქველმოქმედის იმიჯი და ახლა ის შედის სულ სხვა მდინარეში. და თუ მანამდე არ ხმაურდებოდა მისი სახელი, ახლა პოლიტიკაში სულ სხვა ეთიკა და თმაშის წესებია და ვილაცის მეშვეობით ურთიერთობა ხალხთან, არ გამოვა. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ვინ გამოჩნდება მის ირგვლივ და არა მისი პირველი განცხადება.

**მამუკა არეშიძე:** ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო გარკვეული პიარ-სვლა. მან საქართველოში არსებული პიკური მომენტი, სარკოზის ჩამოსვლა, შეავსო ამ განცხადებით. რაც შეეხება რომელი ფაქტი უფრო დიდ გავლენას მოახდენს ქართულ სინამდვილეზე, რომ არა სარკოზის ერთი ფრაზა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების შესაახებ, ეს იქნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ მაღალი რანგის სტუმრის ვიზიტი, რომლის შესახებაც დიდი ხანია ვიცოდით და დაახლოებით ვხვდებოდით, რაზე იქნებოდა საუბარი. ივანიშვილის განცხადება კი ძალიან მოულოდნელი და არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო. რადგან, ივანიშვილი გარდა ფინანსური რესურსისა, არის სხვა უზარმაზარი რესურსის მქონე ადამიანი, რომელიც ამ რესურსის სრულად გამოყენებას აპირებს თავისი მიზნის მისაღწევად. ანუ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩნდება ახალია ტალღა, რომელმაც შეიძლება ძალიან ბევრი ვინმე წალეკოს. თუ სწორი პოლიტიკური გათვლები გაკეთდა ტალღის წარმომშობის მხრიდან.

განცხადების პათოსი არის ძალიან ღონიერი. იგრძნობა რომ მის უკან დიდი რესურსი დგას და არა მარტო ფინანსური. განცხადების ძირითადი გზავნილი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის ინიციატივის ხელში აღების სურვილი - მე მოვდივარ და მოვდივარ საკმაოდ ენერგიულად. ანუ მოდის იმისთვის რომ წარმატებას მიაღწიოს და



უკან დამხევი არ არის. საზოგადოების გადამწყვეტი უმრავლესობა იმედით არის განწყობილი; თვლიან რომ პოლიტიკური ცხოვრება გაცოცხლედება. იმედი გაჩნდა, რომ ხელისუფლება იძულებული იქნება თავისი მოქმედების წესი შეცვალოს, თუმცა ჩვენი ხელისუფლება არ არის ჩვეული ორი ნაბიჯით უკან დახევას.

რაც შეეხება თუ რატომ მოინდომა მან პოლიტიკაშიო პირადად ჩართვა, ადამიანები, რომელთაც აქვთ უზარმაზარი ფინანსური რესურსი, თვლიან, რომ დიდი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი სვლების გაკეთებაა საჭირო. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც პროვინციულ პოლიტიკაში არიან ჩართულები, საქართველოში კი სამწუხაროდ პროვინციული პოლიტიკაა, არ არიან იმ რანგისანი, რომ ამ მიზნის მისაღწევი სერიოზული ნაბიჯები გადადგან. ალბათ ამიტომ გადაწყვიტა თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილმა და ახლა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა. ივანიშვილის ყაიდის ადამიანები, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ დარჩებიან კულუარებში და მეორეც, თუ პროცესში ჩაებმებიან, აუცილებლად უნდა იყვნენ ვაცის მდგომარეობაში, ფარის წინ.

## რუსთაველის თეატრში ნუგზარ წიკლაურის მმართველად შესაძლო დანიშვნას უარყოფენ

**რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელ „ფაცებოოკ" საკუთარ გვერდზე წერს, რომ რუსთაველის თეატრის მმართველად საქართველოს პარლამენტის წევრს ნიშნავენ.**

**„რუსთაველის თეატრის მმართველად საქართველოს პარლამენტის წევრს ვინმე წიკლაურს ნიშნავენო"- წერს სტურუა საკუთარ გვერდზე.**

**როგორც „მედიანიუსს" შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის დრამატული თეატრის მპრესსამსახურში განუცხადეს, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელად ნუგზარ წიკლაური არ ინიშნება.**

**ამჟამად რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავაა.**

**შეგახსენებთ, რომ რეჟისორი რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან აგვისტოს თვეში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს.**

**ოფიციალური ვერსიით, მისი გათავისუფლების მიზეზი ქსენოფობიური განცხადებები გახდა.**

**„მედიანიუსი"**

# snobi qarTuli sazogadoeba `nacionaltyaosanis~ molodinSi



ბატონო ნოდარ, როგორც იმ სნობი საზოგადოების ნაწილი, რომელზეც წერდით, თავს უფლებას მივცემ პასუხიც მე გაგცეთ. რამდენადაც მეც იმ სნობი საზოგადოების წევრი გახლავართ და ამით ძლიერ ვამაყობ კიდეც, "რომელიც მკერდში მჯიღის ცემით გაიძახის – რობიკო სტურუა დიდი რეჟისორია, რითაც დიდი ქართველი არისო". რობერტ სტურუა და თქვენ, ბატონო ნოდარ, "სხვადასხვა წონით კატეგორიებში" გამოდიხართ. "კობერიძეებისთვის" პასუხის გასაცემად მას არ სცალია და მისგან პასუხიც არაღირსეული იქნებოდა. დაკვეთილი სტატიების წერის პრაქტიკაც, ქართულ ჟურნალისტიკაში, სამწუხაროდ, ახალს არ წარმოადგენს. მით უფრო, "თქვენი რანგის" მწერალ-ჟურნალისტებისგან. თუ თქვენი ინტელექტისთვის სტურუას სპექტაკლის გაგება რთულია, ეს თქვენი და არა სტურუას პრობლემაა. რობიკო სტურუას განქიქებასთან ერთად მთელი ქართველი მეფე- დედოფლების არაქართველებად გამოყვანა, ამით კი „ნაციონალტყაოსნების" მანტიის მოსხმაც რომ გსურდათ, ესეც ჩანს. თუ თქვენი "ჟურნალისტურმწერლური ერუდიცია" ამდენს ვერ წვდება,

**მინდა შეგახსენოთ, რომ რობერტ სტურუა, რუსეთის თეატრის გარდა დიდი ბრიტანეთის თეატრმაც სამუშაოდ, (ალბათ, სწორედ "რუსეთუმეების" გამო?!) მიიწვია. თქვენ სტურუას "ბრიტანელთუმედ" მოხსენიება გამოგრჩათ. თუმცა თქვენთვის, როგორც "ნაციონალტყაოსანისთვის", მთავარი სტურუას "რუსეთუმეობის" ხაზგასმა და ამით, "კობერიძეანთ გვარის სასახელო უახლეს მატიანეში" კიდევ ერთი ფურცლის გადაშლაა მთავარი. ეს შეძელით! ნათელია, რომ თქვენ, შეგნებულად, არა მარტო რობერტ სტურუასთვის, არამედ, მისი დასის, უნიჭიერესი მსახიობებისა და ქართველი მაყურებლისთვის შეურაცხყოფის მიყენებაც სცადეთ. ეს კი არ გამოგივიდათ!**

იმიტომ, რომ ქართველ მაყურებელს, თქვენგან და „ბაში-აჩუკისგან" განსხვავებით, "ქეთო და კოტეს მაყურებელზე" ცოტა მეტი გემოვნება და სამშობლოს სიყვარულიც შერჩა. ვიდრე თქვენ- „მწერალ" კობერიძეს. „მაიკლ საакოვს" საზოგადოების „ჩარეცხვა" არჩევნების წინ არ აწყობს. ამიტომ „მისი რუპორის" ფუნქციაც თქვენ შეითავსეთ?

სტატიაში ნახმარი ხან "შენობითი", ხანაც "თქვენობითი" ფორმა მწერლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე უდავოდ მეტყველებს. თუმცა თვენი მხრიდან მოვლენების არასწრი აღქმის უნარიც გამოამჟღავნეთ. რამდენადაც ნოდარ კობერიძე "სტურუას დადგმულ სპექტაკლში ლამის მთელი ქვეყნის შეუცნობლად ჩართვას "– კარგად ხედავთ. მართლა ბრავო რობიკოს, რომელიც "მთელს ქვეყანას მისგან შეუცნობლად თავის სპექტაკლში რთავს". (ამაზე სააკოვი შეიძლება გაგიწყრეთ). ამასთან, "მწერალი" კობერიძე "ვერ შეიცნობთ" სააკოვის მიერ, "დაზომბირებული საზოგადოების" ბაკხანალიაში ჩართვას? ამ ბაკხანალიის შედეგები ქართველმა ხალხმა "თავის ტყავსა და კუჭზე" შეიგრძნო. თქვენ ამას ვერ ხედავთ? თუ ამის დანახვა მხოლოდ "რუსეთუმეებს" შესწევთ. ისევ როგორც, არარუსეთუმე სააკოვისგან" მთელი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემის უკან – "ნაციონალების არარუსეთუმე პოლიტიკის" დანახვა. ნოდარ ბატონო, "სნობმა საზოგადოებამ" არც "მწერალი კობერიძის" ნაწამოებების შესახებ ვიცით რამე. ალბათ,

**სტურუაზე ასეთი სტატიის შემდეგ, "კაკალაშვილის პოეზიის" მსგავსად, წიგნის მაღაზიებში და საქართველოს უცხოეთის საელჩოებში თქვენი "შედევრიც" — "ნაციონალტყაოსანიც" გამოჩნდება.**

ჩვენც მერე გავეცნობით თქვენს შემოქმედებას. ჩვენი ჯიბეებიდან მოპარული ფულებით თქვენი წიგნის დაფინანსებაზე ხელისუფლება აუცილებლად იზრუნებს.

**რაც შეეხება შოთას "ვეფხისტყაოსანს", ჟურნალისტისგან არასწორად ინტერპრეტირებული სტურუასეული ინტერვიუ კარგად წაიკითხეთ. სკოლებში განათლების სისტემის მიერ იავარქმნილი „ვეფხისტყაოსანიც" ნახეთ და თუ ამის შემდეგაც გეყოფათ იმდენი ვაჟკაცობა და სტატიას ამაზეც დაწერთ, სნობი საზოგადოება „თქვენს პატრიოტულ გულისტკივილსაც" დაგიჯერებთ.**

მაგრამ ვეჭვობ, რომ ამას ვერ შეძლებთ. ან იქნებ „ვეფხისტყაოსნით" ზრდის და ემაყება" სააკოვის ხელისუფლებას, როცა ქართველ ახალგაზრდობაში ჩაშვებას, დასმენასა და უფროსის უპატივცემულობას ნერგავს? იქნებ მაშინაც აგიტოკდათ „ქართული ფაქტურა", როდესაც 2003 წლის შემდეგ "გამოჩნდა კაცი, რომელმაც შეგვიგინა და შეგვიფურთხა „ვეფხისტყაოსანი" და "ქართლის დედა" (ლომაიასა და ჯგერენაიაზე მოგახსენებთ.) ხომ არ აჯობებდა, ბატონი ნოდარ კობერიძე მაშინ გამოფხიზლებულიყო და "ხელში აეღო ფარ-ხმალი"? ან იქნებ "ქეთო და კოტეს" დიდი რეჟისორი, "მაიკლ სააკოვია" ცნობიერებით ქართველი, ბატონო ნოდარ? თუ ორჯონიკიძე თათრის მოედანზე საზღვრის გავლებას გვექადნებოდა, სააკოვმა ქეთევან წამებულის მოედანზე "არემნული საზღვარი" რით არ გაგვივლო? რობერტ სტურუამ, თქვენგან განსხვავებით, გაბედა. დიახ, გაბედა და ამ ანტიქართველი, ანტიმართლმადიდებელი ხელისუფლების სახე "ნადირობის სეზონით ამხილა". ამან გააღიზიანა ხელისუფლებაცა და თქვენც. ხელისუფლებაც, თქვენს მსგავსად, ყველაფერ სამართლიანსა და ზნეობრივში "რუსეთუმეობასა" და "პრორუსულობას" ხედავს. ამ გაგებით, ქართული საზოგადოების მთელი თუ არა, ნახევაზე მეტი, პრორუსული გამოდის. მთელს თუ არა ნახევარს არ მოწონს ნაციონალების გარყვნილებისა და ანტიქართულ-ანტიმართლმადიდბლური "სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის" პროპაგანდა. "ლესბო და გეი თავისუფლება", თქვენ, ბატონო ნოდარ, ეტყობა, მოგწონთ, რადგან სტურუას "რუსეთუმეობის" მეტს, სხვა პრობლემას ვერ ხედავთ. არც სნობ საზოგადებას გვსმენია თქვენგან რაიმე ამის თაობაზე?! იქნებ გვითხრათ, თქვენი" პიროვნული ფაქტურა" რა არის, ბატონო ნოდარ? "ნაციონალების ფაქტურა", თუ ნაციონალების ანგარიშფაქტურით" მიღებული დივიდენდები? ან სტურუას "რუსეთუმეობაზე" ასე ატოკებული თქვენი გულიცა და "ქართული ფაქტურაც", მაშინ რატომ არ "ტოკავდა" ასე, ქართულ მიწა-წყალს უცხო ტომელებზე ნაგლეჯ-ნაგლეჯ რომ გვისხვისებდნენ? საქართველოში ქართველზე დაჩაგრულად თავს რომ არავინ გრძნობს? "ამერიკათუმეობით" ქართული ენის დამცრობა რომ ხდება, არც ეს გსმენიათ?

**არც ჩვენ გვსმენია, იმის შესახებ, მწერლობის რა ჟანრში მუშაობთ, ბატონო ნოდარ და არც ის, რა ნათესაურ კავშირში ბრძანდებით „ბაში-აჩუკთან"? მხოლოდ ის ვიცით, რომ ადრე სპორტულ სტატიებზე მუშაობდით. საიდან და როდის გაგიჩნდათ თეატრალური ხელოვნებისადმი ასეთი ინტერესი და ასეთი „ეროვნული ხედვა"? მას შემდეგ ხომ არა, რაც რობერტ სტურუა და მისი შემოქმედება ხელისუფლებისთვის მიუღებელი, მისი მართალი პოზიციის გამო გახდა. თქვენ კი, როგორც „ნაციონალტყაოსანმა" თავი ვალდებულად ჩათვალეთ, რეაგირება მოგეხდინათ ამაზე?**

კულტურის სამინისტროში არსებული „სარეაგირებო ბრიგადის" შემადგენლობა ამისთვის აღარ ვარგა. თქვენი მოგვარისა და სახელგანთქმული „ბაში-აჩუკის აღსარებებსაც", ყურს აღარვინ უგდებს. ამიტომ ახლა თქვენ გამოხვედით ასპარეზზე. შთამომავლობისთვის კობერიძეებიდან, ობიექტური სიმართლის მთქმელი ვინმე დაგეტოვებინათ. ყველა კობერიძემ რა დააშავა?

**ბატონო ნოდარ, როგორც მწერალს ქართული ანდაზაც გაგონილი გექნებათ: „მინდოდა ჩემთვისო, გამომივიდა თქვენთვისო". თქვენც ზუსტად ასე დაგემართად. „ნაციონალტყაოსანმა", ქართულ საზოგადოებას თქვენი სახით, სააკოვის კიდევ ერთი მეხოტბე წარმოუჩინეთ.**

დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან: ნუ დაიზარებთ. იქნებ გაზეთის შემდეგ ნომერში, „ქართული სისხლის გრამობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით", „ქეთო და კოტეს" თქვენეული შეფასებაც მოესმინა „სნობ ქართველ მაყურებელს". ურიგო არ იქნება, სპექტაკლში გამოყენებული, „ანტენებიანი ეროვნული კოსტიუმების" შესახებაც თუ გვეტყოდით რამეს. ჩვენთვის, სნობი ქართული საზოგადოებისთვის ეს მეტად საინტერესო იქნება?! იმის დიდი იმედიცა მაქვს, 7 ოქტომბერს, "სარკო-სარკოს" დასახვედრად წამოჭიმულ ქართველი ხალხის სარკო-მას-სააკოვსა და ავტობუსებით წასხმულ "არასნობ ქართულ საზოგადოებაში" თქვენც გიხილოთ ტელეეკრანიდან. რა იცით, ვინძლო, "სააკოვის ბრწყინვალების" ორდენსაც გამოჰკრათ "ოქროს კალმის პატრონი ხელი".

**პატივისცემით, სნობი ქართული საზოგადოების წარმომაგენელი**
**ბაია ამაშუკელი.**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## იულია ტიმოშენკოს საქმეზე სასამართლო განაჩენს გამოაცხადებს



კიევში პეჩორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე როდიონ კირეევმა სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელზეც უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს განაჩენი გამოცხადდება.

სასამართლოს შენობასთან, სადაც ტომოშენკო მიიყვანეს, სამართალდამცავებმა ყოფილი პრემიერის რამდენიმე ასეული მხარდამჭერი არ მიუშვეს.

„ამ განაჩენს მოსამართლე კირეევის ნაცვლად პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი მიიღებს. ეს განაჩენი არაფერს შეცვლის, არც ჩემს ბედში და არც ჩემ ბრძოლაში"- განაცხადა ტიმოშენკომ სასამართლო დარბაზში შესვლამდე.

უკრაინის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო 5 აგვისტოს დააპატიმრეს. უკრაინის გენერალური პროკურატურის განცხადებით, მან 2009 წელს გაზის კონტრაქტის ხელმოწერისას, სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა, რათა საკუთარი იმიჯი 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის გაეუმჯობესებინა. სახელმწიფო ბრალდება ტიმოშენკოსათვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს.

**„მედიანიუსი"**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# oligarqis gamowveva

## qarTvelma biznesmenma biZina ivaniSvilma qveynis prezidents nikoloz sarkozis stumroba gaufermkrTala

***ქართველი ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის განზრახვამ, დაკავდეს პოლიტიკით და ხელისუფლებაში მოვიდეს, მიხეილ სააკაშვილს სერიოზულად აურია გეგმები. 2008 წელს ოპოზიციონერი ოლიგარქის ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ პირველად, ქართულ პოლიტიკაში ჩნდება ოპოზიციონერი, რომლის კაპიტალი საქართველოს ბიუჯეტის ტოლია, ხოლო იმიჯი — შეულახავი.***

2000-ათასიანი წლების დასაწყისში, რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ბიძინა ივანიშვილი დღემდე უფრო მითიური პიროვნება გახლდათ, რომელიც თითქმის არ ჩნდებოდა საზოგადოებაში.

მიუხედავად ამისა, ქვეყანა მას იცნობდა როგორც სერიოზულ მეცენატს, რომელიც აშენებდა საავადმყოფოებსა და ეკლესიებს, ეხმარებოდა თეატრის თანამშრომლებს, პედაგოგებს...

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბიზნესმენი საქართველოში, საჩხერის რაიონში საკმაოდ ასკეტურად ცხოვრობდა. არადა, მას განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნია — Forbes-ის შეფასებით, მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. იმავე Forbes-ის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილმა თავისი იმპერიის მშენებლობა 1990 წელს რუსეთში დაიწყო. თავის პარტნიორ ვიტალი მალკინთან ერთად დააარსა ბანკი „Ðîññèéñêèé êðåäèò“. ამჟამად მისი აქტივების მესამედი კვლავ რუსეთშია, ორი მესამედი კი — ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საქართველოში იგი მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

შესაძლოა, 26 მაისს ხელისუფლების მიერ თბილისში ოპოზიციური მიტინგის სასტიკი დარბევა გახდა ის ათვლის წერტილი, რომლის შემდეგაც ბიზნესმენმა პოლიტიკური მოღვაწეობა გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, 7 ოქტომბერს გამოქვეყნებულ მის ვრცელ განცხადებაში არაერთხელ არის ნახსენები ეს თარიღი.

საქართველოს პოლიტიკაში მონაწილეობის სანაცვლოდ, ბიძინა ივანიშვილი მზად არის, უარი თქვას რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობაზე; აგრეთვე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გაყიდოს რუსეთში არსებული ბიზნესი. ოლიგარქი ამას განსაკუთრებით აღნიშნავს. ივანიშვილის პოლიტიკური დებიუტის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენელთააპირველ შეფასებებში ხომ „რუსული კვალია აღმოჩენილი“. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ ნუგზარ წიკლაურს აინტერესებს, ხომ არ დახარჯავს ბიზნესმენი რუსეთში ნაშოვნ ფულს საკუთარი სამშობლოს ინტერესების საზიანოდ. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კომენტარებს თავს არიდებენ, ვინც რამე თქვა, ქილიკითა და ირონიით.



თვითონ ივანიშვილი თავის გადაწყვეტილებას, შექმნას პარტია, მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში და დაიკავოს პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა, შემდეგი არგუმენტითა და აუცილებლობით ხსნის: მისი სურვილია, რომ მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო უფლებამოსილებების ამოწურვის შემდეგ ვერ შეძლოს დარჩენა ხელისუფლებაში, რომელიც „ტოტალურად მონოპოლიზებულია“. „სააკაშვილის მმართველობის დროს დაშვებული იყო (და დღემდე გრძელდება) ისეთი უამრავი პატარა, დიდი და მიუტევებელი შეცდომა, რომ მის ადგილზე ნებისმიერი საღად მოაზროვნე და გონიერი პოლიტიკოსი ვადაზე ადრე წავიდოდა პოლიტიკიდან და პატიებას სთხოვდა თავის ხალხს“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

ძალაუფლების შესანარჩუნებლად, სააკაშვილმა შექმნა „სიცრუის მანქანა“ — ბიზნესმენი ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელეკომპანიებს გულისხმობს.

რამდენიმე წლის წინ ივანიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა „მე-9 არხი“, რომელიც ობიექტურობით გამოირჩეოდა, მაგრამ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ ერთიმეორის მიყოლებით დაისაკუთრა მასმედიის საშუალებები, ივანიშვილმა, ხელისუფლებასთან კონფრონტაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ეს პროექტი დახურა.

ახლა კი იგი მზად არის, საქართველოში მაუწყებელი ისეთი ტელეკომპანია იყიდოს, რომელსაც საინფორმაციო გამოშვებების ლიცენზია გააჩნია. მისი განცხადებით, იგი ტელეკომპანიის საბაზრო ღირებულებაზე სამჯერ მეტ თანხას გადაიხდის. ღირებულება უნდა შეაფასოს მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ხუთი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთმა. ამასთან, ორი წლის შემდეგ, ბიზნესმენი მის ახლანდელ მფლობელს სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად (60 ცენტად) დაუბრუნებს ტელეკომპანიას.

ამ წინადადებას გამოეხმაურა ტელეკომპანია „მაესტრო“, რომლის პოზიცია ასეთია — ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, საკონტროლო პაკეტს არავის მიჰყიდიან.

ბიძინა ივანიშვილი თავის განცხადებაში ასევე ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა და ახორციელებს „არნახულ ძალადობას“ ბიზნესზე: „პრაქტიკულად არ არსებობს თავისუფალი ბიზნესი. მას სააკაშვილის ჯგუფი აკონტროლებს“.

ბიძინა ივანიშვილს 2012 წლის არჩევნებში გამარჯვება სურს იმისთვის, რომ:

ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული;

შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიდეს;

პერსპექტიული გახდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა.

დასაწყებია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება...

ცნობილი ქართველი ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გაზეთ ÂÇÃËßÄ-თან საუბრისას აცხადებს, რომ „ივანიშვილმა თავისი განცხადებით პასუხი გასცა მნიშვნელოვან საკითხს თავისი პოლიტიკური მომავლისა და მისწრაფებების შესახებ, „მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი უკიდურესად რადიკალური განწყობილებების პოლიტიკური ფიგურაა და კრიტიკულია სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ...“

გიორგი ვოლსკი ვარაუდობს, რომ „ივანიშვილს შეეძლება, ქართული პოლიტიკური გარემო სერიოზულად შეარყიოს. მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მილიარდერი პოლიტიკაში პატარა თამაშს არ ითამაშებს... დამოკიდებულს გახდის ხელისუფლებას, რათა მას და მის პოლიტიკურ გუნდს ანგარიში გაუწიოს. თუმცა, თუ მას ქვეყნის პირველკაცობაზე აქვს პრეტენზია, მუშაობა დასჭირდება. მომზადების გარეშე ივანიშვილს ხელისუფლების ხელში აღება გაუჭირდება“.

ახლა თბილისი იმის მოლოდინშია, როდის იქნება პარტიის, მისი პროგრამისა და ხელმძღვანელი ბირთვის პრეზენტაცია. მკითხაობენ, ვინ შეიძლება გაერთიანდეს ახალ მოძრაობაში. აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილი მოძებნის „სახელგაუტეხლებს“. ბოლო ხანს ბევრმა ოპოზიციონერმა საზოგადოებაში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა დაპირებების შეუსრულებლობით, აგეთვე ხელისუფლებასთან კავშირითა და საიდუმლო მოლაპარაკებებით.

ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ახალი პარტიის პრესმდივანი „მე-9 არხის“ ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ტრიპოლსკი იქნება.

**vz.ru**

# miliarderi ivaniSvili saakaSvilis mowinaaRmdegeebSi Caewera

**ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური მოღვაწეობის გადაწყვეტილება მიიღო და აპირებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოაშოროს. ბიზნესმენი ბრალდებებს უყენებს საქართველოს პრეზიდენტს, რომ იგი ცდილობს „კანონიერების ჩანაცვლებას: პირველი — ძალადობით და მეორე — სიცრუით“.**

მილიარდერი პარტიას ქმნის, აპირებს, მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში და იმედოვნებს იმასაც, რომ ამ არჩევნებში ხმების უმრავლესობას მოიპოვებს. ბიზნესმენის განცხადებით, მას პრემიერმინისტრობა ან პარლამენტის სპიკერობა სურს.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 2013 წელს უნდა გაიმართოს. სააკაშვილს, კონსტიტუციის თანახმად, აღარ აქვს უფლება, კვლავ იყაროს კენჭი ამ თანამდებობაზე. ქართული ოპოზიცია ვარაუდობს, რომ მას შეუძლია კვლავ დარჩეს ხელისუფლების სათავეში პრემიერ-მინისტრის რანგში. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ არც ისე დიდი ხნის წინ, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებები გაფართოვდა და ეს ყველაფერი სააკაშვილმა საკუთარ თავს მოარგო.

ივანიშვილის განცხადებით, მისი პოლიტიკური მოღვაწეობისას „ზედმეტი კითხვების თავიდან ასაცილებლად“, იგი აპირებს გაყიდოს რუსეთში არსებული აქტივები და უარი თქვას ამ ქვეყნის მოქალაქეობაზეც.

ქართველი ბიზნესმენი გამოთქვამს აგრეთვე სურვილს, შეიძინოს ტელეკომპანია საინფორმაციო გადაცემების ლიცენზიით და მზად არის, ამ მედიარესურსში მის რეალურ ღირებულებაზე სამჯერ მეტი გადაიხადოს.

ბიძინა ივანიშვილმა სამეწარმეო საქმიანობა დაიწყო რუსეთში 1990-იან წლებში. მოგვიანებით, საქართველოში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა რუსეთში ბიზნესის გარკვეული ნაწილი მაინც შეინარჩუნა. დღემდე ივანიშვილი პოლიტიკას არ ეკარებოდა და საერთოდ საზოგადოებაში თითქმის არ ჩნდებოდა.

**lenta.ru**



***ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედებით გამორჩეულმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური პარტიის შექმნისა და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და ეს ვრცელი განცხადების გამოქვეყნებით დაადასტურა. მასში არის განმარტებები, თუ რატომ უარყო ცხოვრების ჩვეული წესი და პოლიტიკოსობა მოინდომა, არის ზოგადი კონტურები იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს გადარჩენა...***

ბიძინა ივანიშვილმა უკვე მოასწრო და გააკრიტიკა ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. გამწვავებული შიდადაპირისპირების დროს ოპოზიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ივანიშვილს ახლანდელი ხელისუფლების

# politikur arenaze biZina ivaniSvilis gamoCenam xelisuflebac da opoziciac SeaSfoTa

მხარდაჭერაში დასდო ბრალი, რამაც მას პროტესტის გრძნობა გაუჩინა. მეტიც, მან განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს იმ პარტიასა და იმ პოლიტიკას, რომელსაც ხელისუფლება ატარებს.

ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის მოსახლეობაში უპირობო პოზიტიური იმიჯით სარგებლობს. ბოლო ათწლეულში მილიარდერი მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედებით იყო დაკავებული. ადგილობრივი ოლიგარქებისგან განსხვავებით, მას ქონება საქართველოში და საქართველოს ხარჯზე არ დაუგროვებია.

ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა სამების ტაძარი თბილისში შეკეთდა და აშენდა მრავალი საზოგადოებრივი ნაგებობა (სკოლები, საავადმყოფოები... ჩამონათვალი გრძელზე გრძელია), აფინანსებდა თეატრებისა და კულტურის სხვა ობიექტების საქმიანობასა და მათი შენობების რეკონსტრუქციას. გარდა ამისა, მან პრაქტიკულად იტვირთა მშობლიური საჩხერის რაიონის სრული მოვლა-პატრონობა, აქტიურად ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას.

აქამდე ივანიშვილი უკიდურესად არასაჯარო პიროვნება იყო, რაც არანაირად არ შეესაბამება პოლიტიკოსის საჯარო იმიჯს. საქართველოში მას „ჭორვილელი განდეგილიც“ კი შეარქვეს (შეგახსენებთ,

# ოპოზიცია პრესის მიხედვით




რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში მილიარდერის ერთ-ერთი მთავარი რეზიდენციაა). მასმედიის საშუალებებთან ურთიერთობა, ელიტურ შეხვედრებზე დასწრება რუსეთში აქტიური საქმიანობის დროსაც არ უყვარდა. 1990-2000 წლებში სწორედ რუსეთში დააგროვა მრავალმილიარდიანი ქონება.

ქართულ პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა ივანიშვილს ადრეც ჰქონია. ეს „ვარდების რევოლუციამდე“ კარგა ხნის წინ, ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას იყო. შორეულ 90-იან წლებში, ახლანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ აქტიურად მხარს უჭერდა შევარდნაძესაც და „საქართველოს მოქალაქეთაკავშირის“ პოლიტიკასაც. ამას ვერ ვიტყვით ბიძინა ივანიშვილზე. მან პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა სცადა ახალი პოლიტიკური პარტიით, რომელსაც მასმედიისა და ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის მხარდაჭერა ექნებოდა. მაშინდელი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ოლიგარქის გეგმებზე ნერვული რეაქცია ჰქონდა შევარდნაძის გარემოცვას. საბოლოოდ, ივანიშვილმა არჩია, არ გარეულიყო პოლიტიკაში.

მრავალი წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი მაინც ჩნდება ქართულ პოლიტიკურ არენაზე და ამის შესახებ საჯაროდ აცხადებს. ახლა ბევრად უფრო რთული პოლიტიკური გარემოა, ვიდრე 90-იან წლებში იყო. თანაც, პოლიტიკური ბომონდის მადა ისეთი გაძლიერებულია, როგორც არასდროს და მმართველი გუნდიც მზად არის, ძალაუფლებას ბოლომდე ჩაებღაუჭოს.

მზად არის კი ბიძინა ივანიშვილი ასეთი ბრძოლისთვის და იმისთვის, რომ არ გაიზიაროს მისი წინამორბედის, ამბოხებული ოლიგარქის — ბადრი პატარკაციშვილის ბედი? შესაძლოა, ივანიშვილს ეიმედება არსებული პოლიტიკური სიტუაციის სავალალო მდგომარეობა, რომელსაც გეოპოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს.

ასეთ დროს მოქმედი პოლიტიკური მოთამაშეების უმრავლესობა უბრალოდ იძულებულია, გავიდეს თამაშიდან, შესაძლოა, საერთოდაც წავიდნენ საქართველოდან. ამით პოლიტიკური მოედანი გათავისუფლდება და ახალ პოლიტიკურ პარტიას — ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილს, საშუალება მიეცემა, დაიკავოს გამოთავისუფლებული ნიშა.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ამბიციებს არაერთგვაროვნად აფასებენ ქართული პოლიტიკური ბომონდის წარმომადგენლები. ამასთან, ნერვიულობენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. არაერთი მრავალსერიანი პოლიტიკური შოუს შემდეგ ოპოზიციურმა ძალებმა პრაქტიკულად დაკარგეს თავიანთი თანამზრახველი ელექტორატი.

სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ხალხის ოდენობა, რომელთა აზრითაც ცალკეული ოპოზიციონერები ფაქტობრივად ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებენ, კლოუნადას მართავენ და თავიანთი არსებობითაც კი პოლიტიკური ბრძოლის ოპოზიციური სეგმენტის დისკრედიტაციას ეწევიან. ვინც ხელისუფლებასთან არ არის „შეკრული“, მათ არ გააჩნიათ გამოცდილება, პოლიტიკური ნება და რესურსი, რაც ხელისუფლებაში მოსასვლელად არის აუცილებელი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ისინი სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა „სასარგებლო იდიოტთა“ ნაკრებს.

გასაკვირი არ არის, რომ არსებული პოლიტიკური ბომონდიდან ამის გაცნობიერება არავის სურს, საკუთარ თავსაც კი არ უმხელენ. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ სხვასთან შედარებით უკეთ შეუძლია ოპოზიციის ლიდერობა. თითოეულს ჰგონია, რომ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებულია. პოლიტიკურ მინდორზე ახალი, კონკურენტი ძალის გამოჩენა მათთვის ცუდი ამბავია. რასაკვირველია, მათ ერჩივნათ, მორიგი ოლიგარქი ნდობით მოჰკიდებოდა მათ გამოცდილებას, გამოეყენებინა მათი ავტორიტეტი და გულუხვად დაეფინანსებინა ახალი პოლიტიკური შოუ. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მომავალი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად არის დაინტერესებული ოლიგარქი შოუბიზნესის დაფინანსებითა და პოლიტიკური ბალასტის კოლექციონერობით.

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას — ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით მათ ელდა ეცათ. ზოგიერთმა მათგანმა ვერ მოითმინა და ბიძინა ივანიშვილს ურჩია, უხეშად რომ ვთქვათ, ცხვირი არ ჩაყოს მისთვის უცხო საქმიანობაში და კვლავ გააგრძელოს საქველმოქმედო მოღვაწეობა და ბიზნესიც.

სავარაუდოა, რომ პოლიტიკურად გააქტიურებულ ოლიგარქს უკვე გაცვეთილ ათასნაირ იარლიყს მიაკერებენ — შესაძლოა, ეს იყოს კრემლის აგენტი, დემოკრატიის ვერაგი მოწინააღმდეგე, დასავლური ფასეულობების მტერი, სამშობლოსა და საკუთარი ხალხის მოღალატე. ივანიშვილს გაახსენებენ ურთიერთობას რუსეთის პოლიტიკურ და ბიზნესელიტასთან. ივანიშვილმა თავისი ქონება ხომ რუსეთში დააგროვა.

ნუ აღელდებით, „გამარჯვებული დემოკრატიის ქვეყანაში“ აგიტაციისა და პროპაგანდის ორგანოები რამეს მოიფიქრებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური აქტიურობის გამო გამოწვეული კინკლაობა საოცარ შოუს გვპირდება.

**nregion**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გიორგი ჭავჭავაძემ.**

# a l o, taqsi!

***მარი დორეული* ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი გმირია. ეს ახალგაზრდა და სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი, ნებისმიერ დროს შეიძლება შეგხვდეთ ქალაქში, საკუთარი მანქანით და ტაქსის ტრაფარეტით. რამ მიიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე, ამის შესახებ თავად მას ვესაუბრე.**

—მეუღლეს დაშორებული ვარ და 11 წლის ბიჭი მყავს, რომელსაც მარტო ვზრდი. თავიდან სხვაგან ვმუშაობდი, მაგრამ ბავშვი, სკოლაში რომ მივიდა უკვე დრო მჭირდებოდა მის სკოლაში მისაყვანად და წამოსაყვანად. მანქანის ტარება ბავშვობიდან ვიცოდი, თან ჩემი მეგობრის ძმა მუშაობდა ამ საქმეზე და ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ვცდი და მეც ვიტაქსავებ მეთქი. მივედი ფირმაში და გამოვიყვანე მანქანა. თუმცა თავიდან ჩემმა უფროსმა მთელი ერთი კვირა მატარა აქეთ-იქით, სანამ არ დარწმუნდა, რომ მართლა შემეძლო მანქანის მართვა. წარმოიდგინეთ პატარა გოგო მივედი და მოვითხოვე მანქანა მომაქირავეთ მეთქი, თან ჩვენი, ქართველი კაცების შეხედულება ხომ იცით. ბოლო-ბოლო მომცა მანქანა უფროსმა. წამოვიყვანე და წელიწადნახევარი ვიმუშავე მაგ ფირმაში. მერე უკვე კრედიტი გამოვიტანე ბანკიდან და საკუთარი მანქანა შევისყიდე. შემდეგ მეორე კრედიტი გამოვიტანე და სახლი ვიყიდე. ხუთი წელი ხდება უკვე თებერვალში, რაც ასე ვმუშაობ.

**—რთული არ არის ტაქსისტობა ქალისთვის?**

—კატასტროფულად არა, მაგრამ ლი, მე კიდევ ფული მჭირდებოდა და ჩუმად წამოვიყვანე მანქანა მეთქი. იმაზე მეტი ფული მომცა ვიდრე მეკუთვნოდა და ხურდასაც აღარ მართმევდა, შენ ოღონდ სახლში წადი, რამე არ დაგემართოსო. ვიფიცე, გაგეხუმრე ჩემია მანქანა მეთქი, მაგრამ აღარ დამიჯერა (იცინის) ზოგჯერ მართლაც უცნაურ კითხვებს სვამენ, მაგალითად სეირნობ? —ტაქსის ტრაფარეტით რომ არ ვისეირნო, ისე ვერ ვივლი?

**—როგორ ფიქრობ კიდევ რამდენ ხანს უნდა იმუშაო ასე?**

—მე ცხოვრებას წინასწარ არ ვგეგმავ. მივყვები იმას, რაც დღეს არის. რა ვიცი ხვალ და ზეგ რა იქნება. ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან არ არის მაღალ ხელფასიანი სამსახურები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო მაქვს დამთავრებული. ჩემი პროფესიით რომ ვიმუშაო მე თავსაც ვერ რულს. ერთი-ორჯერ ისეც მოხდა, რომ მართლა არ მეკუთვნოდა დაჯარიმება და მეც ვიჩხუბე. ერთ კურიოზს მოგიყვები პატრულთან დაკავშირებით. დილომში რესტორნებთან ვიყავი გაჩერებული. ძალიან ქარიანი ამინდი იყო და თურმე, სანამ იქამდე მივიდოდი, ქარს მოუძვრია ჩემი მანქანისთვის ტაქსის ტრაფარეტი. ვდგევარ რესტორანთან და ველოდები, რომ ვიღაც გამოვა და წავიყვან. გამოდის ხალხი და საერთოდ არავინ არ მიჯდება. ვიძახი, ნეტავ რა ხდება, ვინ დამთარსა. დაიცალა რესტორანი და გადავწყვიტე მეც სახლში წავსულიყავი. რომ წამოვედი პატრულიც გამომყვა. იფიქრეს რესტორნიდან მოდის და ნასვამი იქნებაო. ცოტა ხანში გამაჩერეს და საბუთები მომთხოვეს. მერე ერთ-ერთი მეუბნება, თვალები რატომ გაქვს ჩაწითლებული, ნასვამი იქნებიო. მე ვუთხარი,



რა თქმა უნდა, მაინც რთულია 12-13 საათი ქალაქში რომ მოძრაობ მანქანით. მითუმეტეს საქართველოში როგორი სიტუაციაა გზებზე თქვენც იცით. მგზავრების მხრივ არ მქონია არანაირი დაძაბულობა არასოდეს. ფირმაში როცა ვმუშაობდი, გეგმაზე ვიყავი და მთელი ღამე მიწევდა მუშაობა, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია ჩემო კარგო. ყოველ შემთხვევაში, შიში მართლა არ მქონია, ხშირად მგზავრებიც მეკითხებიან ხოლმე, არ გეშინიაო? არასოდეს მქონია შემთხვევა ვინმე ჩამეგდოს მანქანიდან ან შეურაცყოფა მოეყენებინოს. პირიქით, თავიდან რომ დავიწყე, ვფიქრობდი ამ ქართველ კაცებს რა გაუძლებს მეთქი, მაგრამ ძალიან კულტურულად იქცევიან. მანქანაში სიგარეტს არ ეწევიან დაუკითხავად, კითხვებსაც არ მისვამენ დაუკითხავად.

**—როცა მგზავრი მანქანაში გიჯდება და შენ გხედავს რა რეაქცია აქვს?**

—კაცებს ძირითადად უკვირთ, შენ ხარ ტაქსის მძღოლი? რატომ, როგორო მეკითხებიან. აი, ქალებს უხარიათ და უფრო თავისუფლად არიან. თავდაპირველად შიშიც აქვთ ხოლმე, საჭესთან რომ ქალს ხედავენ. ხშირად მეკითხებიან, სახლამდე როგორ მიგვიყვანო. მეც ვეხუმრები, ხე ხომ დგას სადმე თქვენთან ახლოს, ხოდა დავეჯახები იმ ხეს და გაჩერდება მანქანა რა პრობლემაა მეთქი (იცინის). ერთხელ ერთი კაცი ჩამიჯდა და რომ დამინახა გადაირია, შვილო, ასეთი პატარა გოგო ხარ და ეს მანქანა შენიაო? არა, ძია, მამაჩემი მოვიდა მთვრალი, ... შევინახავ, ბავშვს კიდევ ბევრი რამე სჭირდება. ბავშვიც ძალიან მიწყობს ხელს, არაა პრეტენზიული, კარგად სწავლობს. თან მეც საკმაოდ მკაცრი დედა ვარ. რადგან მამა გვერდით არ ჰყავს, ყველანაირად ვცდილობ მე დავიჭირო ხელში. ძმაკაცები ვართ პირველ რიგში. ის რომ სკოლიდან მოდის, მე მაშინ გამოვდივარ სახლიდან და სკოლაში რომ მიდის, მე მძინავს მაგ დროს.

**—მგზავრებს არჩევ? ვინ უნდა წაიყვანო და ვინ არა?**

—კი, ყველას არ ვუჩერებ. ეს ალბათ უფრო ინტუიციის მომენტია, ადამიანს რომ შევხედავ, თუ არ მომეწონა არ ჩავისვამ მანქანაში. ერთგული კლიენტებიც მყავს, რომლებიც კარგად მიცნობენ უკვე და ძირითადად ისინი მირეკავენ. სადაც მეტყვიან ყველგან უპრობლემოდ მიმყავს.

**—პატრული ხშირად გაჩერებს?**

—სიმართლე რომ ვთქვა, ხშირად არ ვარღვევ. უხერხულია მაინც, როცა მგზავრი გიზის და შენს მანქანაში რაღაც მოხდება. ყოფილა შემთხვევა რომ გავუშვივარ პატ-

—კაი რა, ძმურად, ღამის სამი საათია, მთელი დღე ვმუშაობდი და მექნება თვალები ჩაწითლებული აბა რა მეთქი. კი მაგრამ სად მუშაობო? — მაგხელა ტაქსის ტრაფარეტს თუ ვერ ხედავ, კარგად ყოფილა შენი საქმე მეთქი. მოატანინა მეწყვილეს აპარატი, ჩამაბერინეს რამდენჯერმე და სულ მწვანეს მიგდებს. გულში ვფიქრობ, კი მაგრამ დავიჯერო ვერ ხედავს ამხელა ტაქსის ტრაფარეტს მეთქი? ვიფიქრე, ალბათ ამათ მომხსნეს ჩუმად და ახლა მეკაიფებიან მეთქი. მეორე პატრულს დავუძახე, რომელიც ცოტა შორს იყო და მოიტანე ახლა ის ტრაფარეტი და როგორც მომხსენი, ისევე დაადგი მანქანას მეთქი. აუ, ეს კაიფშიც არის მე მგონი და ნარკოლოგიურში წავიყვანოთო. გავგიჟდი კინაღამ, გადმოვედი, შევხედე მანქანას და სადღაა ტრაფარეტი? (იცინის) ბოლო-ბოლო სანამ იმ ადგილას არ მივიყვანე, სადაც ვდგევარ ხოლმე და სხვა ტაქსისტებიც მიცნობენ, მანამდე არ გამიშვეს.

**ლელა არაბული**

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.net**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

## მოგზაურობა სამშობლოში



მარტყოფის ღვთაების კომპლექსი. საერთო ხედი.

# akriani _ kaxeTis
## მარტყოფი

### დიდი ველი

ხაშმიდან გამოსულნი სართიჭალას გამოვცდით თუ არა თავი მოვალედ ჩავთვალე თანამგზავრებისთვის ამეხსნა, რომ მარტყოფის სანახებში შევდიოდით. ჩემი გადაწყვეტილება მართებული აღმოჩნდა, მათ მარტყოფი ოდენ სოფელი ეგონათ. სინამდვილეში ეს უზარმაზარი ველი დასავლეთით ვარკეთილამდე და გლდანამდე ვრცელდება, ჩრდილოეთით იალნოს მთებამდე, ხოლო სამხრეთით – სამგორამდე.

XI და XVI-XVIII საუკუნეების გაერთიანებული კახეთის სამეფო, გარდა იმისა, რომ დიდ ისტორიულ პროვინციებს კახეთს, კუხეთსა და ჰერეთს მოიცავდა, დანაწევრებული იყო ისეთ მიკროქვეყნებად (ხევებად თუ სათავადოებად), როგორებიცაა: ფშავი, ხევსურეთი, პანკისი, დიდო, კაკ-ელისენი, გაღმა მხარი, ქიზიყი, შიდა კახეთი, გარე კახეთი, საგურამო (ხერკი), თიანეთი და ერწო. მეცამეტე „მიკროქვეყანა“ მარტყოფი გახლდათ. ერთხანს მას ლოჭინიც ერქვა და ომანის ხევიც. პროვინციის სახელწოდება მისი უძველესი და უდიდესი სოფლის – მარტყოფის გამოძახილია, ხოლო თავად სოფელს სახელი VI საუკუნეში აქ მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამის ანტონ მარტომყოფელის გამო დაერქვა. ნეტარი მამის დროს და უფრო ადრეც მას აკრიანი რქმევია, რაც კლდოვანსა და ქვიან ადგილს ნიშნავს. სოფლის მახლობლად, ულევის ველზე, 4500 წლის წინანდელი გორა-სამარხებია აღმოჩენილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპარი აქ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან დასახლებულა. ახლა მარტყოფში უძველესი დროიდან მიწის ზევით აღარაფერია დარჩენილი. ქართველთმოძულე ლანგ-თემურმა და ირანის შაჰებმა ცეცხლს მისცეს აქაურობა.

როცა შაჰ-აბაზმა კახეთიდან უამრავი სოფელი აჰყარა და ირანში გადაასახლა, ყველაზე მეტი მოსახლე, დაახლოებით, 50 000 კაცი, მარტყოფის მიდამოებიდან წაიყვანა. ფერეიდანში ჩასულმა ქართველობამ ერთ სოფელს სწორედ მარტყოფი დაარქვა. მარტყოფის ველს უკავშირდება იმავე ხანებში ირანელთა წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით გადახდილი ომი, რომელმაც კახეთი სრული განადგურებისაგან იხსნა.

ჩვენი მანქანა სწორედ ამ გმირული ბრძოლის ადგილებს მიუახლოვდა. შორიახლოს, კორდზე შემომდგარ პატარა ხეს თითქოს დაფიონის ცეცხლი წაკიდებია და 4 საუკუნის წინანდელ ომს გვახსენებს.

1925 წლის 25 მარტი (ახ.სტილით 4 აპრილი) თენდებოდა, ხარება დღე დგებოდა. მტრის ბანაკს ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ქართველთა რაზმები. ხმაურზე გუშაგებმა განგაში ატეხეს. ყარჩიხა-ხანმა (გამაჰმადიანებულმა სომეხმა მთავარსარდალმა), სხვებთან ერთად გიორგი სააკაძესაც უხმო, რომელსაც ირანელთა ბანაკში ოთხი უშიშარი თანამებრძოლი ჰყავდა: საკუთარი ვაჟი ავთანდილი, თავადიშვილები ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე და განუყრელი მეგობარი პაპუნა ვაშაყაშვილი. ხუთმა ქართველმა ლამის ყიზილბაშთა მთელი სარდლობა ამოხოცა. ამასობაში არეულ ბანაკში ქართველთა მხედრობა შემოიჭრა და ელვის სისწრაფით მოათავა საქმე. მუსტაფა ნაიმის ცნობით 30 ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ 3 ათასმა უშველა თავს გაქცევით.

... რა წინაპრები გვყავდა იმ ვითომდაც დამონებულ ქვეყანაში. რა ძალოვანნი, თავისუფლებისა და ღირსების მოყვარენი, უშიშარნი ვითარცა უხორცონი!... ახლა?...

ინათა, მამლებს ჩიჩახვები ჩაეხათ ყივილით. ზმორებით ილვიძებს სოფელი. ჩვენ ტაძრების სანახავად ვიჩქარით.

### იბრაჰიმ ბეგი

მარტყოფში ახლა, ცნობილი კომპლექსის გარდა, მამათა და დედათა 2 მონასტერი, 13 ეკლესია, 3 ციხე-კოშკი და საქართველოს პატრიარქის საზაფხულო რეზიდენციაა. ამ ეკლესიებიდან ორს მეტად უცნაური სახელი ჰქვია: „ბორკილჯვარის წმ.გიორგი“ და „ყვავის საყდარი“. პირველი სახელწოდება ასე თუ ისე იოლი ასახსნელია, მეორესი კი, შეიძლება, გაუგებარი გვეჩვენოს, თუ ლეგენდა არ ვიცით. ამ სახელის საყდრები საგურამოსა და ძეგვშიც მაქვს ნანახი (ძეგვში VIII საუკუნის ნატაძრალს ბორას, ანუ იგივე ძერას სახელი ჰქვია), ლეგენდა კი ასეთია: ერთხელ, ეკლესიის მშენებლობის დროს, კალატოზების კერძიან ქვაბში შხამიანი ქვეწარმავალი ჩაძვრა, მაგრამ იგი ყვავმა (მეორე ვერსიით ბორამ) შენიშნა, შურდულივით დაეშვა და ქვაბში ჩაფრინდა. ფრინველმა ქვეწარმავალი კი მოკლა, მაგრამ თავადაც დაიგესლა და გათავდა. მადლიერმა კალატოზებმა ეკლესიას თიკუნად ყვავის (ბორას) საყდარი დაანათლეს.



სოფელ მარტყოფის ღვთისმშობლის ეკლესია

მარტყოფში ყველაზე დიდი და სახელოვანი გვარი შინჯიკაშვილია. ამ საგვარეულოს მიერ XVIII-ს-ში აგებული კოშკი ახლაც დგას სოფელში. შინჯიკაშვილი იყო ეგვიპტის სახელგანთქმული მმართველი, მამელუკთა ჯარის მთავარსარდალი იბრაჰიმ ბეგი, ანუ ის აბრამი, რომელიც არვეს მწყემსვის დროს გაიტაცეს ლეკებმა და სტამბოლში გაყიდეს. გამაჰმადიანებულ იბრაჰიმ ბეგს 1777 წელს კაიროში ძმა და სიძე მიუპატიჟნია, მარტყოფის ამბებით დაინტერესებულა და იქაური ეპისკოპოსისათვის 200 ოქრო გამოუგზავნია ქრისტიანული ტაძრის ასაგებად. მბრძანებელს ასე უთქვამს – დედაჩემი ძლიერ მოხუცი იქნება, სოფლის თავში მდგარ ეკლესიაში სიარული გაუძნელდება და მარტყოფის გულში ახალი საყდარი აუგეთო. მართალია, ადრესატს ფული სხვა საქმეებში „შემოეხარჯა“, მაგრამ მისმა მემკვიდრემ ეს ამბავი მეფეს აცნობა ფული დაიბრუნა და დაგვიანებით ტაძარი მაინც ააგეს. ეს ის გუმბათიანი საყდარია, სოფლის ცენტრში რომაა აღმართული. სამწუხაროა, რომ, ზოგიერთების სიხარბის გამო იბრაჰიმ ბეგის დედა ახალ ტაძარს ვერ მოესწრო. სამწუხაროა ისიც, რომ დღეს იბრაჰიმ ბეგის სახელისათვის სხვაგან ვერ მოუძებნიათ ადგილი და ტაძრის კიბის საფეხურზე ამოკვეთილი წარსახოცად გაუმეტებიათ.

მარტყოფში კიდევ ორი საინტერესო გვარის შთამომავლები ცხოვრობენ, რომელთაც თავიანთი ციხე-კოშკები აქვთ: ძამაშვილები და თუშმალიშვილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელთა მიერ XVIII საუკუნის 70-იან წლებში აშენებული კოშკი, რომლის ზედა, მე-4 სართული ახლა დაზიანებულია, მაგრამ ჩინებულად არის შემონახული პირველი სართული. მას კამარულ-გუმბათოვანი გადახურვა აქვს. თუშმალიშვილების გვარი მაისურაძეებიდან მომდინარეობს. მამა-შვილი დავით და გაბრიელ მაისურაძეები თეიმურაზ II-ის მზარეულები ყოფილან. მათ ზევით ნახსენები კოშკის გარდა, რომელიც ლეკთა თარეშის საწინააღმდეგოდ იყო აშენებული, 1779 წელს რამდენიმე მეტრში მთავარანგელოზების დარბაზული საყდარიც აუგიათ. ამის შემდეგ მაისურაძეებს ჯერ მზარეულაძეების გვარი მიუღიათ, მერე კი თუშმალიშვილებისა.

### ნეტარი ანტონი

მარტყოფის უმთავრესი საყდარი მისგან ჩრდილოეთ-დასავლეთით, დაახლოებით 7 კილომეტრში მდებარეობს. სწორედ აქ მოღვაწე ანტონ მარტომყოფელის და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამო დაერქვა ძველ აკრიანს მარტყოფი.

„ღვთაებაში“ სამანქანო გზა ნორიოდან ადის. კომპლექსი გაჭიმულია ერთი მცირე მთის სერზე. ამჟამინდელი მთავარი ტაძარი კლდეზე დაშენებულ სუბსტრუქციაზე დგას, რომელიც ერთგან გალავნის მაგივრობასაც წევს. აქ ერთმანეთის მიყოლებით და კლდის პროფილის გათვალისწინებით, ჩარიგებულია მაღალი, 4-სართულიანი სამრეკლო კოშკი, გუმბათიანი ეკლესია და კლდეში ჩაჭრილი დიდი კომპლექსის ნაშთები, რომელშიც ადრე ეპისკოპოსის სასახლე, სენაკები და სატრაპეზო იყო განთავსებული. სავარაუდოდ, სწორედ ამ ნაგებობის აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტებშია ჩარჩენილი VI ს-ის ეკლესიის დასავლეთი კედელი. დანარჩენი, რაც მონასტერში შეიძლება ნახოთ, გვიანდელია და უშუალოდ არ წარმოადგენს VI საუკუნის იმ სავანეს, სადაც ანტონ მარტომყოფელი მოღვაწეობდა. თემურ-ლენგის და შაჰ-აბასის შემოსევებმა იავარქმნეს ყველაფერი.

ყველაზე დიდი უბედურება აქ სწორედ 1395 წელს დატრიალდა, როცა სავანეს თემურ-ლენგის ლაშქარი შემოესია. მაშინ დაიქცა ადრე შუასაუკუნეების ეკლესია და გაუჩინარდა მამა ანტონის მიერ VI ს-ში ჩამოტანილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც გადასარჩენად სადღაც აქვე დაფლა მაშინდელმა მარტყოფელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ. ეპისკოპოსი ისე მოკლეს მომხვდურებმა, რომ მან ვერ მოასწრო რომელიმე შინაურისათვის გაემხილა უწმინდესი ხატის ადგილსამყოფელი. უდავოა ერთი რამ: ხატი სადღაც მონასტრის ტერიტორიაზეა დღესაც. ადრე, თურმე, მარტყოფელები ხანგამოშვებით ხედავდნენ კიდეც, როგორ აისვეტებოდა ხოლმე ღამით მონასტრის ტერიტორიიდან ცისფერი ნათება და ამ ამბავს ხატს მიაწერდნენ.

გადმოცემის თანახმად, მარტყოფში მოსულ ნეტარ ანტონს მონასტერი გორგასლის მიერ აგებული დიდი საყდრის გარშემო აუშენებია. XIV საუკუნის ბოლოს მონასტრის სხვა ნაგებობებთან ერთად, ბუნებრივია, ის ძველთაძველი ეკლესიაც დააქცია ლანგ-თემურმა. სავანის ხელახალი აშენება კახთა მეფე ალექსანდრე II-მ ითავა. აიგო ახალი, გუმბათიანი საყდარი, რომელიც რუსეთის მეფის თევდორეს გამოგზავნილ ოსტატებს მოუხატავთ. 1823 წელს ტაძრის გუმბათი ჩამონგრეულა და კედლებიც დაზიანებულა. ამის გამო XVI საუკუნის ფრესკებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. არადა, როგორც პლ.იოსელიანი წერს, ორ სვეტზე ორი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის და დავით აღმაშენებლის გამოსახულებები ყოფილა შესაბამისი წარწერებით.

XVII საუკუნის მიწურულს არის აგებული სამრეკლო, რასაც ადასტურებს დასავლეთ კედლის წარწერა: „ჩუენ მინდობილმან ძალსა ღუთაებისამან, საჭეთ მპყრობელმან საყდრისა ამისაგან, ანდრონიკაშვილმან, ქისიყის მოურავის ძემან ზაქარიამ, ხელვყავ ძირითგან აღშენებად სამრეკლოსა ამის, სახსენებლად სულისა ჩუენისა და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად. ამინ!... მას ჟამსა, ოდეს განაგებდა მეფობასა საქართველოსასა მეფე ერეკლე, ძის წული მეფის თეიმურაზისა, ქკხ ტპზ “ (ე.ი. 1699 წ).

სამონასტრო კომპლექსში ყველაზე არქაულად გამოიყურება გუმბათიანი ტაძრის დასავლთით მდგარი ნაგებობის ინტერიერში ჩარჩენილი უძველესი, დამდნარი ქვებით გამოყვანილი თაღები და წირთხლები.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მონასტრიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 500-600 მეტრში, მაღალ კლდეზე აზიდული ციხე-კოშკი, რომელიც გადაკეთებამდე ნეტარი ანტონის მიერ VI ს-ში აგებული ის სვეტი იყო, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელი გაატარა. ეს სვეტი გამაგრებული და ციხე-კოშკად გადაკეთებული უნდა იყოს IX საუკუნეში მოღვაწე რუსთველი ეპისკოპო-

სოფელ მარტყოფი. შინჯიკაშვილებისა და თუშმალიშვილების კოშკები






მონასტრის კოშკი


ღვთაების ეკლესია

# naTeli

სის ბართლომეს მიერ. კოშკის ერთ ნაწილში მცირე სამლოცველოა შემორჩენილი. კოშკის ბოლო სართულიდან ხელისგულივით მოჩანს უზარმაზარი სივრცე, მათ შორის თბილისი და მამადავითი.

აღსანიშნავია, რომ იოანე ზედაზნელისაგან წასული მამა ანტონი თავდაპირველად არსენთან იმყოფებოდა იყალთოში, მერე კახეთშივე — არტოზანში მოღვაწეობდა შიოსთან (შიომღვიმელი თავდაპირველად კახეთში დაფუძნდა), უფრო მერე — იოსებ (ამბა) ალავერდელთან, იქიდან ლოპოტის ხეობაში გადავიდა, ლოპოტიდან — ახმეტაში (სადაც დღემდეა შემორჩენილი მის მიერ აგებული ღვთაების საყდარი) და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა უკან, სადაც იოანე ზედაზნელთან ახლოს, აკრიანში არსებულ მცირე ეკლესიაში დაფუძნდა. ცხოვრების ბოლოს მან ააგო სვეტი და როგორც ყველა ასურელი მამის დიდმა მასწავლებელმა სვიმონ მესვეტემ, მანაც სვეტის ვიწრო სენაკში დაიწყო განდეგილი მოღვაწეობა. ამიტომაც ეწოდა მას ანტონ მარტომყოფელი.

ღირს ანტონთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი და დანარჩენი ათორმეტი ასურელი მამის მასწავლებლისა და თანამედროვის, შავ მთაზე მოღვაწე სვიმეონ მესვეტე (საკვირველმოქმედის) ცხოვრების ერთი ამბავი: სვიმეონის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ შავ მთაზე ხშირი მიმოსვლა ჰქონიათ ქართველ ბერებს. ამ ცნობას ავსებს სვიმეონის დედის მართას ცხოვრების აღმწერის სიტყვები: ,,სამნი მონაზონნი ქართუელნი იერუსალიმით მოვიდეს მონასტრად წმიდისა (სვიმეონისა), რომელთაგან ერთი — სახელით ანტონი მღვდლობის პატივით შემოსილი იყო და მამასახლისი მონასტრის პატიოსნისაი და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაი" (იხ. კ.ეკელიძე. ,,ეტიუდები ძვ.ქართ.ლიტ. ისტორიიდან" ,,ასურელ მამათა ცხოვრება"). ჩნდება სერიოზული ეჭვი: ხომ არ არის ეს ანტონი საქართველოში ჩამოსული და დამკვიდრებული მარტომყოფელი, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იერუსალიმის მოლოცვასთან ერთად, დიდ მასწავლებელსაც სტუმრობს შავ მთაზე? ასურელი მამების იერუსალიმსა და სირიაში მოლოცვის ფაქტს აკი დავით გარეჯელის ცხოვრებაც ადასტურებს. მოტანილი მაგალითიდან და ეპიზოდებიდან სხვა დასკვნის გამოტანაც შეიძლება: ,,ასურელი მამების" ერთი ნაწილი (თუ ყველა არა) ქართველია.

## ნადირ-შაჰი მარტყოფში

როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1735 წელს ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი მარტყოფის ,,ღვთაებას" ეწვია 3 000-იანი ლაშქრით. მას თან ახლდნენ კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისი ვაჟი ერეკლე. ეკლესიაში შესულ ნადირ-შაჰისათვის პატარა კახს აუხსნია, რომ ისინი ქრისტიანული სარწმუნოების დიდი მოამაგის, ანტონ მარტომყოფელის საფლავის წინ იდგნენ, ხოლო ოდნავ ზევით არსებული წმინდა მამის მიერ აგებულ სვეტში კახეთის პირველი სადროშოს ალამი ინახებოდა. ამ დროშით ჩვენ საქართველოსა და ირანის მტრების წინააღმდეგ ვიბრძვითო, — უთქვამს პატარა კახს. ნადირ-შაჰი აღფთოვანებულა ამ ამბით. მას ანტონის საფლავისა და ეკლესიის ხატების შესამკობად 2000 თუმანი და 200 თვალმარგალიტი გაუღია.

ეს ამბავი რომ ნამდვილად მომხდარა, ამას პლატონ იოსელიანის ძალიან დამაჯერებლი და დეტალური თხრობა ცხადყოფს, მაგრამ ეჭვს იწვევს თარიღი — 1735 წელი და აი, რატომ: პირველი — ამ წელს ეს პიროვნება ჯერ კიდევ თამაზ ყულიხანია, ანუ ირანის სარდალია და არა ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი; მეორე — დაუჯერებელია 15 წლის პატარა კახის ასეთი სითამამე მამის თეიმურაზ II-ის და ირანის მბრძანებლის წინაშე. მესამე და მთავარი რამდენად ლოგიკურია, რომ ერთსა და იმავე 1735 წელს ნადირ-შაჰი ჯერ შიო მღვიმის მონასტერს აწიოკებს და ბერებს ხოცავს, მერე კი მარტყოფის მონასტრის სიწმინდეების შემკობაზე ზრუნავს? ხომ არ მოხდა ეს ამბავი უფრო გვიან, ვთქვათ, ინდოეთის ლაშქრობის შემდეგ, რომელშიც ნადირშაჰს ახალგაზრდა ერეკლე თან ახლდა და მისი ქართლ-კახეთისადმი დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა. გაზვიადებული არ იქნება თუ ვტყვით, რომ ქართლ-კახეთში ,,ყიზილბაშობის" აქტიურ გამტარებელზე, მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაჭრა მარტყოფის მონასტრის და მის წიაღში დაუნჯებული ხელთუქმნელი ხატის ძალა?!


თანამედროვე ბარელიეფი


ანტონ მარტომყოფელის სვეტი

## არქიმანდრიტის სასოება

1752 წელია. მართალია, ქართლ-კახეთიდან ოსმალოს ფეხი ამოიკვეთა, მაგრამ ახლა მისგან შეგულიანებულმა დაღესტნელმა მეკობრეებმა გააძლიერეს რბევა-თარეში. თეიმურაზმა და ერეკლემ, ლეკებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ მიზანშეწონილად ჩათვალეს ღვთაების მონასტერი მთიდან სოფელში ჩაეტანათ. თვალცრემლიანი ტოვებდა ,,ღვთაებას" არქიმანდრიტი ზენონი, მონასტრის 73 ბერ-მონაზონი და 35 მოწაფე... ხელთუქმნელი ხატის ასლი თბილისში გადმოვიდა.

ორნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ დღიდან. ახლა ღვთაების ხელახლა ამოქმედებულ მონასტერში დიდი სამშენებლო სამუშაო მიმდინარეობს. განსაკუთრებით იცვლის იერს მისი სამხრეთი მხარე...

ნეტარი მამა ანტონის მიერ ედესიდან ჩამოტანილი ხატი მაშინ გამოჩნდება, როცა ქართველობა ამას დაიმსახურებსო, — უთქვამს თავის დროზე არქიმანდრიტ ზენონს.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# facebook

# xalxis azriT

რა შთაბეჭდილება მრჩება იცით, მიშაზე ძაან მისი შეცვალა ფსევდოოპოზიციას და ათას ხელისუფლებას მიტმასნულ ნაძირალას არ სურს,უბრალოდ იციან რომ ის პარატიზობა და არაფნისმაქნისობა, ბიძინას ხელში არ გამოუვათ :(((

რა იყო, ეცნენ ეგრევე,თურმე ჟურნალისტებს და ტელევიზიებს ჩაგრავს,რა სიმართლე არა სთქვა,რისი მაქნისია ეგ ორი ტელევიზია,მართლა ორთლის გამოშვებას ემსახურებოდა ,აბა რა არის,თან ხელისუფლებასაც სათქმელი ჰქონდა ,ოპოზიციური ტელევიზიები არის ქვეყანაშიო !

ცვლილებები მოსალოდნელია და ეს ძალიან კარგია, მე ვფიქრობ ახლა საზოგადოებამ აღარ

სება აირჩიოს პრეზიდენტად და წლები ითმენდეს საგიჟეთად ქცეულ კვაზი-ქვეყანაში ცხოვრებას ტარაკანა არისო ყველაზე გამძლე არსება დედამიწაზე? რაღაც ეჭვი მეპარება ამ ინფორმაციის სისწორეში, საშუალო სტატისტიკურ საქ-მოქალაქეს ვერ აჯობებს..

ისე ჩვენში დარჩეს და, ამ ხელისუფლებას ვინც და რაც უშლიდა ხელს ყველა ჩამოიშორა...ჟვანია აღარაა ცოცხალი, პატარკაციშვილი აღარაა ცოცხალი, ტვიმედი განადგურდა, მედია ჰოლდინგ პალიტრას თავს დაესხნენ...(იმედია მიხვდებით საითაც ვისვრი კენჭებს)

მე არ მესმის რა არ გინდა? რუსული ფულით მოსული კაცი? და სააკაშვილის "მოწინააღმდეგეები" აბაშიძე და შევარდნაძე ვინ




უნდა დაუშვას იგივე შეცდომა და უნდა განსჯის საგანი გახდეს პოლიტიკოსების ქმედებები,,,, ანუ ხალხის დაკვეთა გადაწყვეტს მომავალ პოლიტიკას და საზოგადოება უნდა იყოს ფხიზლად! სულ ესაა რისი თქმაც მსურდა!

საინტერესოა სააკაშვილმა პუტინს დაბადების დღეზე რომელი კომპანია აჩუქა (ან მიყიდა კაპიკებში)?

მთელი ოპოზიცია შიშისგან კანკალებს — ივანიშვილი დააყენებს ფეხზე საქართველოს, მშიერი, უპოვარი და განადგურებული მოსახლეობა აღარ იქნება იციან ეს ოპოზიციის მათხოვარმა მასამ და იბრძვიან ხელისუფლების ხმარდამხარ რომ ივანიშვილს ხელი შეუშალონ–პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი მილიონობით გროვდება ბიძინაზე მხარ დასაჭერად იყეფეთ ოპოებო ფეისბუქზე იმის იქით მარტო ღალატი შეგიძლიათ. ივანიშვილს ებრძვიან პატარკაციშვილს ებრძოდნენ რად უნდათ ძლიერი მოსახლეობა მერე ფულს ვინ მისცემს ოპოებს და ხელისუფლება ვის ხარჯზე გამდიდრდება:)

რა ფენომენალური დონის უნდა იყოს საზოგადოება, რომ ფსიქიურად გაუწონასწორებელი არწაიყვანა? ბენდუქიძემ საიდან მიიღო მილიარდები? ბჟუაშვილს საიდან მოსკოვში ბინები? ვაშაძეს საიდან რუსული პასპორტი?ნაყოფიას საიდან ამდენი ქონება? ობიექტურობას ნუ დავკარგავთ...თუ ვამბობთ ა-ს ვთქვათ ბ-ც! როცა კრემლის ფულებზე ვსაუბრობთ, ბატონი ბენდუქიძე არ დაგვავიწყდეს და ისიც თუ რა ბიზნესი ქონდა მას...

ოპოზიცია რომ ავლაბარში გადის ტრენინგებს, ეს კი ვიცი, მაგრამ იმ ტრენინგებზე ისიცაა გაწერილი, ისე გააგიჟო ხალხი, რომ შენც ყვითელ ავტობუსში მოგინდეს ჩაჯდომა? სალოლ, მიშა!!!

თუ მიაქციეთ ყურადღება სააკაშვილმა რა აჩუქა სარკოზის? XII საუკუნის ხელნაწერი ქართული ბიბლია!.... ისე გადასცა თითქოს პაპამისის დანატოვარი ყოფილიყო! რა უფლება ჰქონდა? თან ბაგრატიონთა შთამომავალმა მაჩუქაო ერთ-ერთი ვიზიტის დროსო!... ან აჩუქეს და ან არა... გინდაც ეჩუქებინათ, სარკოზის ქართული ბიბლია რად უნდა? საქართველოსთვის კი ეგ ძვირფასი განძია!ეგ ისეთი უნამუსოა, დაცლილი ექნება ქართული საგანძური და მუზეუმები! ფიროსმანის სურათი დააბრუნესო.... ღმერთმა იცის ნაღდი დააბრუნა თუ კარგად გაკეთებული ასლი!

# მსოფლიოს უმდიდრესი ქალები

*მსოფლიოს 20 უმდიდრეს ქალს შორის ერთი ჩინელი ქალბატონია — **ვუ იახუნი**. მან მთელი თავისი მრავალმილიონიანი ქონება მხოლოდ საკუთარი ძალებით დააგროვა. ვუს მიერ დაარსებული დეველოპერული კომპანია ფართოვდება ჩინეთის სამშენებლო ბაზარზე. მსოფლიოს 20 მილიარდერი ქალბატონიდან მხოლოდ ვუ იახუნი არის, რომელსაც სიმდიდრე მემკვიდრეობით არ მიუღია.*



*ამ ოცეულის მთლიანი ქონება 232 მლრდ აშშ-ი დოლარია, რაც გაცილებით ცოტაა, ვიდრე მსოფლიოს უმდიდრესი მამაკაცების პირველ ხუთეულთან შედარებით, — იტყობინება „ფორბსის“ რეიტინგი.*

*ყველაზე მდიდარ ქალბატონად, როგორც შარშან, ასევე წელსაც კრისტი უოლტონი ითვლება. ის ჯონ უოლტონის ქვრივია და ქონება მემკვიდრეობით მიიღო. მისი ქონება 26,5 მლრ აშშ დოლარია.*

*(საერთო სიაში 993-ე ადგილს რუსი მილიარდერი ელენა ბატურინა იკავებს. მას გარდა ქალ მილიარდერებს შორის სხვა რუსი ეროვნების არც ერთი ქალბატონი არაა).*

*კრისტი უოლტონი ამერიკის მოქალაქეა. იგი უდიდესი სიმდიდრის მმართველი მას შემდეგ გახდა, რაც ჯონ უოლტონი ავიაკასტროფაში დაიღუპა საკუთარ სახლთან ახლოს ვაიომინგში 2005 წელს. ქმრის გარდაცვალების შემდეგ კრისტიმ ქონებას კიდევ მეტი მოგება მოუტანა. დღეს ფირმის სრული საქონელბრუნვა 420 მლრდ შეადგენს, ხოლო კომპანიებში სულ 2,1 მლნ ადამიანი არის დასაქმებული. კრისტი ფილანტროპი აღმოჩნდა. მან დააარსა მუზეუმი, სადაც განთავსებულია მებაღეობის განვითარების და ორგანიზების ისტორია და დღევანდელობა.*

## ლილიან ბეტანკური



მის ქონებას 23,5 მლრდ შეადგენს. ასაკით 88 წლისაა. მისი სიმდიდრის წყარო „ლორეალია“, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო.

მადამ ლილიანი საფრანგეთის მოქალაქეა. არის ქვრივი, ჰყავს ერთი შვილი.

მსოფლიოს უმდიდრეს ქალთა რეიტინგში მას მე-15 ადგილი უკავია.

საფრანგეთის ყველაზე მდიდარმა ქალბატონმა საკუთარი მამის ბიზნესი ჩაიბარა. დიდი ხანი არ არის, რაც ის ხმამაღალ ოჯახურ სკანდალში გაეხვია. მისი ერთადერთი ქალიშვილი ფრანსუა ბეტანკური-მეიერმა მოუგო დედას სასამართლო პროცესი, რომლის საშუალებითაც ლილიანს სურდა საჩუქრად გადაეცათ 1,4 მლრდ დოლარი თავისი მეგობრის, ცნობილი ფოტოგრაფის, მწერლის და მხატვრის 61 წლის ფრანსუა-მარი ბანიესთვის. ფრანსუაზა დარწმუნებულია, რომ ბანიემ გამოიყენა ასაკოვანი ქალბატონი.

2010 წლის დეკემბერში დედა-შვილი შერიგდნენ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა პირველი სკანდალი ბეტანკურების ოჯახში.

## ელის უოლტონი



იგი 21,2 მლრდ-ის მფლობელია.

61 წლის გახლავთ.

ქონება მანაც მემკვიდრეობით მიიღო.

ქმარს გაცილებულია.

ელის უოლტონმა ქონება მამისგან სემ უოლტონისგან მიიღო 1992 წელს. ელისი კომპანიის საქმეებში აქტიურად არ ერევა, არკანზასში ცხოვრობს და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერობას მისდევს.

## სიუზან კლატენი



იგი 14,6 მლრდ-ს მფლობელია. 48 წლის გახლავთ და მისი ბიზნესის წყარო „ბმვ“ და „ალტანაა“, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო.

სუზან კლატენი გერმანიის მოქალაქეა. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სუზანმა „მბვ“ აქციების წილი მამისგან ჰერბერტ კვანდტისგან მიიღო. ჰერბერტმა 1960-ინ წლებში კომპანია სასწაულებრივად იხსნა გაბანკროტებისაგან. კომპანიის აქციები გასულ წელს ორჯერ გაიზარდა. მას შემდეგ, რაც სუზანმა მამისგან ანდერძად ქიმიური კომპანია „ალტანადან“ აქციების 50 პროცენტი მიიღო, მან გააფართოვა თავისი წილი 100 პროცენტამდე. სუზან კლატენი პროფესიით ეკონომისტია, იგი გახლავთ „ალტანას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ამას გარდა, ის ფლობს აქციებს ქარის ტურბინების წარმოების კომპანიაში, გრაფიტისა და ნახშირის წარმოების კომპანიაში და კომპანია „ჯეოჰუმუსში“, რომელიც, ძირითადად, სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს.

ორი წლის წინ კლატენმა სასამართლო პროცესი მოუგო თავის ყოფილ საყვარელს ჰელგა სგარბს და მისგან 43 მლნ ევრო მიიღო, რათა იმ შემთხვევაში, თუკი სგარბი ამ თანხას არ გადაიხდიდა, კლატენი მის ქმარს მათი სასიყვარულო ურთიერთობების ამსახველ ვიდეოჩანაწერებს გაუგზავნიდა, ხოლო სგარბი 6 წლით ციხეში იგზავნებოდა.

## ბრიგიტა რაუსინგი და მისი ოჯახი



მათი ქონება 14 მლრდ დოლარია.

ბრიგიტა რაუსინგი კი 87 წლის არის.

მათი ოჯახის სიმდიდრე შესაფუთი მოწყობილობების წარმოებისგან შეიქმნა. ბიზნესი მემკვიდრეობით მიიღო რაუსინგმა. ქალბატონი შვეციის მკვიდრია. ისიც ქვრივი გახლავთ და სამი შვილს დედა.

შვეციაში მცხოვრები ეს უმდიდრესი ქალბატონი მილიარდერი საკუთარი ქმრის წყალობით გახდა. 2000 წელს, რაც მისი მეუღლე გოდ რაუსინგი გარდაიცვალა, ბრიგიტა გახდა ამ სიმდიდრის მფლობელი. კომპანია 1944 წელს იქნა დაარსებული ბრიგიტა რაუსინგის დედამთილის მიერ და მოახდინა ნამდვილი რევოლუცია წვენებისა და რძის შეფუთვის ბიზნესში. ახლა კონცერნის გაყიდვებისგან წელიწადში 15,3 მლრდ აშშ-ი დოლარის მოგება მიიღება. რაუსინგის შვილები დირექტორთა საბჭოს წევრები არიან. მისი უმცროსი შვილი იორნი კომპანიას მართავს. უფროსი ვაჟი ფლინი სათავეში უდგას ეკონომიკის ინსტიტუტს შვედეთში. ბრიგიტა რაუსინგის ქალიშვილი კირსტენი უზარმაზარი ცხენთსაშენის მფლობელია დიდ ბრიტანეთში.

## ენ კოქს ჩემბერსი



ენ კოქსის ქონება 13,4 მლრდ დოლარია. იგი 91 წლისაა. კომპანია მანაც მემკვიდრეობით მიიღო. ენ კოქს ჩემბერსი აშშ-ის მოქალაქეა. იგი ქმარს გაცილებულია და სამი შვილი ჰყავს.

თავის 90-ე წლის იუბილე მედიაიმპერიის მფლობელმა ისე იზეიმა, რომ წავიდა პატარა სოფელ ჯექსონბურგში ოჰაიოს შტატში, სადაც ბავშვობა ჰქონდა გატარებული. 2000 წელს სოფელ ჯექსონბურგში სულ 67 ადამიანი ცხოვრობდა. ენ კოქსის მამამ ჯეიმს მ.კოქსმა (რომელიც 1957 წელს გარდაიცვალა) დააარსა კომპანია „სოქს ენტერპრესი“. ჯეიმს კოქსმა უნივერსიტეტის დაამთავრების შემდეგ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სკოლაში, შემდეგ რეპეტიტორობდა, 1898 წელს იყიდა გაზეთი „დეიტონ ევენინგ ნიუსი“ 26000 დოლარად. დღეს ეს კომპანია ათობით გაზეთსა და ჟურნალს ფლობს, 15 ტელეარხსა და 86 რადიოსადგურს. 1977 წელს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა კოქს ჩემბერსი ბელგიაში ელჩად დანიშა, 1980 წელს იგი „კოკა-კოლას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ენ კოქს ჩემბერსი საპატიო ფრანგული ლეგიონის ორდენით არის დაჯილდოებული.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.